

ყოველთვიური ჟურნალი მენარმეებისა და ფინანსისტებისათვის

№1 (301) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

ა

უდიტი

ა

ღრიცხვა

ფ

ინანსები

i

ინფო კონსულტანტი

კლუს

დამოუკიდებელი გამოცემა

იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – მაკა ხარაზიშვილი:
სკანდალი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს (USAID) გარშემო

ჟურნალის პარტნიორი –




ოდნისა

აუდიტური კონტროლი

გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის განცხადება	3
მარიამ აფრასიძე საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: იანვარი-2025	3
თემურ იობაშვილი ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ლარში არსებული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში გადაიტანეს	10
თემურ იობაშვილი ბიძინა ივანიშვილმა თავისი კომპანიებისა და ძვირფასი ნახატების საქართველოში გადმოტანა დაიწყო	13
მაკა ხარაზიშვილი სკანდალი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გარშემო	17
მაკა ხარაზიშვილი ყველაზე მსხვილი აზარტული თამაშების კომპანიები საქართველოში	20
ლოგიკური ამოცანა	28
კითხვა-პასუხი	29
შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის	38
ფრიდონ კერვალიშვილი პრეზიდენტმა ტრამპმა პანამის არხზე სრული კონტროლი მოინდომა	40
უცხოური ვალუტის კურსები	47

გენერალური დირექტორი: **ფრიდონ ალშიბაია**.

მთავარი რედაქტორი: **გიორგი ცერცვაძე**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: **თემურ იობაშვილი** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **მარიამ აფრასიძე**, **ფრიდონ კერვალიშვილი** (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), **მაკა ხარაზიშვილი**.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: **ფრიდონ ალშიბაია** (საბჭოს თავმჯდომარე), **ლევან ასანიძე**, **ნონა ბერძენიშვილი**, **ბექა დოლონაძე**, **ნიკოლოზ ედიბერიძე**, **ნათია უჩანეიშვილი**, **გოგა ფარასტაშვილი**, **ფარნაოზ ნულაია**.

იურისტ-კონსულტანტი: **გიორგი ბოჭორიშვილი**.

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: **info@aaf.ge**

ვებგვერდი: **www.aaf.ge**

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ეურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და

„ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)

ღირებულებაა 120 ლარი.

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);

(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.02.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის განცხადება

ჩვენი ჟურნალის რედაქცია გამოხატავს პროტესტს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის და დირექტორის – მზია ამალაშვილის მიმართ დანაშაულებით სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო.

მიგვაჩნია, რომ მზია ამალაშვილის წინააღმდეგ დანაშაულებით სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიციელისთვის სილის განვნის გამო, არის არაპროპორციული და უსამართლო, განსაკუთრებით იმის ფონზე, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურებს დღემდე არ გამოუძიებიათ ბოლო 3 თვეში ჩადენილი გაცილებით მძიმე დანაშაულის ფაქტები, როგორცაა „ფორმულას“ ჟურნალისტზე გურამ როგავაზე სამართალდამცველის ბრუტალური თავდასხმა, „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე ნილბიანი პირების ჯგუფური თავდასხმა და მომიტინგეთა ცემის არაერთი შემთხვევა.

ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას ქალბატონ მზია ამალაშვილს და მოვითხოვთ მისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (პირველ რიგში) და შემდგომ მის მიმართ დანაშაულებით სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას!

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის სახელით,
მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე

საკანონმდებლო სიხსლავის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიხსლავის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

საბადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიხსლავები: იანვარი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში
შეტანილი ცვლილებები
ცვლილება საგადასახადო კოდექსში

– 01.01.2025-დან ამოქმედდა პარლამენტის მიერ 29.12.2024-ში გამოქვეყნებული №134-მს-XIმპ კანონი, რომლის მიხედვითაც ცვლილება განხორციელდა საგადასახადო კოდექსში.

ცვლილების შედეგად კოდექსის 98-ე მუხლს (გადასახადის განაკვეთი) დაემატა მე-9 ნაწილი, რომლის თანახმად სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი მოგება, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორის დასაბეგრი მოგებისა, დაიბეგრება 20 პროცენტით.

130-ე მუხლს (დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან) დამატებული მე-9 ნაწილის მიხედვით

2025 წლისა და შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგებიდან გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ეს დივიდენდი გაცემულია სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ანდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორის მიერ, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 98-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული განაკვეთით, საქმიანობის ამ ნაწილის კუთვნილი მოგებიდან.

ამავე კანონის მიხედვით:

– ფიზიკური პირის მიერ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორის დასაბეგრი შემოსავლისა, იბეგრება 20 პროცენტით.

– რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის,

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტითანი განაკვეთით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

– მოგების გადასახდის განაკვეთია 15 პროცენტი, გარდა 98-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(2. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

4. საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორის დასაბეგრი მოგება აღნიშნული საქმიანობის ნაწილში იბეგრება 5 პროცენტით.)

ამავე კანონით დაკორექტირდა კოდექსის 188-ე მუხლის (აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-3 გრაფა.

თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი				
3	2401	თამბაქოს ნელლეული, თამბაქოს ნარჩენები	1 კგ	30
	2402 10 000 01	– – სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ლერი	2.1
	2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ლერი	2.4
	2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ლერი	1.9
	2403 11 000 00	ჩილიმით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ელი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	30
	2403 19	დანარჩენი	1 კგ	30
	2403 91 000 00	ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქო	1 კგ	30
	2403 99 100 00	სალეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	30
	2404 11 000 00	– – თამბაქოს ან აღდგენილი თამბაქოს შემცველობით	20 ცალი/ლერი	1.85
	2404 12 000 00	– – დანარჩენი, ნიკოტინის შემცველობით	1 მლ	1.2
	2404 19 900 00	– – – დანარჩენი	1 მლ	1.2

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 24.01.2025-ში მიღებული №9 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში.

კერძოდ კი, დაკორექტირდა 56³ მუხლის (დღგ-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრირების ღონისძიებები) პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს

უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს ამ ინსტრუქციის 51-ე და 56¹ მუხლებით (მუხლი 51 – „დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების აღრიცხვის დოკუმენტები“, მუხლი 56¹ – „საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა“) გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების ან/და ჩათვლის მიღების) უფლება ან პირს უარი უთხრას მოცემული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე, ასევე

პირს შეუჩეროს საბაჟო დეკლარაციის გამოყენების უფლება დღე-ის ჩათვლის მიღების მიზნით;

ა) დღე-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის, ყალბი დოკუმენტის გამოყენების, აგრეთვე, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში.

ბ) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში).

გ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

– 29.01.2025-ის №23 ბრძანებით ინსტრუქციის 62-ე მუხლს (ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის ჟურნალები) დაემატა 2¹ პუნქტი, რომლის მიხედვით მატერიალური ფორმის ჟურნალები უნდა ინახებოდეს უშუალოდ იმ ობიექტზე, სადაც ხორციელდება ნავთობპროდუქტების მიღება-რეალიზაცია (შენახვა). მათი გატანა ან გაგზავნა სხვა ობიექტზე (შენობაში) დაუშვებელია, გარდა საგადასახადო ორგანოს წერილობითი მოთხოვნის ან თანხმობის შემთხვევებისა.

ამავე ბრძანებით დაკორექტირდა ამავე მუხლის მე-6-მე-11 პუნქტები, რომლის თანახმად:

„6. №III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-9 სვეტსა და №III-17¹ დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-9 სვეტში აისახება დღის განმავლობაში ფასდათმობის გარეშე გაცემული ნავთობპროდუქტის რაოდენობა ლიტრებში.

7. №III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-11 სვეტისა და №III-17¹ დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-11 სვეტის შევსება ევალუბათ მხოლოდ იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც ნავთობპროდუქტების მიწოდებას ახორციელებენ ამ ინსტრუქციის 58-ე მუხლის მე-15 და 15¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. №III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-12 და მე-13 სვეტებსა და №III-17¹ დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-12 და მე-13 სვეტებს ავსებენ ის გადამხდელები, რომლებიც ნავთობპროდუქტების მიწოდებას ახორციელებენ ავტოგასამართი სადგურებიდან ფიზიკურ პირებზე ნსაფ-ის გამოწერის გარეშე და იყენებენ იდენტიფიცირებული ფიზიკური პირების მიმართ მათ მიერ შეძენილი საქონლის რაოდენობის ან/და ღირის მონაკვეთის მიხედვით ეტაპობრივი ფასდათმობის სისტემას, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ყველა სავაჭრო თუ სარეალიზაციო ობიექტი (სადაც ხდება აღნიშნული ფასდათმობის სისტემის გამოყენება) ჩართულია ერთიან სააღრიცხვო სისტემაში, მუდმივი ან ნახევრად მუდმივი შეერთებით;

ბ) ყველა ობიექტიდან ინფორმაციის (ტრანზაქცია) გაცვლა (მიღება-გაცემა) ცენტრალურ სააღრიცხვო

სისტემასთან ხდება სპეციალური სააღრიცხვო ტერმინალების მეშვეობით;

გ) სააღრიცხვო ტერმინალი მომხმარებელზე გადასაცემად ბეჭდავს დეტალურ ჩეკს შემდეგი ინფორმაციის მითითებით: შეძენილი საქონლის დასახელება, მთლიანი თანხა, ფასდათმობის რაოდენობა (შესაძლებელია იყოს როგორც პროცენტული, ასევე ფიქსირებული) და რეალურად გადახდილი თანხა;

დ) მთლიანი თანხის, საქონლის მიხედვით ფასდათმობის რაოდენობის და რეალურად გადახდილი თანხის (არანაკლებ თვითღირებულების) მითითებით, ყოველი ფასდათმობის ოპერაცია სააღრიცხვო ტერმინალში ფიქსირდება ფასდათმობის მიძღვნილი ფიზიკური პირის ბარათის იდენტიფიცირებული ნომრის მიხედვით, ხოლო ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში – ფასდათმობის მიძღვნილი ფიზიკური პირის სახელის, გვარის, პირადი ნომრის და ბარათის იდენტიფიცირებული ნომრის მიხედვით;

ე) ფასდათმობის რაოდენობა ფიქსირებულია ან გამომდინარეობს ბონუსური სქემიდან;

ვ) რეალიზატორი საწარმოს მიერ დამტკიცებული ბონუსური სქემა ფიქსირდება პროგრამულად და ეგზავნება მთელ ქსელში დამონტაჟებულ სააღრიცხვო ტერმინალებს;

ზ) როგორც ბონუსური სქემის, ასევე ფიქსირებული ფასდათმობის შემთხვევაში, ცენტრალური სისტემა აწვდის სააღრიცხვო ტერმინალს ინფორმაციას ფასდათმობის რაოდენობის შესახებ კომპანიის მიერ შემუშავებული ფასდათმობის სქემის მიხედვით;

თ) როგორც ბონუსური სქემის, ასევე ფიქსირებული ფასდათმობის შემთხვევაში ფასდათმობის ზედა და ქვედა ზღვარი დგინდება რეალიზატორი საწარმოს მიერ;

ი) ფასდათმობის სისტემა თავისებოდა რეალიზატორი საწარმოს ბუღალტრულ სისტემასთან. ყოველი ფასდათმობის ოპერაციის შედეგად მიღებული რეალიზაცია (დღის ოპერაციების მიხედვით ჯამში) აღირიცხება საწარმოს ბუღალტრულ სისტემაში;

კ) ინფორმაცია (სტატისტიკური თუ დეტალური) აღნიშნული ოპერაციებით რეალიზაციაზე გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია საგადასახადო ორგანოებისათვის;

ლ) ფასდათმობისას სისტემაში გამოყენებული ყოველი ბარათი არის ჩიპური ან მაგნიტური ტექნოლოგიის, აღრიცხული და დანომრილი.

9. III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-14 სვეტსა და №III-17¹ დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-14 სვეტში მიეთითება ტექნიკური ჩამოსხმის საფუძველი – მაღოზირებელი მექანიზმის სისწორის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

10. III-17 დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-15 და მე-16 სვეტებსა და №III-17¹ დანართის შესაბამისი ჟურნალის მე-15 და მე-16 სვეტებში აისახება მაღოზირებელი მექანიზმის შემოწმების მიზნით განხორციელებული ტექნიკური ჩამოსხმის/ჩაბრუნების ოდენობა (ლიტრებში).

11. №III-16 დანართის, №III-17 დანართის და №III-17¹ დანართის ჟურნალებში შესაბამისი ჩანაწერები კეთდება გადასახადის გადამხდელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ“.

ფინანსთა მინისტრის ბრძანებები

– ფინანსთა მინისტრის 24.01.2025-ის №10 ბრძანებით დაკორექტირდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესში“.

კერძოდ:

– საკონტროლო შესყიდვის განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრები საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს გადაეცემა „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №015-ის – „საგანსო ანგარიში“ საფუძველზე. სხვა რეკვიზიტებთან ერთად, ფორმაში მიეთითება გამოყოფილი თანხის სრული ოდენობა და იმ პირის გვარი, სახელი და თანამდებობა, რომელიც თანხის შენახვასა და მიზნობრივი დანიშნულებისათვის გამოყენებაზე იქნება პასუხისმგებელი (ანგარიშგაღებელი). ამავე ფორმაში აისახება საკონტროლო შესყიდვაზე (მიზანდასახულად) გახარჯული, ასევე ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ან დაბრუნებული თანხა.

– თუ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ საკონტროლო შესყიდვისას წესის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ფაქტობრივად გაწეული ხარჯები აღემატება ამ პროცედურისთვის დადგენილი წესით განსაზღვრულ თანხებს, ზედმეტად გახარჯული თანხის გაცემა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირზე განხორციელდება „საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ“ ოქმის საფუძველზე და „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანებით დამტკიცებული ფორმა №015-ის შესაბამისად ან მისთვის პლასტიკურ ბარათზე თანხის ჩარიცხვის საშუალებით.

– საკონტროლო შესყიდვის დროს შეძენილი და დაუბრუნებელი საქონელი მიიქცევა სახელმწიფო საკუთრებად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/346

ბრძანების შესაბამისად.

– როდესაც სსა-ის ჩეკში შეცდომით ამოირტყმება არასწორი თანხა, უნდა შედგეს დანართი №8-ით განსაზღვრული ფორმის აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს როგორც მოლარე-ოპერატორმა ასევე მოლარე-ოპერატორზე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა (დირექტორი, ბუღალტერი, გაყიდვების მენეჯერი და ა.შ.). ამასთან, შეცდომით ამოხტეტილი ჩეკი ან ჩეკის ასლი უნდა დაეკრას ამ აქტს. ასეთივე აქტი 2 ეგზემპლარად დგება იმ შემთხვევაშიც, როცა მომხმარებლის მიერ ხდება ჩეკის საფუძველზე ნაყიდი საქონლის „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით დაბრუნება და, ამასთან, მოლარე-ოპერატორს გააჩნია იმის უფლება, რომ მიიღოს საქონელი და დაუბრუნოს მომხმარებელს მასში გადახდილი თანხა. ამ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პირების გარდა, აქტს ხელი უნდა მოაწეროს მომხმარებელმაც, რომელსაც უნდა გადაეცეს აქტის ერთი ეგზემპლარი. მოლარე-ოპერატორთან დარჩენილ აქტს უნდა დაეკრას მომხმარებლის მიერ დაბრუნებული ჩეკი და ჩეკის ასლი.

– 2025 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 2 ოქტომბრის №331 ბრძანების თანახმად, ძალაში შევიდა (ამოქმედდა) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №423 ბრძანებით დამტკიცებულ „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ“ ინსტრუქციაში საყურადღებო ცვლილება – ინსტრუქციას დაემატა შემდეგი შინაარსის 14¹ მუხლი, რომელიც მოგვყავს სრული სახით:

„მუხლი 14¹. სესხის კაპიტალში შენატანად კვალიფიციირება

1. წინამდებარე მუხლი გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან მიმართებით.

2. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის, სესხად განიხილება კრედიტი/სესხი, ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი, გარანტია, სავალო ფასიანი ქაღალდები და სხვა.

3. ამ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, კონტროლირებული ოპერაციის მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ფაქტობრივი გარემოებებით სესხად განიხილული ოპერაციის კაპიტალში შენატანად სრულად ან ნაწილობრივ დაკვალიფიციირებისას გაითვალისწინება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) ფიქსირებული დაფარვის გრაფიკი – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა სესხის ძირის/პროცენტის დაფარვის ფიქსირებული გრაფიკი, აგრეთვე, შესაბამება თუ არა აღნიშნული გრაფიკი საბაზრო პირობებს და სესხის მიზნობრიობას;

ბ) პროცენტის გადახდის ვალდებულება – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია

ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა პროცენტის დარიცხვის/გადახდის ვალდებულება. ამასთან, ფაქტობრივად ხდება თუ არა პროცენტის დარიცხვა/გადახდა;

გ) სესხის ძირის/პროცენტის მიღება იძულებითი აღსრულების გზით – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებული ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ზომების გამოყენება მოთხოვნის (სესხის ძირის და პროცენტის) დასაკმაყოფილებლად. ამასთან, შესაბამისი პირობების დადგომისას გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით;

დ) გამსესხებლის სტატუსი (სუბორდინაცია) სხვა კრედიტორებთან მიმართებაში – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებული ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლის მოთხოვნის სუბორდინაცია მსესხებლის სხვა კრედიტორებთან მიმართებაში;

ე) სახელშეკრულებო შეზღუდვები და დაცულობის მექანიზმები – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებული ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მსესხებლის მიმართ სხვადასხვა სახელშეკრულებო შეზღუდვების (მათ შორის, აქტივების რეალიზაციასთან დაკავშირებით), ჯარიმის ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენება. ამასთან, შესაბამისი პირობების დადგომისას, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა აღნიშნული საშუალებებით;

ვ) სასესხო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა – მხარეთა მიერ სესხად განხილული ოპერაციის განხორციელებისას მსესხებელს უფიქსირდება თუ არა რეალური ფინანსური შესაძლებლობა სესხის ძირი და პროცენტი დაიფაროს მისი საოპერაციო მოგებით;

ზ) მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურა – მხარეთა მიერ სესხად განხილული ოპერაციის განხორციელებისას ექცევა თუ არა მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლები (მათ შორის, სესხის და კაპიტალის თანაფარდობა) საბაზრო დიპაზონში;

თ) სესხის აღების საჭიროება და ხარჯვის მიზნობრიობა – მსესხებელს აქვს თუ არა სესხის აღების რეალური საჭიროება. ამასთან, მიღებული დაფინანსება განკუთვნილია ან/და გამოყენებულია თუ არა გრძელვადიანი (კაპიტალიზირებადი) აქტივების შესაძენად ან/და დამწყები საწარმოს (სტარტაპის) ფინანსური სახსრებით უზრუნველსაყოფად;

ი) სასესხო ვალდებულებების გადავადება – აქვს თუ არა ადგილი სესხის ძირის/პროცენტის გადაუხდელობას დათქმულ ვადაში ან/და ხდება თუ არა სესხის ძირის/პროცენტის დაფარვის პერიოდის გახანგრძლივება არაერთჯერადად;

კ) მონაწილეობა მსესხებლის მართვაში –

სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლისთვის მსესხებლის სტრატეგიულ/საოპერაციო მართვაში მონაწილეობის უფლების მინიჭება. ამასთან, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით;

ლ) სესხის გაცემა წილის ფლობის პროპორციულად ან/და ფლობის პირობით – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლისთვის მსესხებლის წილის ფლობასთან დაკავშირებული უფლებების მინიჭება. ამასთან, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით;

მ) სესხის კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა სესხის კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა. ამასთან, გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ შესაძლებლობით.

4. ოპერაცია ან მისი ნაწილი კვალიფიკაციის შეცვლას ექვემდებარება ამ ოპერაციის განხორციელების მომენტისთვის.

5. ოპერაციის ან მისი ნაწილის კვალიფიკაციის შეცვლა შესაძლებელია, თუ გამოიკვეთება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საფუძველი არანაკლებ სამი კრიტერიუმის მიხედვით, რომელთა შორისაც არანაკლებ ერთი უნდა იყოს „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმი. ამასთან, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, სესხის კაპიტალში შენატანად კვალიფიკირების შესახებ შეადგინოს შესაბამისი დასკვნა, რომლის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს ოპერაციის შინაარსი, არგუმენტაცია და გარემოებები, ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

– 31.12.2024-ში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის №6-18 ბრძანებით, დამტკიცდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი, რომელიც არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პირობებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, სამსახურის ელექტრონულ მისამართზე (saras.

gov.ge) არსებული მეილების ელექტრონული სისტემის საშუალებით: <https://saras.gov.ge/ms/>.

დაინტერესებულ პირს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ელექტრონულად შეუძლია მითითებულ მეილების ელექტრონულ სისტემაში წერილობითი განცხადების საფუძველზე. აუცილებელი არ არის განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

განცხადების ფაილი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

– იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

– განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

– მოთხოვნას;

(ამ მონაცემის არასწორად ან არასათანადოდ წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელს მიეცემა გონივრული ვადა დაზუსტებისათვის. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის ინფორმაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.)

– განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

– განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

სამსახური დაარეგისტრირებს განცხადებას და განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში რეგისტრაციაში გატარების დადასტურებას (რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის მითითებით) დაუბრუნებს პირს განცხადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. ინფორმაციის გაცემის ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.

სამსახურს ვალდებულია აქვს გასცეს ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

– სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

– მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

– სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა/იგზავნება მატერიალური სახით (ფოსტით), დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო ინფორმაცია შესაძლებელია გაიცეს/გაიგზავნოს ელექტრონულად, განმცხადებლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

საფინანსო სფეროში შემთავსი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის მიერ 31.01.2025-ში მიღებული №9/04 ბრძანებით, ცვლილება განხორციელდა

„მიკრობანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულებაში“.

ამ ბრძანების თანახმად, მოცემულ დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებისთვის მიკრობანკა უნდა იხელმძღვანელოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კონტრაპენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ“ დებულებით.

აღნიშნული დებულებით განსაზღვრული ლევერიჯის კოეფიციენტი ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ჩარჩოს. თუ ამ დებულებით არ არის დარეგულირებული კონკრეტული საკითხი ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კონტრაპენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულებით“ არ არის განმარტებული კონკრეტული ტერმინი, მიკრობანკა ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით უნდა იხელმძღვანელოს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სტანდარტებით, 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ 575/2013 რეგულაციითა და 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ 2013/36 დირექტივით.

– ეროვნული ბანკის მიერ 31.01.2025-ში მიღებული №8/04 ბრძანებით დამტკიცდა კონტრაპენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულება.

ამ დებულების მიზანია კონტრაპენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის წესის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს დერივატივების რისკების დროულ და მართლზომიერ ასახვას კაპიტალში.

განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის, მიკრობანკისთვის და უცხოური კომერციული ბანკის/მიკრობანკის ფილიალებისა და შვილობილებისთვის.

ბანკი ვალდებულია, გამოავლინოს გარიგებები, რომლებიც წარმოშობს კონტრაპენტის საკრედიტო რისკს და გამოთვალოს კონტრაპენტის საკრედიტო რისკის შესაძლო დანაკარგი.

კონტრაპენტის საკრედიტო რისკს წარმოშობს შემდეგი გარიგებები:

ა) არაორგანიზებულ ბაზარზე დადებული დერივატივები;

ბ) ორგანიზებულ ბაზარზე დადებული დერივატივები;

გ) გრძელვადიანი ანგარიშსწორების გარიგებები.

კონტრაპენტის საკრედიტო რისკის გამოთვლის გამარტივებული სტანდარტიზებული მეთოდის (ამ დებულების დანართი №2-ის მიხედვით) გამოყენება

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკის დერევატივების ჯამური ნომინალური ღირებულება ყოველი თვის ბოლო საანგარიშგებო დღეს აკმაყოფილებს ორივე შემდეგ პარამეტრს:

– მთლიანი აქტივების 10%-ის ტოლი ან მასზე ნაკლებია;

– 300 მლნ (სამასი მილიონი) ლარის ტოლი ან მასზე ნაკლებია.

– საწყისი რისკის პოზიციის მეთოდის (დებულების დანართი №3-ის მიხედვით) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკის დერევატივების ჯამური ნომინალური ღირებულება ყოველი თვის ბოლო საანგარიშგებო დღეს აკმაყოფილებს ორივე შემდეგ პარამეტრს:

– მთლიანი აქტივების 5%-ის ტოლი ან მასზე ნაკლებია;

– 100 მლნ (ასი მილიონი) ლარის ტოლი ან მასზე ნაკლებია.

ცენტრალური კონტრაქტის მიმართ რისკის პოზიციის ღირებულება, რომელიც გამოწვეულია ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების ტრანზაქციით (კაპიტალი, ფასიანი ქაღალდები, სპოტ სავალუტო და სპოტ რეალური საქონლის), ამ დებულების შესაბამისად გამოთვლას არ ექვემდებარება.

დერევატივების ღირებულება თვის ბოლო საანგარიშგებო დღეს უნდა შეფასდეს საბაზრო ღირებულებით. თუ თვის ბოლო საანგარიშგებო დღისთვის საბაზრო ღირებულება ხელმისაწვდომი არ არის, რისკის პოზიციის შეფასებისთვის ბანკს შეუძლია სამართლიანი ღირებულების გამოყენება. თუ თვის ბოლო საანგარიშგებო დღისათვის არც სამართლიანი ღირებულების დადგენაა შესაძლებელი, ბანკმა რისკის

პოზიციის განსაზღვრისთვის უნდა გამოიყენოს უახლესი საბაზრო ან სამართლიანი ღირებულება.

ბანკმა უნდა მოიცვას ყველა დერევატივის პოზიცია (დერევატივების გრძელი პოზიციების აბსოლუტური ღირებულების და დერევატივების მოკლე პოზიციების აბსოლუტური ღირებულების ჯამი). გარდა იმ საკრედიტო დერევატივებისა, რომლებიც აღიარებულია საბანკო წიგნის საკრედიტო რისკის პოზიციის ღირებულების შიდა ჰეჯირების ინსტრუმენტებად.

იხილეთ ასევე:

– 30.01.2025-ის ფინანსთა მინისტრის №24 ბრძანება, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 24.01.2025-ის მთავრობის №19 დადგენილება, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 27.01.2025-ის მთავრობის №22 დადგენილება, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ ამავე პირის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 01.01.2025-დან ამოქმედდა ფინანსთა მინისტრის მიერ 04.06.2024-ში მიღებული მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესი.

მარიამ აფრასიძე

მიხეილ ყაველაშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ნათია თურნავა დანიშნა

მიხეილ ყაველაშვილმა ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ სეზ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე წარდგენილი ნათია თურნავა დანიშნა.

როგორც ეროვნული ბანკი იტყობინება, სეზ-ის საბჭომ გადანაცვლებილება პრეზიდენტობის კანდიდატად ნათია თურნავას წარდგენასთან დაკავშირებით ერთხმად მიიღო.

ნათია თურნავა 2023 წლის ივნისიდან სეზ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციებს იკავებდა. 2022 წლის ივნისიდან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრია.

„ნათია თურნავას პროფესიით ეკონომისტი, ფლობს ეკონომიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა, დიდი ბრიტანეთის ქაშპრიის უნივერსიტეტში კი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო. გავლილი აქვს სწავლება ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლაში, ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში (JVI) და სხვა ინსტიტუტებში. იყო თბილისის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი.

წლების განმავლობაში ნათია თურნავას მაღალი თანამდებობები ეკავა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, მანამდე კი მინისტრის პირველი მოადგილე. ის ასევე გახლდათ სახელმწიფო „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ სეზ-ის ისტორიაში ნათია თურნავა გახდა პირველი ქალი, რომელიც პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს“, – წერია სეზ-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ლარში არსებული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში გადაიტანეს

რამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის შემცირება

გასულ, 2024 წელს ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად პროგნოზირებადი გახდა. ეს სიტუაცია საბანკო სექტორზეც აისახა. კერძოდ, გასული წლის მე-4 კვარტალში ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა დეპოზიტებზე არსებული 2 მილიარდი ლარი უცხოურ ვალუტაში გადააკონვერტირეს. შესაბამისად, ლარში არსებული დეპოზიტების მოცულობა შემცირდა და საპირისპიროდ – გაიზარდა უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები.

სებ-ის ვებგვერდზე მოცემული სტატისტიკის მიხედვით, 2024 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოცულობა 842.7 მლნ ლარით გაიზარდა, ეროვნული ვალუტის კი 453.1 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მე-4 კვარტალის განმავლობაში დეპოზიტების დოლარიზაცია 49%-დან 53%-მდე გაიზარდა, ლარიზაციის მაჩვენებელი კი თავის მხრივ სექტემბერში არსებული 51%-დან 47%-მდე შემცირდა.

ეროვნული ბანკისთვის კომერციული ბანკების მიერ მიწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2024 წლის დეკემბრის ბოლოსთვის ლარის დეპოზიტების მოცულობა 27.5 მილიარდი ლარი იყო (კლება სექტემბერთან შედარებით 2 მილიარდი ლარია). უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზომა კი დეკემბრის ბოლოსთვის 30.8 მილიარდი ლარი იყო (ზრდა სექტემბერთან 2.7 მილიარდი ლარი).

სტატისტიკის თანახმად, თვეების მიხედვით ლარის დეპოზიტების კლება ასეთი იყო:

- ოქტომბერი – ლარის დეპოზიტების კლება 1.16 მილიარდი ლარი;
- ნოემბერი – ლარის დეპოზიტების კლება 351 მილიონი ლარი;
- დეკემბერი – ლარის დეპოზიტების კლება 453 მილიონი ლარი.

ქართულ კომერციულ ბანკებში სულ 58 მილიარდი ლარის დეპოზიტები არის განთავსებული, საიდანაც 28 მილიარდი ლარი, ანუ 47,23% ეროვნულ ვალუტაშია ნომინირებული, უცხოური ვალუტის დეპოზიტები კი მთლიანი დანაზოგების თითქმის 53%-ს ანუ 30 მილიარდ ლარს შეადგენს. აქედან პირველ ადგილზეა

აშშ დოლარის დანაზოგები, რაც 23.6 მილიარდი ლარია, მეორე პოზიციას იკავებს ევრო 5.8 მილიარდი ლარის დანაზოგებით.

სტატისტიკის თანახმად, სხვა არცერთი ვალუტის დეპოზიტები 1 მილიარდ ლარს არ აღემატება. 100 მილიონ ლარს კი აღემატება ბრიტანული გირვანქა სტერლინგის (302 მლნ ლარი) დეპოზიტები და რუსული რუბლის (104 მლნ ლარი). ამასთან, რუბლის დეპოზიტები 2024 წელს 23%-ით გაიზარდა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის (2022 წლის თებერვალი) შემდგომ პერიოდში კი ქართულ ბანკებში რუბლის დეპოზიტები 298%-ით არის გაზრდილი.

სტატისტიკის თანახმად, ბანკებში განთავსებულია ასევე 53 მილიონი ლარის შვეიცარიული ფრანკის დეპოზიტები, ჩინური იუანის დეპოზიტები კი 25 მილიონ ლარს შეადგენს.

დეპოზიტების პორტფელი ვალუტების მიხედვით 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით ასე ნაწილდება:

№	დეპოზიტები ვალუტების მიხედვით	მოცულობა ლარებში:
1	ეროვნული ვალუტა ლ	28,007,435,147 ლარი;
2	აშშ დოლარი	23,622,035,988 ლარი;
3	ევრო	5,836,016,715 ლარი;
4	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	301,920,586 ლარი;
5	რუსული რუბლი	104,270,113 ლარი;
6	შვეიცარიული ფრანკი	53,364,199 ლარი;
7	ჩინური იუანი	25,049,536 ლარი;
8	არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	5,526,441 ლარი;
9	იაპონური იენი	2,330,555 ლარი;
10	კანადური დოლარი	2,164,838 ლარი.
11	სხვა ყველა ვალუტა ერთად	4,8 მლნ ლარი.

საბანკო ასოციაციის კომენტარი

რამ გამოიწვია ლარში არსებული დეპოზიტების მნიშვნელოვანი მოცულობის უცხოურ ვალუტაში გადატანა? საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ძნელაძემ BM.GE-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ გასული წლის ბოლოს დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებლის ზრდა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული.

როგორც საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა განაცხადა, ანაბრების დოლარიზაციაზე ისეთ ფაქტორებს აქვს გავლენა როგორცაა კურსთა შორის სხვაობა, როცა ლარი უფასურდება და შესაბამისად, გაუარესებული მოლოდინების ფონზე, ბაზრის მონაწილეებს დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში გადააქვთ.

ალექსანდრე ძნელაძის განცხადებით, ლარის ანაბრების შემცირება და უცხოური ვალუტის დეპოზიტების წილის ზრდა გასული წლის ბოლოს სეზონური ფაქტორებითაც იყო გამოწვეული.

„მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ლარიზაციის მაჩვენებელი მზარდი იყო, ანაბრების 50% მაინც უცხოური ვალუტის სადეპოზიტო პორტფელში რჩებოდა. შესაბამისად, კურსის ცვლილება, გაუფასურება პირდაპირ პროპორციულად აისახება ამ მაჩვენებლის ცვლილებაზე, ანუ ლარის გაუფასურების გამო უცხოურ ვალუტაში სადეპოზიტო პორტფელი იზრდება ხოლმე.

შეგვიძლია მეორე ფაქტორზეც ვისაუბროთ, რომ ლარის კურსის და მოლოდინების ცვალებადობას უცხოურ ვალუტაში ლარის გადაკონვერტირება პირდაპირ მოჰყვება ხოლმე. ლარის გაუფასურებისას ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლებს დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში გადააქვთ.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვა პერიოდთან შედარებით წლის ბოლოს, დეკემბერში იმპორტი იზრდება და მზარდია ლარის ხარჯვაც, ანუ მეტი იხარჯება მიმდინარე ანგარიშებიდან და მეტი კონვერტირდება უცხოურ ვალუტაში“, – განაცხადა ალექსანდრე ძნელაძემ.

ასოციაციაში ასევე აღნიშნავენ, რომ მათი შეფასებით, უკვე წლის დასაწყისში საბანკო სექტორში მსგავსი დიდი მოცულობით უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გადატანა აღარ ფიქსირდება.

„მოლოდინია, რომ მიმდინარე პერიოდში ხარჯვითი ნაწილი მეტ-ნაკლებად შემცირებული იქნება, ამ პერიოდში იმპორტიც მცირდება და მოლოდინია, რომ ეს მდგომარეობა ამ თვეში შეიცვლება. იანვრის მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით სრული ინფორმაცია არაა, თუმცა კონვერტაციის მასშტაბი ისეთი აღარაა როგორიც იყო. ზოგადად, დღეს ლარის დეპოზიტებზე ისეთი მაღალი საპროცენტო სარგებელია, პირიქით, უცხოური ვალუტიდან ლარის ანაბრებში გადაკონვერტირებაც შეიძლება ვიხილოთ, თუკი მოლოდინები შეიცვლება“, – აღნიშნა ალექსანდრე ძნელაძემ.

„საზოგადოება და ბანკები“ – მიზეზი გაუარესებული მოლოდინებია

ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე აცხადებს, გასული

წლის მე-4 კვარტალში 2 მილიარდ ლარამდე მოცულობის დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში გადატანის მიზეზი, ხალხში არსებული გაუარესებული მოლოდინია.

როგორც გიორგი კეპულაძემ BMG-ის განუცხადა, დიდი მოცულობის დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში გადატანა იმაზე მიუთითებს, რომ ბაზრის მონაწილეები შექმნილ არასტაბილურ ვითარებაში ეროვნულ ვალუტას ნაკლებად ენდობიან და დანაზოვის განთავსება უცხოურ ვალუტაში ურჩევენიათ.

მისი თქმით, თუკი არსებული გაურკვეველი ვითარება შენარჩუნდება, მოსალოდნელია, რომ დეპოზიტების დოლარიზაციის ტენდენცია გაგრძელდება, რაც თავის მხრივ, ლარის კურსისთვის დადებითი არ იქნება.

„არჩევნებამდეც დაახლოებით მილიარდი ლარის დეპოზიტები იყო გადატანილი უცხოურ ვალუტაში, ეს ტენდენცია მეოთხე კვარტალშიც გაგრძელდა და 2 მლრდ ლარის ანაბრები და მიმდინარე ანგარიშები გადავიდა უცხოურ ვალუტაში. ეს იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 700-800 მლნ დოლარი შეიძინა ბიზნესმა და მოსახლეობამ. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ გარკვეული კრიზისია მოსალოდნელი. ბაზარი, ბიზნესი ელოდება, რომ შესაძლოა, ნებისმიერ დროს დაიწყოს კრიზისი, შესაბამისად. მათთვის ამ პერიოდში უფრო სანდო ვალუტა დოლარია და როგორც წესი, ისინი კრიზისების დროს, ნაკლებად ენდობიან ხოლმე ლარს.

დიდი ალბათობით, ლარის მერყეობაზე ისეთ ფაქტორებს ჰქონდა გავლენა როგორცაა სწორედ ლარიდან დოლარში დეპოზიტების გადატანა და სავალუტო შემოსულობების შემცირება, რადგან ამ დროს დოლარზე მოთხოვნა იზრდება.

ვიდრე პოლიტიკური სიტუაცია არ განიმუხტება, ალბათ დეპოზიტების დოლარიზაციის ზრდის ტენდენცია გაგრძელდება, რადგან როდესაც კრიზისის, უარყოფითი მოლოდინი აქვს ბაზარს, მას ნაკლები ნდობა აქვს ლარის მიმართ“, – განაცხადა გიორგი კეპულაძემ.

მქსპმრტთა კომენტარები

საინვესტიციო ბანკ „გალტ ენდ თაგარტის“ ეკონომისტმა ლაშა ქავთარაძემ არსებული მდგომარეობა შეაფასა. მისი თქმით, ლარიზაციის შემცირების ძირითადი მიზეზი იყო ლარის გაუფასურება, რომელიც თავის მხრივ გამოიმდინარეობს პოლიტიკური არასტაბილურობიდან და ქუჩაში არსებული პროტესტიდან. ქავთარაძის თქმით, თუ მოლოდინი არის, რომ ლარი გაუფასურდება, ეს შემდეგ თავისთავად აისახება ფასების ზრდაში. ამიტომ, ადამიანი რომ რაციონალურად მოიქცეს, ცდილობს გარკვეულად დააზღვიოს არსებული რისკები. შესაბამისად, დეპოზიტი გადააქვს იმ ვალუტაში, რომელიც მისთვის უფრო მეტად სანდოა. ეს მოხდა კიდევ დეკემბერში.

„რაც შეეხება იანვარს, ლარის გაუფასურება იანვარშიც გაგრძელდა. თუმცა, ჩვენი შეფასებით, დიდი ცვლილება დოლარიზაციის მაჩვენებელში აქ არ უნდა იყოს. იქიდან გამომდინარე, რომ იანვრის ბოლოს ლარის კურსი მნიშვნელოვნად იყო გაუფასურებული, 2.9-სთან

იყო ახლოს“, – განაცხადა ქავთარაძემ. მისი თქმით, პირიქით კონვერტაციის მიზეზი შეიძლება გახდეს ლარის „გამყარება“, რა ტენდენციაც თებერვლის პირველ კვირაში დაფიქსირდა კიდევ.

„შემობრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი არის ლარის „გამყარება“. რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ მოლოდინების გაუმჯობესებას. თუ დღეს არსებული განწყობები შეიცვლება პოზიტიურისკენ, ეს დადებითად იმოქმედებს გაცვლით კურსზე და შესაბამისად, დოლარიზაციის შემცირების მაჩვენებელზე“, – ამბობს ქავთარაძე.

მისი თქმით, კონვერტაციისთვის ასევე მნიშვნელოვანია საპროცენტო სარგებლის მაჩვენებლები და განსხვავებები ლარსა და უცხოურ ვალუტას შორის.

„ყურადღებას მიაქცევს როგორც ბიზნესი, ასევე შინამეურნეობები საპროცენტო განსხვავებებს ლარში და უცხოურ ვალუტაში. თუ საპროცენტო განაკვეთებს შორის განსხვავება მინიმალური იქნება, მაშინ ღიდად არ უნდა იყოს მოლოდინი, რომ ლარში კონვერტაცია დაჩქარდება. მიმზიდველი უნდა იყოს ლარში ინვესტირება, იმისათვის რომ მოხდეს უცხოური ვალუტიდან კონვერტაცია ლარში“, – ამბობს „გალტ ენდ თაგარტის“ ეკონომისტი.

როგორც „თიბისის“ მთავარი ეკონომისტი ოთარ ნადარაია ამბობს, კონვერტაციისთვის ძირითადი ფაქტორი არსებული მოლოდინებია.

„რაოდენობრივად თუ კიმსჯელებით. სავალუტო ბაზარზე ძირითადი და მთავარი ზეწოლა ნამდვილად იყო ე.წ. კონვერტაციები, თუმცა, მდგომარეობა მხოლოდ ამ ფაქტორით არ შემოიფარგლება. ადრეც მითქვამს, რომ ეს პროცესი არჩევენამდე ბევრად ადრე დაიწყო“, – ამბობს ნადარაია.

მისი თქმით, როდესაც გაუფასურების მოლოდინებია, კომპანიები და ფიზიკური პირები ცდილობენ თავიანთი აქტივები, ამ შემთხვევაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში გადაიტანონ და პირიქით, როცა სესხის აღებას ეხება საქმე, ცდილობენ უფრო მეტი ლარში ისესხონ. ეს ყველაფერი ასახვას პოვებს სავალუტო ბაზარზე.

როგორც ნადარაია ამბობს, რადგან დიდი თანხები გადახურდავდა, ეს არ ნიშნავს, რომ თუკი დამატებითი გაუარესების ტენდენცია შეიქმნება, კიდევ დამატებით არ გადახურდავებს ხალხი ლარში არსებულ დეპოზიტებს უცხოურ ვალუტაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბაზარზე მაინც ერთგვარი ბუფერი იქმნება. შესაბამისად, თუ მოლოდინებში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა, უკვე სავალუტო ბაზარზე ლარის ჭარბი მიწოდება გაჩნდება.

„უახლესი ინფორმაციით, დაახლოებით ერთ დონეზეა ლარის და უცხოური ვალუტის დეპოზიტების ბალანსი. ეს ნიშნავს, რომ ამ ფაქტორიდან გამომდინარე, კურსის არც გამყარების და არც გაუფასურების ზეწოლა არ გვაქვს. თუმცა, აქვე დავამატებ, რომ წინასწარი შეფასებით, რასაც ჩვენ ვაკვირდებით, ბოლო პერიოდში ცოტათი მოიმატა სესხების დოლარიზაციამ, რაც თავის

მხრივ ლარის გამყარებაზე მოქმედებს.

მდგომარეობის გაუმჯობესებას სჭირდება მოლოდინების გაუმჯობესება. ახლა რომ ვთქვათ, მოლოდინები გაუმჯობესებულია, სინამდვილეში ასე არ არის. ბიზნესი იქნება თუ ფიზიკური პირი, კითხვებს სვამს – რა იქნება ხვალ? გაუფასურების მოლოდინები მაინც ჭარბობს“, – ამბობს ოთარ ნადარაია.

„თიბისის“ მთავარი ეკონომისტი ყურადღებას ამახვილებს კურსის ცვლილების რისკების დაზღვევის სტრატეგიაზე.

„ჩვენ ვერ ვიტყვით რომ ლარი გაუფასურდება ან არა, მაგრამ ყოველთვის დივერსიფიცირება სჯობს. მხოლოდ ერთ ვალუტაში ქონა როგორც დეპოზიტის, ასევე სესხის, უმეტეს შემთხვევაში არის წამგებიანი სტრატეგია.

დივერსიფიცირება ბევრად უფრო რაციონალური გადაწყვეტილებაა, ვიდრე ის, რაც ხშირად ხდება – ერთი ვალუტიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლა.

უმრავლეს შემთხვევაში ასეთი დამოკიდებულება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის საზიანოა“, – აცხადებს „თიბისის“ მთავარი ეკონომისტი.

კაპიტალის ბაზრის ექსპერტი მარინა გულედანი ეროვნული ვალუტის მიმართ არსებულ ნდობის დაბალ მაჩვენებელზე ამახვილებს ყურადღებას.

„ლარის მიმართ ნდობა არის ძალიან დაბალი. ეროვნული ბანკი ბევრი მექანიზმით ცდილობს დოლარიზაციასთან ბრძოლას და მისი შემცირებისთვის შეზღუდვებს აწესებს სესხების მოცულობის მიხედვით დოლარში და ევროში გატანაზე და ა.შ. მაგრამ ვერაფერს უზამ იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში არის ძალიან მერყევი პოლიტიკური სიტუაცია და შესაბამისად, ადამიანებს ლარის მიმართ დაბალი ნდობა აქვთ“, – აცხადებს გულედანი. მისი თქმით, რადგან ლარის მიმართ მცირე ნდობაა, ადამიანები ადგენენ და უცხოურ ვალუტაში გადააკონვერტირეს. მთავარი მიზეზია, რომ მათ მოლოდინი აქვთ, რომ ლარი გაუფასურდება.

„ფულის შენახვა რადგან გახდა საჭირო, სხვა ყველაფერთან ერთად ურჩევნია დოლარში შეინახოს, მიუხედავად იმისა, რომ დოლარში დეპოზიტზე ბევრად უფრო დაბალ საპროცენტო განაკვეთს იძლევა ბანკი. მაგრამ, იმედგეროულად, უფრო დაბალი რისკიც აქვს“, – ამბობს მარინა გულედანი BM.GE-სთან საუბრისას.

ასე რომ, პოლიტიკური გაურკვევლობა სავალუტო ბაზარზეც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. არსებულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, პოზიტიური მოლოდინის ქონა იგივე ეროვნული ვალუტის მიმართ, უახლოეს პერიოდში ძნელია. ქვეყანაში უწყვეტი პროტესტი არ ცხრება ხელახალი არჩევნების დანიშვნისა და ქვეყნის ნორმალური განვითარების ჩარჩოებში დაბრუნებისთვის, ხელისუფლებაში მყოფი ძალა კი მრავალათასიან პროტესტს არ იმჩნევს და ხელახალი არჩევნების დანიშვნას არ აპირებს. ასეთ სიტუაციაში, რამე საიმედო პროგნოზის გაკეთება რთულია.

თემურ იობაშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შეფასებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი კომპანიებისა და კმირზასი ნახატების საქართველოში გადმოტანა დაიწყო

როგორ გამოიყენა „ქართული ოცნების“ ლიდერმა სათავესოდ „ოფშორების კანონი“

მას შემდეგ, რაც სანქციები ბიძინა ივანიშვილსაც დაუწესეს, ივანიშვილების ოჯახმა ოფშორებიდან საკუთარი აქტივების საქართველოში გადმოტანა დაიწყო. „ოცნების“ წარმომადგენლებისთვის სანქციების დაწესების შესახებ ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში, №12(300)-ში ვწერდით. ამჟამად კი უშუალოდ ივანიშვილების ოჯახის მიერ საქართველოში გადმოტანილ აქტივებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს გასული წლის 27 დეკემბერს დაუწესა სანქციები. მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა განცხადება გაავრცელა:

„აშშ სანქციებს უწესებს ბიძინა ივანიშვილს, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს, რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ, საქართველოს დემოკრატიისა და ევროატლანტიკური მომავლის ძირის გამოთხრისთვის.“

ჩვენ მტკიცედ ვგმობთ „ქართული ოცნების“ ქმედებებს, რომელიც ივანიშვილის ლიდერობით ხორციელდება, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებზე, მომიტინგეებზე, მედიის წარმომადგენლებზე, ადამიანის უფლებათა აქტივისტებსა და ოპოზიციონერებზე ძალადობასა და რეპრესიებს.

შეერთებული შტატები მოწოდებულია ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის დაკისრებას მათზე, ვინც ძირს უთხრის დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს საქართველოში“, – წერია ენტონი ბლინკენის განცხადებაში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ამერიკის სახდების მხრიდან დასანქცირების შემდეგ ივანიშვილების ოჯახმა აქტივების გადმოტანა დაიწყო. ამის შესახებ, დეტალური კვლევა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ (TI) გაავრცელა. ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ივანიშვილების ოჯახი ოფშორებიდან აქტივების გადმოტანას 31 დეკემბერს შეუდგა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 20 იანვრამდე, ბიძინა ივანიშვილმა, მისმა მეუღლემ ეკატერინა ხვედელიძემ და შვილმა უტა ივანიშვილმა დაარეგისტრირეს 4 ახალი

სააქციო საზოგადოება: სს „ატუ ჰოლდინგი“ (უტა ივანიშვილის ეკუთვნის), სს „ტერა“ (ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის), სს „ლუსოლი“ და სს „ჯი სი ეფ საქართველო“ (ეს ორი ეკატერინე ხვედელიძის საკუთრებაშია).

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წერს, ამ კომპანიებზე მათ დაიწვეს იმ ქართული კომპანიების გადმოფორმება, რომლებსაც მანამდე ოფშორული კომპანიების გავლით ფლობდნენ.

„გადმოფორმების ეს პროცესი ბოლო დღეებში განსაკუთრებით გააქტიურდა. საგარაუდოა, რომ ამ პროცესის ბოლოს ივანიშვილების ოჯახი სრულად გადმოაფორმებს მათ ქართულ კომპანიებს ოფშორებიდან.“

29 იანვრის მდგომარეობით, ბიძინა ივანიშვილმა და მისმა უფროსმა შვილმა უტა ივანიშვილმა 4 ოფშორული კომპანიიდან სრულად გადმოიტანეს კომპანიები საქართველოში: 1) *Visalia Enterprises Limited* (ბელიზი) 2) *Gilmar Holding Limited* (ბელიზი) 3) *Fresno Management Limited* (ბელიზი) 4) *Limestone Finance International SA* (პანამა)“, – აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევაში.

ამასთან, როგორც ორგანიზაციის კვლევაშია აღნიშნული, ბიძინა ივანიშვილის სანქცირების შემდეგ, მისი ან მისი ოჯახის წევრების მხრიდან შემდეგი მოქმედებები განხორციელდა:

2024 წლის 31 დეკემბერი: ბიძინა ივანიშვილის უფროსმა შვილმა, უტა ივანიშვილმა სს „ატუ ჰოლდინგი“ დაარეგისტრირა.

2025 წლის 22 იანვარი: ბიძინა ივანიშვილმა, საკუთარი ოფშორული კომპანიიდან *Visalia Enterprises Limited* (ბელიზი) რეგისტრირებული კომპანია), უტა ივანიშვილს უსასყიდლოდ გადასცა ოლიგარქის შუმის სასახლის ნაწილის მფლობელი კომპანია შპს „ფინსერვის XXI“. 24 იანვარს, უტა ივანიშვილმა ეს კომპანია გადასცა მის ახლად დაარეგისტრირებულ კომპანია სს „ატუ ჰოლდინგს“.

2025 წლის 28 იანვარი: „ატუ ჰოლდინგს“ ბელიზზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანიიდან *Fresno Management Limited* უსასყიდლოდ გადაეცა 3 შპს: შპს „ინტერ კონსალტინგ +“, შპს „ქართუ მშენებელი“ და

შპს „ქართუ მენჯემენტი“.

2024 წლის 31 დეკემბერი: შპს „ტერა“, რომლის ერთადერთი მფლობელი ბიძინა ივანიშვილია, სააქციო საზოგადოებად რეორგანიზდა. 2025 წლის 17 იანვარს, სს „ტერამ“ ივანიშვილის მფლობელობაში არსებული ოფშორული კომპანიიდან (Limestone Finance International SA, რეგისტრირებული პანამაში), 7 კომპანია უსასყიდლოდ გადმოიფორმა: შპს „სანაპიროს ხედი“; შპს „ახალი კაპიტალი“; შპს „ინვესტ კაპიტალი“; შპს „ქართუ კონსალტინგი“; შპს „აბასთუმანი 2019“; შპს „ბლექ სი არენა“; შპს „ჯეოფერტ“.

2025 წლის 20 იანვარი: ეკატერინა ხვედელიძემ ოფშორული კომპანიის (GCF Luxembourg SARL) გავლით მის საკუთრებაში არსებული 4 ქართული შპს სააქციო საზოგადოებად გადააკეთა:

- სს „ქართული აგრო სახლი“: კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 2 700 000 ლარს, ხოლო განაღდებული კაპიტალი – 684 000 ლარს. კომპანიის მფლობელია შპს „გრინჰაუს ჰოლდინგი“;

- სს „გეოაგრო“: კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 40 მლნ ლარს, ხოლო განაღდებული კაპიტალი – 31 608 130 ლარს. კომპანიის მფლობელია შპს „აგრო ჰოლდინგი“.

- სს „გალერია თბილისი“: კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 68 მლნ ლარს, ხოლო განაღდებული კაპიტალი – 17 მლნ ლარს. კომპანიის მფლობელია შპს „გალერია ჰოლდინგი“.

- სს „სიმორ“: კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 20 მლნ ლარს, ხოლო განაღდებული კაპიტალი – 5 817 000 ლარს. კომპანიის მფლობელია შპს „რიზორთ ჰოლდინგი“.

2025 წლის 20 იანვარი: ეკატერინა ხვედელიძის მფლობელობაში საქართველოში დარეგისტრირდა სს „ლუსოლი“.

2025 წლის 27 იანვარი: ეკატერინა ხვედელიძის მფლობელობაში საქართველოში დარეგისტრირდა სს „ჯი სი ეფ საქართველო“.

2025 წლის 28 იანვარი: უტა ივანიშვილმა საკუთარ მფლობელობაში უსასყიდლოდ გადმოიფორმა შპს „ქართული ჰოლდინგი“, რომელიც მანამდე უტას ბელიზში რეგისტრირებულ ოფშორულ კომპანია Gilmar Holding Limited-ს ეკუთვნოდა. კომპანიის კაპიტალი შეადგენს 32 087 800 ლარს.

„20 იანვარს ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის, ლამა კალანდაძის, მიერ გავრცელებული განცხადებით ირკვევა, რომ აშშ-ის მიერ პირადად ბიძინა ივანიშვილზე დაწესებული სანქცია რეალურად მის ოჯახის წევრებსაც შეეხო – შვეიცარიულმა ბანკმა Julius Baer-მა ივანიშვილების ოჯახს ანგარიშები გაუყინა – რის გამოც ის ჩივილს აპირებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აგრძელებს დაკვირვებას ბიძინა ივანიშვილის კომპანიებზე, თუ როგორ ცდილობს ის სანქციებისგან თავის დაცვას“, – აღნიშნულია ორგანიზაციის კვლევაში.

იზანიშვილის თადარიგი სანქციებისთვის

როგორც ცნობილია, „ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართ დასავლეთის ლიდერებმა მკაცრი განცხადებების კეთებას მას შემდეგ მოუმატეს, რაც 2024 წლის 3 აპრილს „ოცნებამ“ წინა წელს შემოტანილი და შემდეგ ჩაგდებული ე.წ. „აგენტების კანონი“ ხელახლა შეიტანა დასამტკიცებლად პარლამენტში. ოპოზიციის თუ დასავლელი ლიდერების და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ივანიშვილის პარტიამ ეს კანონი მაინც დაამტკიცა. მაშინვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ძალა დასავლეთს სულ უფრო შორდებოდა, სამაგიეროდ, ქებას იმსახურებდა ოკუპანტი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. ამიტომ, დიდი მკითხაობა არ იყო საჭირო, რომ დასავლეთის ქვეყნები ქართველ მაღალჩინოსნებს სანქციებს აუცილებლად დაუწესებდნენ. ისინი ღიად აფრთხილებდნენ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ძალებს.

სამომავლო სანქციებისგან თავის დასაცავად, გასული წლის აპრილის ბოლოს, პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები დაქარაუხმდა წესით მიიღო. რეგულაციის მიხედვით, საგადასახადო შეღავათები დაწესდა ოფშორში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე, საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის ოპერაციებზე, რომლებიც 2028 წლის 1-ლ იანვრამდე განხორციელდება. კანონის თანახმად, ასეთი კომპანიები გათავისუფლებულია მოგების, სამშენებლო და ქონების გადასახადებისგან. ასევე, ამ ოპერაციის ფარგლებში, აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლება იმპორტის გადასახდელებისგანაც. ცვლილებების მიხედვით, აღნიშნული შეღავათები 2030 წლამდე იმოქმედებს. ამ კანონის შესახებაც ბევრი კრიტიკა მიიღო „ოცნებამ“ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ოპონენტებისგან, თუმცა, არც ამ შემთხვევაში მიაკარეს ყურს ეს კრიტიკა – ივანიშვილის პარტიამ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება.

კომპანიების შემდეგ – კვირფასი ნახატები

ცნობილი ამბავია, რომ ბიძინა ივანიშვილის ძვირფასი ნახატების კოლექციას ფლობს. კომპანიების გადმოფორმების შემდეგ სწორედ ძვირადღირებული ნახატების შესახებ გახდა ცნობილი. 2025 წლის იანვარში საქართველოში უპრეცედენტო ღირებულების 481 მილიონი აშშ დოლარის (1.35 მილიარდი ლარის) ღირებულების ნახატები შემოვიდა – ამის შესახებ შემოსავლების სამსახურის ოპერატიული სტატისტიკის ვებგვერდიდან ხდება ცნობილი.

ანგარიშის თანახმად, იმპორტი განხორციელდა სამი ამანათის მეშვეობით, რომელთაგან ორი აშშ-დან, ერთი კი დიდი ბრიტანეთიდან გამოიგზავნა. ნახატების და მათი გადასატანი ყუთების წონა 6.6 ტონას შეადგენდა.

სასაქონლო კოდები	იმპორტის ქვეყანა	წონა კგ	ღირებულება	ოპერაციის განხორციელების თარიღი
97012100000	აშშ	4,699 კგ.	\$167,600,406	2025-01
97012100000	დიდი ბრიტანეთი	1,432 კგ.	\$252,703,924	2025-01
97019900000	აშშ	526 კგ.	\$60,354,000	2025-01
97019900000 და 97012100000	ჯამი	6,657 კგ.	\$480,658,330	2025-01

ცნობილი გახდა, რომ 2025 წლის იანვარში საქართველოში იმპორტი 45%-ით, 1.6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, აღნიშნული ზრდის მთავარი მიზეზი ქვეყანაში ხელოვნების ნიმუშების შემოტანა იყო. აღნიშნულის გარეშე იმპორტი მხოლოდ 1.1 მილიარდი დოლარი იქნებოდა, წლიური ზრდა კი 1.8%.

ხელისუფლების ოპონენტებმა შარშან, დაჩქარებული წესით მიღებული ე.წ. „ოფშორების კანონი“ (ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში) გაიხსენეს და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილებები კანონში ივანიშვილმა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მიაღებინა პარლამენტს.

უფრო ზუსტად კი, შეგვიძლია ამ ცვლილებებიდან ერთი ფრაგმენტი გავიხსენოთ:

„შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის 2028 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შემთხვევაში:

ა) ამ უცხოური საწარმოს და მისი პარტნიორი ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მიღებული შემოსავალი/სარგებელი, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიიჩნევა, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან;

ბ) აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისგან. ამ ქვეპუნქტის გამოყენების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

გ) საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით 2030 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან“, – წერია „ოფშორების კანონში“.

სწორედ ამ კანონის საფუძველზე, ივანიშვილმა ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე შემოიტანა 1,35 მილიარდი ლარის ღირებულების პროდუქცია. შარშან რომ „ოფშორების კანონი“ არ მიეღო პარლამენტს, ივანიშვილს მხოლოდ ნახატების შემოტანისთვის ბიუჯეტში დაახლოებით 240 მილიონი ლარის გადახდა მოუწევდა.

კომენტარები

ბიზნესმენი და თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ფინანსური მენეჯერი, ამჟამად კი ივანიშვილთან ბიზნეს-დავაში მყოფი გიორგი ბაჩიაშვილი ამბობს, რომ 481 მილიონი დოლარი მხოლოდ ნაწილია და გაცილებით მეტი ღირებულების მქონე ნახატებია რეალურად შემოტანილი.

„ოფშორების კანონი არის პირდაპირ ივანიშვილისთვის შექმნილი სასათბურე პირობები, რომ მას არ მოუწიოს გადასახადების გადახდა, რომელიც მოუწევდა სხვა შემთხვევაში.

ეს არის პირდაპირ დღგ, რომელიც მას უნდა გადაეხადა ამ ნახატების შემოტანისას. თავი აარიდა ქონების გადასახდასაც. თანხები რაც გაუღერდა 481 მილიონი დოლარის ოდენობით, ჩემი აზრით არის მხოლოდ ნაწილი და მილიარდი დოლარის ნახატებზეა საუბარი. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს არის შემცირებული ღირებულებები, ბევრად დიდ სქემაზე და აფერაზე იქნება საუბარი. ამ ქონებაზე დღგ-ის (იგულისხმება საბაჟო დღგ – რედ. შენიშვნა) და შემდგომ ქონების გადასახადის სახით მინიმუმ 300-400 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. მან ამ კანონით თავი აარიდა ამ გადასახადებისგან“, – განაცხადა ბაჩიაშვილმა BMGtv-ის ეთერში.

მისი თქმით, ნახატების 2-2.5 წლის წინ არის შემოტანილი დროებითი იმპორტის რეჟიმით, რომ დღგ არ გადახდილიყო. უკვე ახლა მოხდა მათი დეკლარირება როგორც პირდაპირი იმპორტი და არა დროებითი იმპორტი. შესაბამისად, ბაჩიაშვილის თქმით, ეს არის უკვე ბუღალტრული გატარება და „გაპარავება“, რომ მას ეს ნახატები აქვს ქვეყანაში და გადასახადები არ გადაუხდია.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ შემოტანილ ნახატებს ივანიშვილი სულაც ეროვნული ბანკის საცავში შეინახავს, რაც კანონით დაუშვებელიაო.

„ივანიშვილმა იანვარში ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 480 მილიონი დოლარის ღირებულების ნახატები უცხოეთიდან საქართველოში შემოიტანა. „ოფშორების კანონის“ წყალობით ამ მაქინაციის შედეგად ბიუჯეტში 86 მილიონი დოლარი არ გადაიხადა. „ბლუმბერგის“ შეფასებით, ნახატების რეალური ღირებულება დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარია,

ანუ ბიუჯეტს 180 მილიონი დოლარი დაუმალა.

სად შეინახავს ამ ნახატებს ივანიშვილი? სახლში გამორიცხულია, ჯარი უნდა დააყენოს დასაცავად. „ქართუს“ სარდაფი ამისთვის არ გამოდგება, სპეციალური რეჟიმი საჭირო.

ერთადერთი ადგილი, სადაც ტენიანობის და ტემპერატურის სტაბილური და სტანდარტების შესაბამისი გარემოა, არის ეროვნული ბანკის მონეტარული ოქროს საცავი, სადაც 7 ტონა ოქროს ზოდები ინახება. ვნახოთ, კიდევ ერთხელ გაუწვდის დახმარების ხელს ეროვნული ბანკი ბიძინა ივანიშვილს თუ არა.

ეროვნული ბანკის საცავში, სადაც ნაღდი ფულისა და ოქროს მარაგები ინახება, სხვა პირების ნივთების შენახვა დაუშვებელია. ამისთვის სპეციალური გადაწყვეტილებაა საჭირო, რათა მოხდეს საკასო ცენტრის ფართის კერძო პირებზე გაქირავება. ასეთი რამ არასდროს მომხდარა. სანქციიდან თავის დაღწევის ბევრ ამბავს შევიტყობთ თანდათანობით. მაინც ვერაფერი უშველის“, – დაწერა გოცირიძემ სოციალურ ქსელში.

ბიზნეს-სამართლის სპეციალისტი, იურისტი აკაკი ჩარგეიშვილი bpi.ge-სთან ამბობს, რომ ბიზნესების საქართველოში გადმოტანა მოკლე ვადაში (5-6 წლის განმავლობაში), ქვეყნისთვის სასიკეთოდ არაფერს ცვლის, რადგან ასეთი ბიზნესები მიღებული კანონით, გადასახადებისგან გათავისუფლებულია.

რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, იურისტის თქმით, ნებისმიერი დიდი აქტივის ქვეყანაში შემოსვლა, ზრდის ეკონომიკურ პოტენციალს. თუმცა, იქვე განმარტავს, რომ შესაძლოა, „ვიღაც ბიზნესმენებს ჩაჩოჩება“ მოუწიოს. ეკონომიკურ პარამეტრებში შეიძლება „გასაოცარი რიცხვები“ ვიხილოთ, თუმცა რიგითი მოქალაქისთვის მაინც არაფერი შეიცვლება.

„როდესაც ვამბობთ, რომ ოფშორებიდან რაღაც კომპანიები საქართველოში გადმოვა, ჩვენ არ ვიცით, რომელ სექტორში შევა. თუ ეს აქტივი სოციალურ ეკონომიკაში მოხდება, ნიშნავს, რომ „ვიღაც ბიზნესმენმა“ უნდა ჩაიჩოჩოს. მაგალითად, თუ საწვავის მომწოდებელია ერთი კომპანია და ის ჩანაცვლება მეორე კომპანიით, მომხმარებელმა დიდად შესაძლოა, ვერაფერი იგრძნოს, რადგან ეს მისთვის ხელმიუწვდომელია“, – განაცხადა ჩარგეიშვილმა.

„რაც შეეხება შედარებით მოკლევადიან პერიოდს, ფისკალურ წელთან მიმართებით თუ ვსაუბრობთ, ამხელა აქტივების შემოდინებით, ქვეყნისთვის თავისთავად

არაფერი ხდება. იმიტომ, რომ ასეთი ბიზნესები გადასახადებისგან გათავისუფლებულია. ამ ბიზნესებმა, შესაძლოა, 5-6 წლის შემდეგ თავისი აქტივები ქონების გადასახადიდან მოიტანოს, მაგრამ ახლა ეს არანაირ საბიუჯეტო შემოსავლებს არ მოგვცემს“, – ამბობს აკაკი ჩარგეიშვილი.

საინტერესო იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, მიხეილ ღუნდუას კომენტარი. მისი მტკიცებით, ე.წ. „ოფშორების კანონი“ საქართველოს მოქალაქეების საკეთილდღეოდ არის მიღებული და არა კონკრეტულად ვინმესთვის.

„ამ გარემოების საპირისპიროდ წარმოჩინება, თითქოს სამართლებრივად გამართული კანონით სარგებლობა არის რაიმე სახის უკანონობა, „ჯაშუშური ქსელის“ ცნობილი ხელწერაა. სხვათა შორის, ატეხილი აჟიოტაჟი სრულად ჯდება ბოლო პერიოდში, მსოფლიოსთვის თავსმოხვეული ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის მთავარ ფაბულაში, სადაც სიმართლე არის სიცრუე, კანონიერება არის უკანონობა, შენება არის ნგრევა და სიკეთე არის ბოროტება. ამ მხრივ, ხელის გულზე დევს, რომ ცრუ აჟიოტაჟის შემქმნელები „დიფ სთიეთის“ კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ“, – დაწერა ღუნდუამ.

რაც შეეხება საკითხს, თუ როდის შემოიტანა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში ხელოვნების ნიმუშები, ღუნდუამ არ ისურვა გარკვევა.

„მე შემეძლო ამ ამბის მოკითხვა და გარკვევა, მათ შორის საერთო ადამიანების საშუალებით, მაგრამ დიდ უკულტურობად მიმაჩნია ჩავერიო სხვა ადამიანის პირად ცხოვრებაში და მის საქმიანობაში. ეს არც ჩემი და არც არავის საქმე არ არის“, – დაწერა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ სოციალურ ქსელში.

ასე რომ, თუ მაღალი რანგის მოხელეს, მინისტრის მოადგილეს დაგუჯერებთ, ჩვენც უნდა ვიქონიოთ კულტურა და თუ რომელიმე ოლიგარქი გადასახადების არიდებისთვის ან სანქციებისგან თავის ასარიდებლად თავის მართულ პარლამენტს სათავესო კანონს მიაღებინებს, არ უნდა ჩავედიოთ და გარკვევა არ ვცადოთ...

კარგი იქნებოდა, ბატონ მიხეილ ღუნდუას ისიც დაეწერა, ბიძინა ივანიშვილის გარდა, საქართველოს კიდევ რომელმა და რამდენმა მოქალაქემ ისარგებლა ამ კანონით. ჩვენთვის, ივანიშვილის ოჯახის წევრების გარდა, სხვა ასეთი პირები უცნობია.

თემურ იობაშვილი

იანვარში საგარეო ვაჭრობა 39.2%-ით გაიზარდა – საქსტატი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2025 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2.006 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 39.2 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 403.8 მლნ. აშშ დოლარი იყო (გაიზარდა 19.3 პროცენტით), ხოლო იმპორტი 1.602 მლრდ აშშ დოლარი (გაიზარდა 45.4 პროცენტით).

ამასთან, საქსტატის ცნობით, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2025 წლის იანვარში 1.198 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 59.7 პროცენტია.

სკანდალი აშშ-ის სამართაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გარშემო

პროექტები, რომლებსაც USAID-ი საქართველოში ახორციელებდა

USAID საქართველოს ვებგვერდი უკვე სამი კვირაა აღარ მუშაობს... გაჩერებულია ამ სააგენტოს ათეულობით პროგრამა საქართველოში, ისევე, როგორც საზღვარგარეთ. ახლა USAID-ის მშობელ ქვეყანაში – ამერიკის შეერთებულ შტატებში კამათობენ, იძიებენ, არკვევენ, ეს ორგანიზაცია, რომელიც არაერთ ქვეყანაში საქმიანობდა, მათ განვითარებაში ეხმარებოდა თუ „კორუმპირებული“ და „თაღლითი“ იყო. რაც შეეხება საქართველოში მის საქმიანობას, სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც USAID-ი ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა. ორგანიზაციის ფინანსურ დახმარებას იყენებდა როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ისე საქართველოს მთავრობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდამდე, არ გამოვლენილა არცერთი შემთხვევა, რომ ამ ორგანიზაციას საქართველოში ვინმესთვის, ან რამესთვის სარგებლის გარდა, რაიმე სახის პრობლემა შეექმნა (პროპაგანდისტულ, არაფრით გამტკიცებულ განცხადებებს მხედველობაში არ ვიღებთ).

USAID აშშ-ის მთავრობის წამყვანი განვითარების სააგენტოა. ყოველი შემთხვევისთვის, აქამდე ასე იყო, ვიდრე ამერიკაში მის წინააღმდეგ არაერთი სკანდალი აგორდებოდა. სააგენტო საქართველოში 1992 წელს შემოვიდა, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა 40-მდე სხვადასხვა პროგრამას – საჯარო ინსტიტუტების შექმნა, განათლება, ჯანდაცვა, ეკონომიკის გაძლიერება, სოფლის მეურნეობა და სხვა. USAID საქართველოს ვებგვერდზე (რომელიც ახლა დახურულია) განთავსებული ინფორმაციით, 1992 წლიდან დღემდე USAID-თან თანამშრომლობით საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას 1.9 მილიარდი აშშ დოლარის (!) დახმარება აქვს მიღებული.

ასევე ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდამდე საქართველოში 35-მდე პროგრამა მოქმედებდა. ჩამოვთვლით რამდენიმე მათგანს:

1) პროგრამა „განათლება მომავლისთვის“ – მიზნად ისახავდა საქართველოში მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერებასა და სკოლების მენეჯმენტისთვის შესაძლებლობების გაფართოებას.

2) „განხეთქილების დაძლევა – ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებისათვის“ – ამ პროგრამას USAID კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან“ ერთად ასრულებდა, რომლის მიზანს „კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის (ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოების, მეწარმეებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების) დიალოგისთვის“ და ორმხრივი

ინტერესის სფეროებში თანამშრომლობისთვის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

3) პროგრამა „პარტნიორობა გაძლიერებისთვის“ – ამ პროექტს, რომელიც 2022 წლის 10 მარტს დაიწყო და 2027 წლის 9 მარტს უნდა დასრულდეს, გაეროს განვითარების ორგანიზაციის (UNDP) სააგენტოებთან პარტნიორობით ასრულებდა. მის მიზანს „კონფლიქტით დაზარალებული თემების მხარდაჭერა და გრძელვადიანი მშვიდობის ხელშეწყობა“ ასევე „ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის“ გაუმჯობესება, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ახალგაზრდების და პროფესიული კავშირების გაძლიერება წარმოადგენდა.

4) „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა“ – იგი მხარს უჭერდა საქართველოს სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას. პროგრამის მიზანი იყო მოქალაქეების დემოკრატიული მმართველობისა და მათთვის საჭირობო საკითხების მოგვარების პროცესებში ჩართვა.

5) „კრიტიკული ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოების პროგრამა“ – ამ პროგრამის ფარგლებში USAID საქართველოს მთავრობის კიბერუსაფრთხოების განვითარებასა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესებას უწყობდა ხელს. ამასთანავე „მხარს უჭერდა საქართველოს ინფორმაციის უსაფრთხოების კანონის სრულ დანერგვასა და კიბერუსაფრთხოების კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობას“.

6) „სამხრეთ კავკასიის წყლის რეგიონული პროგრამა“ – იგი სამინისტროებთან, კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიასა და ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა, რათა ხელი შესწყობოდა „გარემოს დაცვისა და წყლის მართვის სფეროში რეგიონულ თანამშრომლობასა“ და წყლის მართვას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. USAID-ის ვებგვერდის თანახმად, იგეგმებოდა, რომ ამ პროგრამის შედეგად „მოხდება წყლის მართვის პოლიტიკის ჰარმონიზაცია“, ხოლო „ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს გარემოს დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას“.

7) „შუა დერეფნის, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის პროგრამა“ – ამ პროგრამის ფარგლებში USAID საქართველოსთან თანამშრომლობდა კერძო და საჯარო კაპიტალის მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით, რათა გაზრდილიყო საქართველოს „როგორც ალტერნატიული დერეფნის სიცოცხლისუნარიანობა“. პროგრამის

დასახული მიზანია, რომ შუა დერეფანში ქვეყნის პოზიცია გააძლიეროს, ევროკავშირთან სავაჭრო და სატრანსპორტო შესაძლებლობების დივერსიფიკაციას ხელი შეუწყოს. პროექტი ასევე მიზნად ისახავდა სამეზავრო ტრანსპორტში ინვესტიციის ჩადებას და გარემოზე „საქართველოს ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სექტორის უარყოფითი გავლენის“ შემცირებას“.

8) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ტურიზმის პროგრამა – მისი მიზანი იყო „ტურიზმის სექტორში საერთო ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით“ სამხრეთ კავკასიის რეგიონში „გრძელვადიანი რეგიონული თანამშრომლობის“ ხელშეწყობა.

9) „ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლის ფარგლებში USAID თანამშრომლობდა საქართველოს მთავრობასთან და კერძო სექტორთან ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით, „გარე მავნე აქტორებზე“ ენერგეტიკული დამოკიდებულების შესამცირებლად და „ძლიერი, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ენერგეტიკული ბაზრის“ შესაქმნელად.

10) USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავდა „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან არსებულ ადმინისტრაციულ გამოყოფაზე დასაყრდენი და საქართველოს სხვა მოწვევადი რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ჩართულობის გაზრდას“.

11) სოფლის მეურნეობის ექსპორტის დივერსიფიკაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც „გრანტები და სხვა რესურსები“ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გამოიყოფოდა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა „სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ტექნიკურ“ დახმარებას. ასევე, მეწარმეებს მარკეტინგისა და სხვა აქტივობების სწორ დაგეგმვაში უნდა დახმარებოდა.

12) ფინანსური ინოვაციების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა „დივერსიფიცირებული საინვესტიციო რესურსებისა და ინოვაციური ფინანსური პროდუქტების ნაკადის გაზრდას საქართველოს კერძო სექტორში“.

13) ადგილობრივი მმართველობის პროგრამა რომელიც „დეცენტრალიზაციის რეფორმების ფარგლებში, მხარს უჭერდა საქართველოში უფრო ეფექტიან და ანგარიშვალდებულ ადგილობრივ ხელისუფლებას“. პროგრამა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მთავრობების შესაძლებლობების გაძლიერებას.

14) საქართველოს აუდიტის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აშშ-ის ანგარიშვალდებულების სამსახურის აუდიტის ცენტრი საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ეხმარებოდა „სამთავრობო სააგენტოების მიერ საჯარო ფონდების გამოყენების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას“ უზრუნველყოფაში.

სხვათა შორის, აუდიტის პროფესიის არაერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში განვითარებისა და რეფორმების ხელშეწყობისთვის USAID-ის მიერ შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია. მაგალითად, 1998-1999 წლებში სწორედ საქართველოში USAID-ის კონტრაქტორებმა („სიბლი ინტერნეშენელი“, „ბარენც ჯგუფი“ და „კარანა კორპორეიშნი“) განახორციელეს პროექტი სახელწოდებით „ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა საქართველოს საწარმოებში“ და ბაფ-თან ერთად დიდი როლი შეასრულეს იმაში, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება დაკანონდა; მათი მხარდაჭერით მოხდა ლექტორების გადამზადება; მოგვიანებით, სწორედ USAID-ის დახმარებით განხორციელდა ამ სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი – მსს ფასს-ის სატრენინგო მასალების თარგმნის, პრეზენტაციების მომზადების, ტრენინგების გადამზადების და საპილოტე ტრენინგების ჩატარების მიმართულებით ამ ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა ასევე საშემფასებლო საქმიანობის შესახებ კანონპროექტი.

USAID საქართველოს სხვა პროგრამებია: პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“; „სამართლის უზენაესობის პროგრამა“; „სამოქალაქო განათლების პროგრამა“; „მცირე პროექტების დახმარება“; „მედია პროგრამა“; „ინფორმაციის სანდოობის ხელშეწყობის პროგრამა“; პროგრამა „სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა“; „საჯარო მმართველობის პროგრამა“; პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“; პროგრამა „ანგარიშვალდებულება, სამართლიანობისა და რეფორმების ხელშეწყობა არჩევნებში“; პროგრამა „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“; პროგრამა „პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგი“; პროგრამა „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-25 წლებში“.

ამჯერად, როგორც უკვე აღვნიშნეთ USAID-ის პროგრამები გაჩერებულია, მათ შორის საქართველოში სრულად, USAID საქართველოს ვებგვერდი კი აღარ ფუნქციონირებს. სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში USAID-ის დაფინანსებით მიმდინარე პროგრამებს პრობლემები პირველად მაშინ შეექმნა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა. შემდეგ კი ამ ყველაფერს ამერიკაში მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მოჰყვა.

20 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც დაავალდებულა სააგენტოს ყველა ხელმძღვანელს, 90 დღის განმავლობაში,

დაუყოვნებლივ შეეჩერებინათ ახალი ვალდებულებები და გადარიცხვები, სანამ პროგრამის ეფექტიანობა და შეერთებულ შტატების საგარეო პოლიტიკასთან შესაბამისობა არ გადაიხედებოდა.

„USAID-ში კორუფციამ ისეთ ღონეს მიიღწია, როგორიც აქამდე იშვიათად უნახავს ვინმეს, დახურეთ ის“, – დაწერა სოციალურ ქსელში 7 თებერვალს ღონაღდ ტრამპმა. „USAID-ი რადიკალურ მემარცხენეებს აგიჟებს და მათ არაფრის გაკეთება შეუძლიათ ამის წინააღმდეგ. ფულის დიდი ნაწილი ისე თაღლითურად დაიხარჯა, რომ ამის ახსნა სრულიად შეუძლებელია!“, – განაცხადა აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა.

მანამდე, თეთრმა სახლმა USAID-ის მიერ სახსრების ფლანგვისა და ბოროტად გამოყენების რამდენიმე მაგალითი გამოაქვეყნა, სათაურით – „USAID-ში სახსრების ფლანგვასა და ბოროტად გამოყენებას ღრმა ფესვები აქვს“.

როგორც თეთრი სახლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, ათწლეულების განმავლობაში სააგენტო არ იყო ანგარიშვალდებული გადასახადების გადამხდლების წინაშე, რადგან ის, პრაქტიკულად ზედამხედველობის გარეშე, დიდ თანხებს მიმართავდა „ფესვადგმული ბიუროკრატების საყვარელ, სასაცილო, ხშირ შემთხვევაში კი, მავნებლური პროექტებისთვის“.

თეთრი სახლის ჩამონათვალში შემდეგი მაგალითებია მოყვანილი: 1,5 მილიონი დოლარი „სერბეთის სამუშაო ადგილებისა და ბიზნეს საზოგადოებებში მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის განვითარებისთვის“; 70 ათასი დოლარი ირლანდიაში მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის (DEI) მიუზიკლის შექმნისთვის; 47 ათასი დოლარი კოლუმბიაში „ტრანსგენდერული ოპერისთვის“; 32 ათასი დოლარი პერუში „ტრანსგენდერული კომიქსისთვის“; 6 მილიონი დოლარი ეგვიპტეში ტურიზმისთვის; ასობით ათასი დოლარი ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული არაკომერციული ორგანიზაციებისთვის, მას შემდეგაც კი, რაც გენერალურმა ინსპექტორმა გამოიძეა დაიწყო და სხვა. ამ ჩამონათვალში ორგანიზაციის მიერ საქართველოში განხორციელებული პროგრამები არ მოხვდა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ კი აღნიშნა, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ისეთ პროგრამებს, რაც მასპინძელ მთავრობებს აღაშფოთებდა.

„ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრეტენზია, თუ საელჩოებში მიხვალთ მთელ მსოფლიოში, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირებისგან და ელჩებისგან არის ის, რომ USAID-ი არის არა მხოლოდ თანამშრომლობისკენ მიდრეკილი, არამედ ისინი ძირს უთხრიან იმ საქმეს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ იმ ქვეყანაში, რაც აღაშფოთებს მასპინძელ მთავრობას, ვისთვისაც ჩვენ ვცდილობთ მუშაობას უფრო ფართო მასშტაბით“, – განაცხადა მარკო რუბიომ.

„USAID-ის მკვლელობა არის ყველაზე ავტორიტეტის გამარჯვება“, – ასეთი მაკრიტიკებელი სათაურით გამოქვეყნდა გამოცემა „ნიუ იორკ თაიმში“ USAID-ის ყოფილი ხელმძღვანელის, სამანტა პაუერის წერილი, რომელიც ამ თანამდებობას 2021-2025 წლებში იკავებდა. 1TV.ge-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული თარგმანის მიხედვით, სამანტა პაუერი აღნიშნავს, რომ შოკირებულია საკუთარი მთავრობის მხრიდან თავდასხმით USAID-ის პროგრამების და მათზე მომუშავე საჯარო მოხელეების მიმართ.

„ჩვენ აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი და ძვირადღირებული საგარეო პოლიტიკური შეცდომის მოწმენი ვართ. ღონაღდ ტრამპის მეორე ვადის დაწყებიდან სამ კვირაზე ნაკლებ დროში მან, ილონ მასკმა და სახელმწიფო მდივანმა, მარკო რუბიომ შეაჩერეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარების პროგრამები მთელ მსოფლიოში. ამით მათ საფრთხე შეუქმნეს მილიონობით სიცოცხლეს, ათასობით ამერიკულ სამუშაო ადგილს და მილიარდობით დოლარის ინვესტიციებს ამერიკულ მცირე ბიზნესებსა და ფერმებში და ამავე დროს, სერიოზულად ძირი გამოუთხარეს ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას და გლობალურ გავლენას – ეს ყველაფერი მაშინ, როცა ავტორიტარები და ექსტრემისტები თავიანთ წარმატებას ზეიმობენ“, – აღნიშნა სამანტა პაუერმა.

როგორ დასრულდება USAID-თან დაკავშირებული სკანდალი, ალბათ რამდენიმე თვეში გაირკვევა. თეთრ სახლში, ღონაღდ ტრამპთან ერთად გამართულ ბრიფინგზე, აშშ-ის სამთავრობო ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ილონ მასკმა განაცხადა, რომ USAID-ის გარკვეული პროგრამები იყო ღირებული, რომელთა გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციამ. „ვფიქრობ, არის გარკვეული ღირებული რაღაცები, თუმცა ზოგადად თუ ვიტყვით, როგორია ჩადებული სახსრების შედეგი, მე ვიტყვით, რომ არ არის ძალიან კარგი. იქიდან, რასაც USAID-ი აკეთებდა, ბევრი რამ არჩევნებზე გავლენას ახდენდა იმგვარად, რაც, ჩემი აზრით, იყო საეჭვო“, – განაცხადა მასკმა.

კონკრეტულად, რომელ პროექტს ჩათვლის ადმინისტრაცია ღირებულად და ამ ჩამონათვალში მოხვდება თუ არა ის პროექტები, რომლებიც საქართველოში ხორციელდებოდა, ალბათ, ესეც ცოტა ხანში გახდება ცნობილი.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რას და როგორ საქმიანობდა USAID-ი სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის მის მიერ გაწეული დახმარება ძალიან მოცულობითი და მნიშვნელოვანია. ბევრი სპეციალისტი დასანანად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ამ ორგანიზაციას, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა საქართველოსთვის, ხელისუფლების წარმომადგენლები, მადლობის სიტყვების ნაცვლად, კრიტიკული თავდასხმებით აცილებენ...

მაკა ხარაზიშვილი

ყველაზე მსხვილი აზარტული თამაშების კომპანიები საქართველოში

რა შემოსავლები და მოგება აქვს სათამაშო ბიზნესს?

აზარტული თამაშების სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი ბიზნესია. ამასთანავე, ბოლო წლებში ეს სექტორი ხასიათდება საკმაოდ დიდი და მზარდი კონკურენციით. ამ სექტორის ძირითადი შემოსავალი ონლაინ თამაშებია, რომელსაც ქართველებთან ერთად, აქტიურად მიმართავენ უცხოელი მომხმარებლებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტში თანხების გაზრდის მიზნით, მთავრობამ არაერთხელ შეცვალა ამ სექტორის დაბეგვრის რეჟიმი. ამასთანავე, გამკაცრებული რეგულაციების მთავარ მოტივად აზარტული თამაშობების გავლენისგან მომხმარებელთა დაცვა დასახელდა.

2022 წლის იანვრიდან ონლაინ კაზინოდან შემოსავალი სპეციფიკური დაბეგვრის რეჟიმს ექვემდებარება. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, განაწილებული მოგების დაბეგვრის მაგივრად, იბეგრება ონლაინ კაზინოს თამაშებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი (ანუ სხვაობა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებისთვის გადახდილ მოგებას შორის) 10%-იანი განაკვეთით. გარდა ამისა, 2023 და 2022 წლებში, ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება მსგავსი სპეციფიკური დაბეგვრის რეჟიმს, სადაც განაწილებული მოგების მაგივრად, იბეგრება ონლაინ ტოტალიზატორის ბრუტო შემოსავალი (ანუ მიღებული ფსონები) 7%-იანი განაკვეთით. შედეგად, ონლაინ ტოტალიზატორიდან და ონლაინ კაზინოდან მიღებული მოგების შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა აზარტული თამაშების რეგულაციაში კიდევ ერთი ცვლილებები დაამტკიცა, რაც გადასახადების გაზრდასა და სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების ცვლილებას გულისხმობდა. საგადასახადო ცვლილებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ლიცენზიასთან დაკავშირებული ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 ივნისიდან, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული, მთლიანი სათამაშო შემოსავლის (GGR) გადასახადის 5%-იანი ზრდა (GGR გადასახადის არსებული 10%-იდან 15%-მდე ზრდა) და ონლაინ მოთამაშეების მიერ გატანილ თანხებზე დადგენილი გადასახადის 3%-იანი ზრდა (გადასახადის არსებული 2%-იდან 5%-მდე ზრდა).

2024 წლის ივნისიდან: 1) სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების სალიცენზიო მოსაკრებელი – დადგინდა წელიწადში 5,000 ათასი ლარი. 2) სისტემურ-ელექტრონული ფორმით სლოტ აპარატების თამაშობების ორგანიზების

სალიცენზიო მოსაკრებელი – დადგინდა წელიწადში 1,000 ათასი ლარი, ამასთანავე, აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის აღარ იქნება სავალდებულო სამორინეების ფლობა, სლოტ აპარატების თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩასატარებლად. 3) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების სალიცენზიო მოსაკრებელი წელიწადში 100 ათასი ლარით განისაზღვრა.

2024 წლის ივნისიდან, აზარტული თამაშების ბიზნესის სისტემურ-ელექტრონული მოსაკრებლები სამ კატეგორიად გაიყო: კაზინოს თამაშები, სლოტ აპარატების თამაშები და ტოტალიზატორი (სპორტული ფსონები), საიდანაც კომპანია კვარტალურად გადაიხდის 300 ათას ლარს მხოლოდ სლოტ თამაშებისთვის და სპორტული ფსონების (ტოტალიზატორის) საქმიანობისთვის – რადგან მას ექნება სამორინე და ტოტალიზატორი.

კიდევ ერთი ცვლილებებით, 2025 წლის იანვრიდან კომპანიებისთვის, რომლებიც ონლაინ აზარტული თამაშების გამართვის ლიცენზიას ფლობენ, მოგების გადასახადი კიდევ გაიზარდა 15%-დან 20%-მდე. მთავრობა იმედოვნებს, რომ წელს, ამ ცვლილების შედეგად ბიუჯეტში დამატებით 115 მილიონი ლარი შევა.

ამასთანავე მომხმარებლების დაცვის მიზნით, აზარტული თამაშების ორგანიზატორებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის რეკლამის ორგანიზება, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების, ტელევიზიის, რადიოს მეშვეობით და ასევე გარე სივრცეებში გავრცელება გარკვეული გამონაკლისებით. დაწესდა ასაკობრივი შეზღუდვები. 25 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ეკრძალებათ. აღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება 18 წელზე უფროსი ასაკის უცხოელებზე. ასევე განისაზღვრა „აკრძალული პირის“ ცნება და აკრძალულ პირთა სიაში შევიდნენ ის პირები, რომლებიც არიან დასაქმებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში, მარეგულირებელ ორგანოებში, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში. აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ასევე აკრძალულია დამოკიდებულ პირთა სიაში შეყვანილი პირებისთვის, რაც მოიცავს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა მონაცემებს. ამასთანავე ოპერატორებს მოეთხოვებათ ყოველწლიურად განახორციელონ მოთამაშეების კერიფიკაცია.

უფრო სრული სურათისთვის, თუ რა მდგომარეობაა აზარტული თამაშების ბაზარზე გთავაზობთ რამდენიმე მსხვილი კომპანიის 2023 წლის ფინანსურ მონაცემებს, რომელიც 2024 წლის შემოდგომას გამოქვეყნდა.

შპს „ქართული კაპიტალ ჯგუფი“ (ს/ნ 204571427):

კომპანიის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა აუდიტორულმა კომპანია „თიემსიმ“. შპს „ქართული კაპიტალ ჯგუფი“ 2009 წელს დაფუძნდა. კომპანიის სავაჭრო მარკაა სამორინე „შანგრილა“, რომელსაც მართავს საერთაშორისო კომპანია „STORM BRAIN INTERNATIONAL“. სამორინე „შანგრილა“ კლიენტებს სთავაზობს როგორც სამაგიდო თამაშებს (პოკერის ოთხი სახეობა, რულეტი, ბლექჯეკი, პუნტო-ბანკო), ასევე თანამედროვე სათამაშო აპარატების დიდ არჩევანს. კომპანიის მფლობელობა 2023 წლის ბოლოსათვის განსაზღვრული იყო შემდეგნაირად – STORM BRAIN INTERNATIONAL B.V. – 60%, ალექსანდრ დოროგოვი (რუსეთი) – 14%, ოლეგ ანდრეევი (რუსეთი) – 13%, ეკატერინა ოგოროდნიკოვა (რუსეთი) – 13%. ამჟამად, ოლეგ ანდრეევი როგორც მოწილე, ანჟელიკა ანდრეევით (პოლონეთი) არის შეცვლილი,

2023 წლის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულება 16.7 მილიონი ლარი იყო, 5.0 მილიონი ლარით ნაკლები 2022 წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი 5.8 მილიონი ლარით, 12.9 მილიონ ლარამდე შემცირდა.

დოკუმენტის მიხედვით, 2023 წელს კომპანიის შემოსავალმა 54.0 მილიონი ლარი შეადგინა, 10.0 მილიონი ლარით ნაკლები 2022 წელთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში კაზინოს შემოსავალი 27,5 მილიონი ლარი იყო, სლოტის შემოსავალი კი 26,1 მილიონი ლარი. კომპანიამ 2023 წელი 5.8 მილიონიანი ზარალით დაასრულა, მაშინ, როცა 2022 წელს მისი მოგება 8.9 მილიონი ლარი იყო.

შპს „ბეთლაივი“ (ს/ნ 404983238):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი კომპანია KPMG Georgia-მ ჩატარა. შპს „ბეთლაივი“ 2013 წლის 25 მარტს დაფუძნდა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორისა და ონლაინ კაზინოს თამაშების პლატფორმას. კომპანია 2023 წლის განმავლობაში აგრეთვე ახორციელებს საქმიანობას მიწის ობიექტებზეც, მარნეულში მდებარე ტოტალიზატორისა და სლოტ კლუბის, ასევე თბილისში არსებული ტოტალიზატორის მეშვეობით. კომპანიის აქციონერები 2023 წლის ბოლოს იყვნენ: შპს „აიტი ვენჩარი“ – 40%, სულიკო ვარსემაშვილი – 38%, დავით ველიჯანაშვილი – 19%, თამაზ ზარაიძე – 3%. ამჟამად დავით ველიჯანაშვილის ნაცვლად მოწილე გახდა ნანა ჯანაშია.

2018 წლის მაისში, შპს „ბეთლაივიმ“ კიურასაოში მის 100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია „Betlive 2017 N.V.“ დააარსა. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კიურასაოს მთავრობის მიერ მინიჭებული ლიცენზიის ფლობა, რომელიც მას

ონლაინ თამაშების საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევს, 2023 წლის მარტში, ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, შვილობილი კომპანიის „Betlive 2017 N.V.“ ლიკვიდაციის და კომპანიის დომენზე სრული კონტროლისა და საკუთრების შპს „ბეთლაივი“-სთვის გადაცემის შესახებ.

2023 წლის მონაცემებით, კომპანიის აქტივების ღირებულებამ 21.5 მილიონი ლარი შეადგინა, 4.7 მილიონი ლარით მეტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ხოლო კაპიტალის მოცულობა 3.8 მილიონი ლარი იყო, 4.0 მილიონი ლარით ნაკლები 2022 წელთან შედარებით.

2023 წელს კომპანიის შემოსავლები 38.1 მილიონი ლარით 174.1 მილიონ ლარამდე გაიზარდა. შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ონლაინ მომხმარებლებს უკავშირდება. კომპანიის შემოსავლები განსაკუთრებით გაიზარდა ონლაინ კაზინოებიდან – დაახლოებით 27 მილიონი ლარით, 108.9 მილიონ ლარამდე, ონლაინ ტოტალიზატორებიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 52.6 მილიონი ლარი შეადგინა, მიწის სლოტ კლუბებიდან კომპანიამ 4.9 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო მიწის ტოტალიზატორიდან – 397 ათასი ლარი. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ 55.9 მილიონი ლარი შეადგინა, 8.4 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“ (ს/ნ 445472667):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „პრესტიჟ-აუდიტმა“ ჩატარა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სამორინე და სათამაშო ბიზნესი. დამატებითი საქმიანობაა: სარესტორნო მომსახურება და ვალუტის გაცვლა. კომპანიამ ოპერირებს სავაჭრო ნიშანი Eclipse-ს ქვეშ. შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“ 2015 წლის 3 ნოემბერს დაარსდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დიდი რესურსი ჩაიდო სარესტორნო მიმართულებით და დღეის მდგომარეობით რესტორანი, კომერციული დასახელებით – G.Garden განთავსებულია ბათუმში. კომპანიაში ასევე ფუნქციონირებს ღამის კლუბი „MOON“.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელებია: „პეფტერსონა ლიმიტედ“ (კვიპროსი) – 70% წილით, ილია ბულიჩევი (კვიპროსი) – 30% წილით. თავად „პეფტერსონა ლიმიტედ“-ის 100%-იანი წილის მფლობელია ერიკ ბოუტროსი (კვიპროსი), რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს.

2023 წელს კომპანიის აქტივების ღირებულებამ 40.6 მილიონი ლარი შეადგინა, 7 მილიონი ლარით ნაკლები 2022 წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი უარყოფითი – (79,419,634) ლარი იყო.

2023 წელს წინა წელთან შედარებით კომპანიის შემოსავლები 16.7 მილიონი ლარით 52.2 მილიონ ლარამდე გაიზარდა. კომპანიამ სამორინეს მაგიდიდან

26.9 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, სამორინეს აპარატებიდან – 24.9 მილიონი ლარი, ტოტალიზატორიდან – 275 ათასი ლარი, რესტორნიდან – 6.0 მილიონი ლარი. კომპანიამ საანგარიშო 2023 წელი 4.8 მილიონი ლარის ზარალით დაასრულა. წინა, 2022 წელს კი მისი მოგება 6.4 მილიონი ლარი იყო.

შპს „ვეროპაბეთი“ (ს/ნ 240420647):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „ფრაიზოთერჰაუსკუპერს საქართველომ“ ჩაატარა. ჯგუფის ძირითადი ბიზნესსაქმიანობაა ონლაინ ფსონები და ონლაინ აზარტული ოპერაციები, რომლებიც მომხმარებელს შემდეგ პროდუქტებს სთავაზობს: ონლაინ ტოტალიზატორი, ონლაინ კაზინო, სლოტ თამაშები, პოკერი და თანაბარუფლებიანი თამაშები („P2P“) საქართველოში. კომპანია 2009 წლის 18 ნოემბერს დაარსდა. კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია არის Betsson Perch Investments AB, რომლის საბოლოო მაკონტროლებელია Betsson AB. კომპანია წარმოადგენს მშობელ კომპანიას შემდეგი ფირმებისთვის: შპს „ვეროპაბეთი“, შპს „ვეროპაბეთ საქმავო“ (წარსულში ცნობილი როგორც შპს „ჯეოსლოტი“), შპს „ვიპ ბეთი“, შპს „ვეროპაბეთ გორი“ და შპს „ვეროპაბეთ რუსთავი“, ასევე ბელარუსში რეგისტრირებული კომპანია შპს „ნევაფლეი“, რომელიც ოპერირებდა აზარტული თამაშების ინდუსტრიაში.

2023 წელს კომპანიის აქტივების ღირებულება 17 მილიონ ლარამდე შემცირდა და 31.5 მილიონი ლარი შეადგინა. კაპიტალის მოცულობა კი 6.8 მილიონი ლარი იყო, 10 მილიონი ლარით ნაკლები წინა წელთან შედარებით.

2023 წელს კომპანიამ 164.8 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, დაახლოებით 13.0 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით. შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან 115.9 მილიონი ლარი იყო, შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორის აქტივობებიდან – 40.2 მილიონი ლარი, შემოსავალი თანაბარუფლებიანი თამაშებიდან – 3.3 მილიონი ლარი. კომპანიის მოგება კი 3.2 მილიონი ლარით, 36.6 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

შპს „ენტეინ ჯორჯია“ (ს/ნ 405435596):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი კომპანია KMPG Georgia-მ ჩაატარა. შპს „ენტეინ ჯორჯია“ 2021 წლის 8 თებერვალს დაარსდა. შპს „მარსი“ კომპანიის შვილობილ საწარმო წარმოადგენს. შპს „მარსი“ ასევე ამუშავებს სამორინეს, ტოტალიზატორს და ოც საღარო დახლს. „ენტეინ ჯორჯიას“ მესაკუთრეა „Bwin Holdings (მაღტა) Limited“. გარდა ზემოთ ხსენებულისა, ჯგუფი ასევე წარმოადგენილია სათამაშო ინდუსტრიის საცალო სექტორში. კერძოდ, ფლობს: მიწის სამორინეს – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და მიწის ტოტალიზატორს – ქალაქ ბორჯომში.

2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების ღირებულება წინა წელთან შედარებით 32.8 მილიონი

ლარით 55.1 მილიონ ლარამდე შემცირდა. ამ პერიოდში, კომპანიის კაპიტალის მოცულობა (461 838 ათასი) ლარი ანუ უარყოფითი სიდიდე იყო.

„ენტეინ ჯორჯია“ სათამაშო ბიზნესის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიაა. 2023 წელს მისმა შემოსავლებმა 448.6 მილიონი ლარი შეადგინა, 32.0 მილიონი ლარით მეტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან 321.4 მილიონი ლარი, იყო შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან – 108.2 მილიონი ლარი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ონლაინ მომხმარებლებს უკავშირდება. 2023 წელს კომპანიის მოგება 140.0 მილიონი ლარი შეადგინა – 27.7 მილიონი ლარით მეტი 2022 წელთან შედარებით.

შპს „ლიმონი 2009“ (ს/ნ 204571490):

ეს კომპანია ცნობილია კაზინო „ივერიის“ სახელით. მისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი KPMG Georgia-მ ჩაატარა. შპს „ლიმონი 2009“ 2009 წლის 11 აგვისტოს დაფუძნდა. კომპანია ორ ტერიტორიულ ერთეულზე ოპერირებს – ბათუმში და თბილისი. დაარსებიდან 2015 წლამდე კომპანიას მხოლოდ ორი შემოსავლის წყარო ჰქონდა: შემოსავლები კაზინოს „ლაივ თამაშებიდან“ და შემოსავლები „სლოტ“ აპარატებიდან. 2015 წელს კომპანიამ მომხმარებლებს შესთავაზა ახალი პროდუქტი, რომელიც მოიცავს ფსონებს სპორტზე. მომხმარებლებისთვის ეს სერვისი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბათუმში. 2021 წლიდან კომპანიამ შეაჩერა აღნიშნული სერვისის მიწოდება მომხმარებლებზე. 2020 წლიდან, კომპანიამ „Complex Republic“-ის საქმიანობის მართვა დაიწყო, რომელიც მოიცავს რესტორნებსა და გასაქირავებელ ფართს სხვადასხვა ღონისძიებებისათვის. 2022 წელს კომპანიამ მომხმარებლებს შესთავაზა ახალი პროდუქტი, რომელიც გულისხმობს „peer-to-peer“ თამაშს. მომხმარებლებისთვის ეს სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ ბათუმში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 88%-ის მფლობელია შპს „Silk Real Estate“ და 12%-ის მფლობელია შპს „ივერია ჯგუფი“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მაღტა) ლიმიტედი“, რომელიც ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმოა.

2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების ღირებულება წინა წელთან შედარებით თითქმის 7 მილიონი ლარით შემცირდა და 102.1 მილიონი ლარი შეადგინა. მთლიანი კაპიტალის მოცულობამ კი 62.6 მილიონი ლარი იყო, რაც 10 მილიონი ლარით ნაკლებია 2022 წლის მონაცემებთან შედარებით.

2023 წელს კომპანიამ 155.4 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, რაც 7 მილიონი ლარით ნაკლებია 2022 წელთან შედარებით. შემოსავალი კაზინოს „ლაივ“ თამაშებიდან – 83.4 მილიონი ლარი, შემოსავალი

„სლოტ“ აპარატებიდან – 62.4 მილიონი ლარი, შემოსავალი „peer-to peer“ თამაშებიდან (შემოსავალი „peer-to peer“ თამაშებიდან წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს პერიოდის ბოლომდე დასრულებული თამაშებიდან) – 1.1 მილიონი ლარი, სხვა შემოსავალი – 8.4 მილიონი ლარი. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით კომპანიის მოგება 10.8 მილიონი ლარით შემცირდა და 41.9 მილიონი ლარი შეადგინა.

შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“ (ს/ნ 439397467):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „ბიდიო აუდიტმა“ ჩაატარა. შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“ 2016 წელს დაფუძნდა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მულტიბერენდული სათამაშო ვებგვერდის საქმიანობის წარმართვა, რომელიც მომხმარებელს ონლაინ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, ონლაინ „peer-to peer“ და სხვა თამაშებს სთავაზობს. კომპანიას აქვს აღებული ლიცენზიები მიწის ტოტალიზატორებისთვის, რომელიც გასწვლია ქუთაისში, სამტრედიისში, საჩხერესა და თბილისში. 2020 წელს კომპანიამ ფიზიკურ პირებთან ერთად დააფუძნა შპს „ლიდერბეთ პლიუსი“, სადაც ფლობს 20%-იანი წილს. კომპანიის მეწილეებს და საბოლოო მაკონტროლებელ მხარეებს 2023 წლის წარმოადგენდნენ: ქართლოს დიასამიძე – 40 პროცენტი,

აკაკი შუბითიძე – 30 პროცენტი, ბესიკ ხოკერაშვილი – 30 პროცენტი. ამჟამად, აკაკი შუბითიძე ფლობს კომპანიის 15%-ს, ხოლო 15% – დავით ჩხიტუნიძის საკუთრებაშია.

2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების ღირებულებამ 26.0 მილიონი ლარი შეადგინა, 643 ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. მთლიანი კაპიტალის მოცულობა კი 5.9 მილიონი ლარი იყო, 4.6 მილიონი ლარით ნაკლები 2022 წელთან შედარებით.

2023 წელს კომპანიის შემოსავალმა 173.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 15.9 მილიონი ლარით მეტია 2022 წელთან შედარებით. კომპანიამ ონლაინ კაზინოების თამაშიდან 112.9 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, ონლაინ ტოტალიზატორიდან – 55.2 მილიონი ლარი, მიწის ტოტალიზატორიდან – 2.0 მილიონი ლარი. საანგარიშო პერიოდში კომპანიის მოგება წინა წელთან შედარებით 7.8 მილიონი ლარით გაიზარდა და 51.6 მილიონი ლარი შეადგინა.

როგორც აქ განხილული 7 მსხვილი კომპანიის ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლებიდან ჩანს, ყველა მათგანს არ ჰქონია მოგება (2 მათგანს წლის მონაცემებით ზარალი აქვს), მაგრამ ვისაც მოგება აქვს, მათი ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, შთაბეჭდავად დიდია.

მაკა ხარაზიშვილი

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოებები და მიმოხილვის პრიორიტეტები – მეხუთე გამოცემა

ფინანსური ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახური, ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით, ყოველწლიურად მიმოხილავს საწარმოთა მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, ასევე ავლენს იმ პრიორიტეტებსა და მიდგომებს, რომლებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვისას. მათი გათვალისწინებით ყოველწლიურად ქმნის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოებისა და მიმოხილვის პრიორიტეტების დოკუმენტს. ზემოხსენებულ საკითხებთან ერთად დოკუმენტში განხილულია ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მახასიათებლები, რომლის მიხედვითაც საწარმოებმა უნდა მოამზადონ ყოველწლიური, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება.

დოკუმენტში ასახულია სამსახურის მიერ 2024 წელს შერჩეული 2022-2023 წლების ფინანსური ანგარიშგებების ფასის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამოებები. კერძოდ, სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტში შეჯამებულია სდპ-ების, I და II კატეგორიის საწარმოთა ნაწილის (სდპ-ების საწარმოთა ერთობლიობის 6%; I კატეგორიის საწარმოთა ერთობლიობის 10%; II კატეგორიის საწარმოთა ერთობლიობის 4%) 2022-2023 წლების ფინანსური ანგარიშგებების ფასის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამოებები, რომელთა გათვალისწინებით საწარმოები უფრო მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენას შეძლებენ. სამსახური, გამოვლენილი შეუსაბამოების ნაწილში, საწარმოებისთვის შესაბამისი რეკომენდაციებს გასცემს და ფინანსურ ანგარიშგებაში ფასის სტანდარტებთან შესაბამისობის აღმოფხვრის გზებზე მიუთითებს. დოკუმენტში წარმოდგენილია გამოვლენილი შეუსაბამოების სიხშირე 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის მიმოხილულ ანგარიშგებებში. ასევე, გამჟღავნებულია ინფორმაცია, სამსახურის მიერ მიმოხილვის შედეგად საწარმოებისთვის გაგზავნილი მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგების შესახებ, რაც მეტად ინფორმატიულს და ღირებულს ხდის დოკუმენტს. მასში ასევე მოცემულია ინფორმაცია იმ პრიორიტეტებისა და მიდგომების შესახებ, რასაც სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს 2023 და 2024 წლების საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვისას. ამასთანავე, აღწერილია, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩევს სამსახური სუბიექტების მიერ წარდგენილ და გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მათი მიმოხილვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ გამოცემაში გათვალისწინებულია „აღსრულების საერთო ევროპული პრიორიტეტები 2024 წლის კორპორაციულ ანგარიშგებასთან მიმართებით“ (European common enforcement priorities for 2024 corporate reporting) დოკუმენტში ნამოჭრილი საკითხები.

2024 წელს სადაზღვევო ინდუსტრია 20%-ით გაიზარდა

2024 წელს სადაზღვევო ინდუსტრია 20%-ით გაიზარდა – ამის შესახებ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ირაკლი თუთარაშვილმა BMGtv-ის გადაცემაში „საქმიანი დილა“ ისაუბრა.

„გასულ წელს მილიარდიანი იყო ინდუსტრია და ზრდა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო პროდუქტების ნაკლებობა გვაქვს დღეს ბაზარზე, დაახლოებით 20%-ით გაიზარდა ინდუსტრია“, – განაცხადა თუთარაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის სრული სტატისტიკა ჯერ გამოქვეყნებული არ არის, 9 თვეში კი, სადაზღვევო სექტორმა 983 მლნ ლარის მოცულობის პრემია მოიზიდა, რაც წლიურად 20%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. გაზრდილია სექტორის მომგებიანობაც და 9 თვეში მზღვეველების წმინდა მოგება 115 მლნ ლარი შეადგინა. მიუხედავად გაუმჯობესებული მაჩვენებლებისა, ბაზრის წარმომადგენლების ნაწილი BM.GE-სთან აცხადებდა, რომ ბაზრის ზრდა ძირითადად პოლისების გაძვირებაზე მოდის. ამასთან, სექტორის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური გარემო და დასავლეთისგან იზოლაცია სამომავლოდ ნეგატიურად სადაზღვევო ბაზარზეც აისახოს.

ბათუმში ახალი ბინებში კვ.მ-ის საშუალო ღირებულება \$1130-მდე გაიზარდა – Colliers Georgia

იანვარში, ბათუმში 1049 ბინა გაიყიდა, რაც გასული წლის იანვართან შედარებით 3.2%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. Colliers Georgia-ს მიერ recov.ge-ზე განახლებული საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვის მიხედვით, ამ პერიოდში ბაზრის ზომა 17.4%-ით, 57 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

მათივე ინფორმაციით, ახალაშენებული ბინების საშუალო შენონილი ფასი 8%-ით გაიზარდა და კვ.მ-ზე 1,130 აშშ დოლარი შეადგინა. ძველი ბინების შემთხვევაში კი მაჩვენებელი 16.2%-ით, კვ.მ-ზე 1,100 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

„ბათუმში 2025 წლის იანვარში ახალაშენებული ბინების ტრანზაქციების რაოდენობა 3%-ით გაიზარდა, ძველი ბინების შემთხვევაში კი 5.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა“, – აღნიშნულია მიმოხილვაში.

დაგროვებითი პენსიის ჯამურმა მოცულობამ 16.3 მილიარდს მიაღწია

2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, საპენსიო სააგენტოს აქციების მოცულობამ 6.3 მილიარდ ლარს, ხოლო ჯამურმა დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.54 მილიარდ ლარს მიაღწია.

საგულისხმოა, რომ ამ თანხების დიდი ნაწილი, 99% კვლავ კონსერვატიულ ანუ ნაკლებრისკიან პორტფელშია განთავსებული. საპენსიო სააგენტოს მონაცემებით, 2025 წლის იანვრის მდგომარეობით აკუმულირებული ამონაგებით როგორც ნომინალურ, ისე რეალურ რიცხვებში დინამიკური პორტფელი ღირდებოდა.

2023 წლის 6 აგვისტოდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში დინამიკური პორტფელის რეალურმა ამონაგებმა 18.7% შეადგინა, იმავე პერიოდში დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების რეალური ამონაგები შესაბამისად 16.4% და 14.3% იყო.

აღსანიშნავია, რომ პორტფელებს შორის მთავარი სხვაობა პორტფელებში გლობალური აქციების პროპორციაა. იანვრის ბოლოს მდგომარეობით, დინამიკურ პორტფელში აქციების წილი 51.1% იყო, დაბალანსებულში – 30.5%, ხოლო კონსერვატიულში – 16.6%.


რაც შეეხება რეგიონულ განაწილებას, საპენსიო სააგენტოს აქციების პორტფელში აშშ-ზე 46.4%, ევროპაზე – 17.4%, აზიაზე – 17.3%, განვითარებად ბაზრებზე – 11.8%, ხოლო ლათინურ ამერიკაზე 7.1% მოდის.

წილის მიხედვით, საპენსიო სააგენტოს აქციების პორტფელში შემავალი 10 ყველაზე მსხვილი კომპანია ასე გამოიყურება:

- APPLE _ 3.3%;
- NVIDIA _ 3.1%;
- MICROSOFT _ 2.9%;
- AMAZON _ 1.9%;
- META _ 1.2%;
- TESLA _ 1.1%;
- ALPHABET _ 1%;
- BROADCOM _ 1%.
- BERKSHIRE _ 0.8%;
- NU HOLDINGS _ 0.7%;

ამასთან, საპენსიო სქემაში განვერიანებულ მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 591 ათასი ადამიანია. 2025 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, დაგროვებითი პენსიით ისარგებლა 16229-მა ადამიანმა, მათზე პენსიის სახით გაიცა 65.8 მლნ ლარი.

შპს „ცოდნის“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფო“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნის“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

რა იცვლება ბაზარზე მიკრობანკების გამოჩენით – MBC-ის შეფასება

კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პარალელურად, ბაზარზე მიკრობანკები გამოჩნდნენ. შესაბამისი ლიცენზია ორ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას – MBC-ს და „კრისტალს“ მისცეს.

როგორც MBC-ში განაცხადეს, გაზრდილი მანდატი და სესხის გაცემის ლიმიტი მათ საშუალებას აძლევს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება გაზარდონ. კომპანიის გენერალური დირექტორის – გია პეტრიაშვილის განცხადებით, დაკრედიტების დაბალი ზღვრის გამო აქამდე იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებლები ბანკებში გადადიოდნენ.

ამასთან, პეტრიაშვილის განცხადებით, არსებობს მოლოდინი, რომ მიკრობანკებისთვის დეპოზიტების მიღების შესაძლებლობა მომავალში სასესხო პროდუქტებს გააიფხვებს. თუმცა მისი თქმით, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

„მიკრობანკები უკვე არსებულ მომხმარებელს მომსახურების უფრო ფართო სპექტრს შესთავაზებენ. ჩვენ უკვე დავიწყეთ 100 ათას ლარზე მეტი მოცულობის სესხების გაცემა. მოთხოვნა არის. იმიტომ რომ ჩვენ ხანდახან ვკარგავდით ხოლმე მომხმარებელს, რომელსაც ჰქონდა სურვილი უფრო მეტი მოცულობის სესხი მიეღო და კანონი ამის საშუალებას არ გვაძლევდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მომხმარებლები იძულებულნი იყვნენ, რომ კომერციული ბანკებისთვის მიემართათ. ახლა ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ გავყვეთ მომხმარებლის მოთხოვნებს.“

არსებობს ლეგიტიმური მოლოდინი, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მიკრობანკში სესხები უფრო იაფი უნდა იყოს, ვიდრე ეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში იყო, თუმცა ეს ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ მიკრობანკები თავიანთი რესურსების გაიფხვებას, მათ შორის რეფინანსირების განაკვეთზეა დამოკიდებული თუმცა იმედი გვაქვს, რომ უკვე წლის ბოლოს ჩვენს მომხმარებლებს მათთვის უკვე ნაცნობ პროდუქტებზე მათთვის უფრო ხელსაყრელ ფასებს შევთავაზებთ“, – განაცხადა გია პეტრიაშვილმა.

ცნობისთვის, ახალი ტიპის საფინანსო ორგანიზაციების, მიკრობანკების მთავარი სეგმენტი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაა. მათ უფლება აქვთ მომხმარებელზე 1 მილიონ ლარამდე მოცულობის სესხები გასცემენ, ასევე დეპოზიტებიც მიიღონ.

თბილისში მშენებლობის ნებართვებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 24.57 მლნ ლარს გადააჭარბა

2024 წელს თბილისში მშენებლობის ნებართვებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 24 570 020 ლარი შეადგინა, – აღნიშნულია თბილისის მერიის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება მშენებლობის ნებართვებს, საქსტატის ინფორმაციით, 2024 წელს 12 080 მშენებლობის ნებართვა გაიცა, საიდანაც უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 5 648 ნებართვა თბილისზე მოდიოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დედაქალაქში ნებართვების უდიდესი ნაწილი საცხოვრებელ შენობებზე გაიცა და 4 536 შეადგინა.

დანარჩენი ნებართვების გადანაწილება მშენებლობის ტიპების მიხედვით ასეთი იყო:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტები – 2;
- სამრეწველო და სასაწყობო შენობა – 299;
- ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები – 27;
- კულტურის დაწესებულებები – 4;
- ავთიაქი – 2;
- სკოლამდელი დაწესებულება – 4;
- სასწავლო დაწესებულება – 44;
- სასტუმროები – 71;
- სპორტული ნაგებობები და მოედნები – 24
- ავტოსადგომი – 19;
- კაფე, ბარი, რესტორანი – 38;
- ავტოგასამართი სადგური – 7;
- სავაჭრო ობიექტი – 156;
- ადმინისტრაციული შენობა – 81.

დანარჩენი ნებართვები კი სხვა ტიპის შენობებზე მოდიოდა.

საერთაშორისო რეზერვების 14.4% მონეტარულ ოქროზე მოდის

2025 წლის იანვარში საქართველოს სავალუტო რეზერვები წლიურ ჭრილში 24%-ით, მთლიანი რეზერვების მოცულობა კი 8.7%-ით შემცირდა.

კერძოდ, ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2025 წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მთლიანი რეზერვები 423.103 მლნ დოლარით, სავალუტო რეზერვები კი 1.050 მლრდ დოლარით შემცირდა. უფრო კონკრეტულად, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4.853 მლრდ დოლარს შეადგენდა, წელს კი 4.430 მლრდ-ს. სავალუტო რეზერვების მოცულობა კი 4.386 მლრდ დოლარიდან 3.336 მლრდ-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვრის სტატისტიკით, სეზ-ს სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი – 2.510 მლრდ დოლარი ფასიან ქალაქებში აქვს განთავსებული, ნაღდი ფულის სახით კი 826.3 მლნ დოლარს ინახავს.

რაც შეეხება ოქროს რეზერვების მოცულობას, 2025 წლის იანვრის მდგომარეობით 639.612 მლნ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი რეზერვების 14.4%-ია.

სახელმწიფო უწყებების მივლინებების ხარჯმა 6 თვეში 34.9 მლნ ლარი შეადგინა

2024 წლის 6 თვეში, სახელმწიფო უწყებებში მივლინებების ხარჯმა ჯამურად 34.9 მლნ ლარი შეადგინა, – აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „ბიუჯეტის მონიტორის“ ანგარიშში.

ამავე მონაცემების მიხედვით, 2024 წლის 6 თვეში, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით მთავრობის მივლინების ხარჯი 1.4%-ით შემცირებულია. 2023 წლის 6 თვეში 35.4 მლნ ლარი შეადგინა.

ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებს შორის, ყველაზე მეტი სამივლინებო ხარჯი იუსტიციის სამინისტროს ჰქონდა, 7.6 მლნ ლარი, მას მოსდევს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები.

უფრო კონკრეტულად, „ბიზნესპრესნიუსი“ გვთავაზობს ინფორმაციას, თუ რა მოცულობის თანხა დაიხარჯა სამინისტროებში, პარლამენტსა და მთავრობის ადმინისტრაციაში 2024 წლის 6 თვეში:

- პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები – 1.5 მლნ ლარი;
- პრეზიდენტის ადმინისტრაცია – 234 914 ლარი;
- მთავრობის ადმინისტრაცია – 1.3 მლნ ლარი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 34 910 ლარი;

- ფინანსთა სამინისტრო – 919 291 ლარი;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 2.1 მლნ ლარი;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 226 513 ლარი;

- იუსტიციის სამინისტრო – 7.6 მლნ ლარი;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 1.4 მლნ ლარი;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო – 1.6 მლნ ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო – 5 მლნ ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო – 3.7 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2.3 მლნ ლარი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 2 მლნ ლარი;
- კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო – 2.3 მლნ ლარი.

ნელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.5 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს – „გალთ ენდ თაგარტი“

„გალთ ენდ თაგარტის“ პროგნოზით, 2025 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 290 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს, რაც გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1.4%-იანი ზრდა იქნება. კერძოდ, 2024 წლის იანვარში, ტურიზმის შემოსავლები 286 მლნ დოლარს შეადგენდა. ამასთანავე, კვლევითი ორგანიზაციის კვირის მიმოხილვის თანახმად, ტურიზმის შემოსავლები 2025 წლისთვის 4.5 მილიარდ დოლარს გაუტოლდება.

„ჩვენი შეფასებით, 2025 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 1.4%-ით გაიზარდა და 290 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჩვენი პროგნოზით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.5 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს 2025 წელს“, – აღნიშნულია კვლევაში.

შეგახსენებთ, რომ 2024 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.4 მილიარდ დოლარს აჭარბებდა, რაც წლიურად 7.3%-იანი ზრდაა.

2024 წელს საქართველოში ახალი 7 980 რუსული კომპანია დარეგისტრირდა

2024 წელს საქართველოში 54 218 ახალი, კერძოდ ადგილობრივი ბიზნეს-სუბიექტი დარეგისტრირდა. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2024 წელს კერძო უცხოური საკუთრება იყო 19 525 კომპანია, შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით – 427, შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით – 208, ხოლო მუნიციპალური საკუთრება – 4.

ახალ უცხოურ საკუთრებებს შორის, ყველაზე მეტი რუსული ბიზნეს-სუბიექტია, კერძოდ, 7 980 კომპანია.

ამასთან, სტატისტიკის თანახმად, 66 არის შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით (ქართულ-რუსული), ხოლო 43 შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით (რუსულ-ქართული).

ცნობისთვის, 2025 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში ჯამში 1 044 519 ბიზნეს სუბიექტია რეგისტრირებული, საიდანაც აქტიურია მხოლოდ 27%. ამის შესახებ საქსტატის მონაცემებიდან ჩანს. სტატისტიკის მიხედვით, ამათგან მხოლოდ 284 347 კომპანიაა მოქმედი.

რაც შეეხება საქმიანობის სახეებს, მონაცემების თანახმად, რაოდენობრივად ყველაზე მეტი უფუნქციო კომპანია საბითუმო და საცალო ვაჭრობა/ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის დარგშია. აქ ჯამში 217 635 კომპანიაა რეგისტრირებული, საიდანაც 130 ათასზე მეტი არ მუშაობს.

2024 წელს იმპორტირებული საწვავის 54% რუსული იყო

2024 წელს, ქვეყანაში 47 ეკონომიკური აგენტის მიერ 2 781 481 558 ლარის ღირებულების 1 668 280 000 ლიტრი ბენზინისა და დიზელის იმპორტი განხორციელდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8.2%-ით აღემატება. ამის შესახებ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (GCCA) ანგარიშშია საუბარი.

საქმე ეხება 2024 წელს, საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზრის მონიტორინგის ფარგლებში მიღებული შედეგების შესაბამისად, შუალედურ ანგარიშს.

სააგენტოს მონაცემებით, 2024 წელს, საწვავის ყველაზე დიდი მოცულობის იმპორტი განხორციელდა რუსეთის ფედერაციიდან – 54%, რომელსაც მოჰყვება ბულგარეთი – 16.7% და რუმინეთი – 14.7%.

ამასთან, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტო განმარტავს, რომ 2023 წელთან შედარებით, შემცირებულია საწვავის იმპორტი რუსეთიდან და გაზრდილია ევროპული საწვავის წილი.

რაც შეეხება ბაზრის საცალო დონეს – 2024 წელს, 1238 ავტოგასამართი სადგურის ოპერირებას 383 კომპანია ახორციელებდა. ბაზრის კონცენტრაციის – ჰერფინდალ ჰირშმანის მაჩვენებელი 1190 ერთეულს შეადგენდა, რაც სააგენტოს შეფასებით, დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.

ანგარიშის მიხედვით, 5 მსხვილი კომპანიის წილი შეადგენდა 67.1%-ს (500 ავტოგასამართი სადგური). როგორც მოქმედი ავტოგასამართი სადგურების, ასევე HHI ინდექსის და მსხვილი კომპანიების საბაზრო წილების შემთხვევაში, 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს – ბენზინისა და დიზელის შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე არსებითი ცვლილებები არ ფიქსირდება.

„კორუფციის აღქმის ინდექსის“ მიხედვით 2024 წელს საქართველოს ქულა უცვლელი დარჩა

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით, საქართველოს ქულა უცვლელი რჩება და კვლავაც 53-ია. როგორც ორგანიზაცია განმარტავს, 100-ბალიან სკალაზე 53 საშუალო შედეგია, თუმცა 2015 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღნიშნავს, ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში წვრილმანი მექრთამეობა საყოველთაოდ გავრცელებული არ არის, თუმცა არც რაიმე კონკრეტული რეფორმები განხორციელებულა, რაც დაბალ დონეზე კორუფციასთან ბრძოლის კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლებოდა.

ამასთან, ორგანიზაცია განმარტავს, რომ საქართველო დაბალ დონეზე კორუფციის აღმოფხვრის კუთხით აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის რეგიონში კვლავაც წამყვან პოზიციებზეა, რაც წლების წინ კორუფციასთან ბრძოლისა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიზნით ჩატარებული რეფორმების ეფექტიანობაზე მიუთითებს.

„ცხადია, დაბალ დონეზე კორუფციის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში დემოკრატიის მაღალი ხარისხია და ყველა ინსტიტუტი გამართულად მუშაობს. მეტიც, წვრილმანი მექრთამეობის დაბრუნებაც სავსებით შესაძლებელია, თუ სისტემური რეფორმები არ გატარდება ანტიკორუფციული სისტემისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების მშენებლობის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიმართულებით“, – აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, კორუფციის აღქმის ინდექსი ტრადიციულად 180 ქვეყანაში ტარდება. ქვეყნები ფასდება 100-ბალიანი სისტემით, სადაც 100 დადებითი, ხოლო 0 უარყოფითი შედეგია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინდექსი არ ზომავს კორუფციის ისეთ კომპლექსურ ფორმებს, როგორიცაა სახელმწიფოს მიტაცება და კლუპტოკრატია. ორგანიზაცია განმარტავს, რომ საქართველოში კორუფციის მხრივ მთავარი გამოწვევები სწორედ ეს არის.

ლოგიკური ამოცანა

ლოგიკური ამოცანა – ამ რუბრიკით ქვეყნდება საინტერესო ამოცანები იმ მკითხველებისათვის, რომელთაც სურთ ლოგიკურ აზროვნებაში გააგრძელება. ამოცანების ამოხსნა მოითხოვს ლოგიკისა და ელემენტარული მათემატიკის ცოდნას.

რუბრიკას უძღვება შპს „ააფ-მენჯმენტის“ გენერალური დირექტორი ფრიდონ ალშიბაია.

ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანა №291:

ხვია და გოჩა თამაშობენ მარტივ თამაშს, მონეტის აგდებაზე (გამოსაცნობია მონეტა რომელ მხარეს დაეცემა). თუ გამოიცილობს რომელიმე მათგანი, მას ემატება ქულა, თუ ვერ გამოიცილობს, ქულა ემატება მოწინააღმდეგეს (მონეტის ყოველ აგდებაზე მხოლოდ ერთი მათგანი აფიქსირებს თავის აზრს). თამაში არის 10 გამოცნობამდე. მოგებული – 300 ლარს მიიღებს.

როდესაც ანგარიში იყო 9:7 ხვიას სასარგებლოდ, გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო ეს თამაში შეწყდა და ველარ განაზღვრდა. მოთამაშე მხარეები შეთანხმდნენ ამ სიტუაციაში საპრიზო ფონდის – 300 ლარის სამართლიან განაწილებაზე. როგორ უნდა განაწილდეს სამართლიანად ეს თანხა ხვიასა და გოჩას შორის მოცემულ სიტუაციაში?

ამოცანის ამოხსნა:

დავთვალოთ იმის ალბათობა, რომ თამაშის გაგრძელების შემთხვევაში, ამ თამაშს მოიგებს გოჩა. ამისათვის, მონეტა უნდა დაეცეს გოჩას სასარგებლოდ ზედიზედ სამჯერ. იმის ალბათობა, რომ თითოეული აგდებისას მონეტა გოჩას სასარგებლოდ დაეცემა,

ტოლია 0.5-ის. მაშასადამე, იმის ალბათობა, რომ მონეტა გოჩას სასარგებლოდ ზედიზედ სამჯერ დაეცემა, ტოლია: $0.5 \times 0.5 \times 0.5 = 0.125$. ამრიგად, იმის ალბათობა, რომ თამაშის გაგრძელების შემთხვევაში მოგებული იქნება გოჩა, ტოლია 0.125-ის. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ მოგებული იქნება ხვია, ტოლია $1 - 0.125 = 0.875$. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თამაშის დასრულებამდე 300 ლარის სამართლიანი განაწილება იქნება, თუ გოჩა მიიღებს $300 \times 0.125 = 37.50$ ლარს, ხოლო ხვია – $300 \times 0.875 = 262.50$ ლარს.

ამჯერად, ამოცანა ვერავინ ამოხსნა.


მკითხველთათვის ალბათ საინტერესო იქნება იმის ცოდნა, რომ ამ ამოცანის მსგავსი ამოცანა თავის დროზე თავად ლუკა პაჩოლის – ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე პრინციპების ფუძემდებლის და ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამომგონებლის მიერ იქნა შემოთავაზებული მე-15 საუკუნის ბოლოს. თუმცა, თავად მისეული ამოხსნა არ იყო სწორი, ვინაიდან იმ დროისათვის ჯერ არ არსებობდა ალბათობის თეორიის მიგნებები.

ფრიდონ ალშიბაია

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

პითხვა-პასუხი

პითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმებით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ ე კ ი ტ ი ს ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.

(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს დირექტორის მოადგილე ლევან ასანიძე.

პითხვა: ერთ-ერთ რესტორანში თანამშრომლებისთვის გაიმართა კორპორაციული ღონისძიება, რაზეც მიმწოდებელმა გამოაგზავნა დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა. კომპანიამ ეს დღგ არ ჩაითვალა, გაწეული ხარჯი კი დაბეგრა მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით (როგორც ხელფასთან გათანაბრებული განაცემი), თუმცა არ დაბეგრა დღგ-ით, ვინაიდან ჩათვლა არ მიუღია.

როგორია თქვენი პოზიცია ამ შემთხვევაში? როგორ გესმით სსკ 160¹ მუხლის მოთხოვნები?

თანამშრომლებზე უსასყიდლოდ მომსახურების მიწოდებისას დღგ-ით დაბეგვრისთვის ვაკვირდებით დღგ-ის ჩათვლის ფაქტს თუ არა? კომპანიამ უნდა ჩაითვალოს და დაბეგროს? თუ, რადგან ჩათვლილი არაა, პრობლემა არ დგას?

პასუხი: კორპორაციული ღონისძიების გამართვა არ არის საქონლის მიწოდება, არამედ მომსახურების გაწევა. სსკ 160¹ მუხლი „მომსახურების გაწევა“ კი განსაზღვრავს:

„2. ანაზღაურების სანაცვლოდ, მომსახურების გაწევად ასევე განიხილება:

ა) დასაბეგრი პირის მიერ მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა მისი დაქირავებული პირის პირადი სარგებლობისთვის ან საკუთარი საქმიანობის მიზნისგან განსხვავებული მიზნით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1) მომსახურების გამწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა რომ არ გამოეწერა საერთოდ, შეიძლება გვეთქვას, რომ მან მომსახურება პირდაპირ გაუწია ამ კომპანიის თანამშრომლებს, ხოლო კომპანია მომსახურების მიღები კი არა, მხოლოდ თანხის გადახდელი იყო, თანამშრომლების სახელით. ამ შემთხვევაში, გადახდილი თანხა იბეგრება როგორც ხელფასი და კომპანიის ქმედება სწორი იქნებოდა;

2) მაგრამ, რადგან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილია, ესე იგი კომპანიამ შეიძინა ეს მომსახურება და შემდეგ მიაწოდა (ცხადია, სასყიდლის გარეშე) თავის თანამშრომლებს. ამიტომ, ზემოაღნიშნული 160¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, კომპანიამ დღე-ით უნდა დაბეგროს თანამშრომლებისათვის კორპორაციული საღამოს გამართვის მომსახურება, ხოლო რესტორნიდან წარმოდგენილი ა/ფ-ის მიხედვით დღე უნდა ჩაითვალოს (აქ შევნიშნავთ, რომ საქმე მომსახურების გაწევასთან კი არა, საქონლის მიწოდებასთან გვექნოდა, მაშინ დღე-ით დაბეგრვის წესი სხვაგვარი იქნება: სსკ 160-ე მუხლის „საქონლის მიწოდება“ მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაქირავებული თანამშრომლისთვის საქონლის მიწოდებისას დღე-ით დაბეგრვა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა დაქირავებულს ამ საქონლის შესყიდვის ან წარმოების დროს, დღე სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. ამასთან, ამ შემთხვევაში დღე-ით დაბეგრვა საბაზრო ფასიდან უნდა მოხდეს, სსკ 164-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტის გათვალისწინებით).

სსკ 101-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე („4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული თანხა მოიცავს აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს და სხვა გადასახადს, რომელიც უნდა გადაიხადოს დაქირავებულმა“), ამ ღონისძიების მთლიანი თანხა დღე-ის ჩათვლით ჩაითვლება ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად და დაიბეგრება შესაბამისად, როგორც ხელფასი.

პიოთხვა: კომპანიის მიერ საინვესტიციო ქონების (მიწა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა) შეძენის შემთხვევაში, ის აღირიცხება ერთად, თუ მიწა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა (როცა ისინი საინვესტიციო ქონებას წარმოადგენენ) აღრიცხული უნდა იქნეს ცალ-ცალკე?

პასუხი: საინვესტიციო ქონების აღრიცხვის წესები რეგულირდება ამავე სახელწოდების ბასს 40-ით და მის ფასს-ის 16-ე განყოფილებით. ბასს 40-ის მე-5 ნაწილში მოცემული განმარტების მიხედვით (შევნიშნავთ, რომ მის ფასს-ის 16.2 მუხლითაც მსგავსი განმარტებაა მოცემული), „საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლების ფორმით) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

- ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში“.

სამწუხაროდ, დასმული საკითხი არც ბასს 40-ში და არც მის ფასს-ის მე-16 განყოფილებაში უშუალოდ განხილული არ არის. მათგან განსხვავებით, ბასს 16-ში „ძირითადი საშუალებები“, ანალოგიურ საკითხზე პირდაპირ წერია:

„58. მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი. გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ისეთის, როგორიცაა კარიერი და მღარო, მიწას, ჩვეულებრივ, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, შესაბამისად, არ ხდება მისი ცვეთა. შენობები კი ცვეთადი აქტივებია, მათი შეზღუდული მომსახურების ვადის გამო. მიწის ღირებულების გაზრდა გავლენას არ ახდენს მასზე განლაგებული შენობების ცვეთის განსაზღვრაზე“.

იგივეა აღნიშნული მის ფასს-ის მე-17 განყოფილებაში „ძირითადი საშუალებები“:

„17.8. მიწა და შენობა-ნაგებობები განცალკევებადი აქტივებია, ამიტომ საწარმომ ისინი ცალ ცალკე უნდა აღრიცხოს მაშინაც კი, თუ ისინი ერთად არის შეძენილი“.

იმის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის, დასაშვებია ორი მოდელი: სამართლიანი (რეალური) ღირებულების ან თვითღირებულების, მართებულად მიგვაჩნია შემდეგი მიდგომა:

თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოიყენება სამართლიანი (რეალური) ღირებულების მოდელი – მიწა და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა ერთ ობიექტად უნდა იქნეს აღრიცხული;

თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი, ამ შემთხვევაში – მიწა და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა ცალ-ცალკე აღრიცხვის ობიექტია. იგივე ეხება იმ შემთხვევასაც, თუ საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით იყო აღრე შეფასებული, მაგრამ შემდეგ საწარმო გადავიდა თვითღირებულების მოდელზე.

ჩვენი ეს მოსაზრება გამომდინარეობს იქიდან, რომ თვითღირებულების მოდელის არჩევის შემთხვევაში, ბასს 40 და მის ფასს-ის მე-16 განყოფილება ახდენენ საინვესტიციო ქონების აღრიცხვის „გადამისამართებას“ ბასს 16-ზე და მის ფასს-ის მე-17 განყოფილებაზე, კერძოდ:

ბასს 40-ის 56-ე მუხლი: „56. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმო, რომელიც თვითღირებულების მოდელის გამოყენებას გადაწყვეტს, საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს:

ა) ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – შესაბამისად, თუ ის აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული);

ბ) ფასს 16-ის მიხედვით, თუ მას მოიჯარე ფლობს აქტივის გამოყენების უფლების ფორმით და გამიზნული არ არის გასაყიდად ფასს 5-ის შესაბამისად; და

გ) ყველა სხვა შემთხვევაში – ბასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება თვითღირებულების მოდელს“.

ბასს 40, 53-ე მუხლი: „თუ საწარმო დაადგენს, რომ საინვესტიციო ქონების (მშენებარე საინვესტიციო ქონების გარდა) სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა უწყვეტად, დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლებელია, მან ეს საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით ბასს 16-ის შესაბამისად, თუ ეს არის მის საკუთრებაში მყოფი საინვესტიციო ქონება, ან ფასს 16-ის შესაბამისად, თუ ეს არის საინვესტიციო ქონება, რომელსაც მოიჯარე ფლობს აქტივის გამოყენების უფლების ფორმით. ამგვარი საინვესტიციო ქონების ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა ნულის ტოლად. საწარმო ბასს 16-ის ან ფასს 16-ის გამოყენება უნდა გააგრძელოს ამ საინვესტიციო ქონების გასვლამდე“.

მსს ფასს-ის 16.7 მუხლი და 16.8 მუხლები: „16.7. საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით... ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება საწარმო უნდა აღრიცხოს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, მე-17 განყოფილების შესაბამისად.

16.8. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საწარმო ეს აქტივი უნდა აღრიცხოს მე-17 განყოფილების შესაბამისად მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი. საბალანსო ღირებულება, რომელიც საინვესტიციო ქონებას ექნება ზემოაღნიშნული ბოლო თარიღისთვის, გახდება მისი თვითღირებულება მე-17 განყოფილების მიხედვით“.

თუმცა, საინვესტიციო ქონების (მიწა + მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა) სამართლიანი (რეალური) ღირებულების შემთხვევაშიც კი (როცა ის მიწისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობისაგან შედგება), ქონების გადასახადის სწორად გაანგარიშების მიზნით, საწარმოს არ ეკრძალება, რომ მოახდინოს სააღრიცხვო ობიექტის დანაწევრება ორ ქვეანგარიშად (დაახლოებით ისე, როგორც ეს ხდება ვენახების შემთხვევაში, რომლებიც ქონების გადასახადის მიზნებისათვის იყოფა ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ მდგენელ ნაწილებად), მიწის გამოყოფით. ამ დროს ტექნიკური პრობლემა ისაა, თუ როგორ უნდა მოხდეს მიწის სამართლიანი ღირებულებით გამოყოფა საინვესტიციო ქონების მთლიანი ღირებულებიდან. ფაქტობრივად, ამას ცალკე შეფასება შეიძლება დასჭირდეს (შეგნიშნავთ, რომ ეს პრობლემა – მიწის სამართლიანი ღირებულების გამოყოფის შეიძლება წარმოიშვას ასევე ძირითადი საშუალებების აღრიცხვის დროსაც გადაფასების მოდელის გამოყენების შემთხვევაში, როდესაც ძირითადი საშუალება – შენობა-ნაგებობაა).

პიტიხვა: შპს-მ ისესხა დამფუძნებლიდან 1000 აშშ დოლარი, როცა კურსი იყო 2.20 ანუ 2200 ლარის ეკვივალენტი. გარკვეული პერიოდის შემდეგ შპს-მ ლარის ანგარიშიდან დაფარა ეს სესხი 1000 აშშ დოლარი, როცა კურსი იყო 3.0, ანუ დამფუძნებელს გადაუხადა ძირი თანხა 3000 ლარი. წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობა 800 ლარი ხომ არ იბეგრება საშემოსავლოთი, ან მოგების გადასახადით ამ შპს-ისთვის?

პასუხი: პირველ რიგში, ზოგადად აღვნიშნავთ, რომ მსგავს შემთხვევებში მნიშვნელოვანია, მხარეთა შორის დადებული იყოს წერილობითი სასესხო ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად: „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც“. წერილობითი ხელშეკრულება საჭიროა იმისათვის, რომ დაფიქსირებული იქნეს სესხის პირობები და მათ შორის, მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ბოლო წლებში საგადასახადო ორგანოს მიერ ინტერპრეტირებული პრაქტიკით, საგადასახადო მიზნით, ეს შემოსავალი არ მიიჩნევა დამფუძნებლისთვის პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლად სესხის არასაბაზრო პირობების გამო (რაც, ასეთად მიჩნევის შემთხვევაში, მხოლოდ 5%-ით დაიბეგრებოდა) და არც საკურსო სხვაობად, არამედ განიხილება მის მიერ შპს-ისგან მიღებულ მოგებად, რაც დაიბეგრება როგორც 5% საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან, ასევე მოგების გადასახადითაც. საგადასახადო ორგანოს ამგვარი მიდგომა რიგ კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ

სსკ 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად მას უფლება აქვს „სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს“. ამ დროს, საგადასახადო ორგანომ მხედველობაში შეიძლება მხედველობაში მიიღოს მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, როგორიცაა დაფარვის გრაფიკის შესაბამისობა საბაზრო პირობებთან და სესხის მიზნობრიობასთან; პროცენტის გადახდის ვალდებულება დგინდება თუ არა; ფაქტობრივად ხდება თუ არა პროცენტის დარიცხვა/გადახდა; სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია თუ არა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ზომების გამოყენება მოთხოვნის (სესხის ძირის და პროცენტის) დასაკმაყოფილებლად, ამასთან, შესაბამისი პირობების დადგომისას გამსესხებელი სარგებლობს თუ არა ამ უფლებით; სახელშეკრულებო შეზღუდვები და დაცულობის მექანიზმები; სასესხო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა; მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურა; სესხის აღების საჭიროება და ხარჯვის მიზნობრიობა (მსესხებელს აქვს თუ არა სესხის აღების რეალური საჭიროება); აქვს თუ არა ადგილი სესხის ძირის/პროცენტის გადაუხდელობას დათქმულ ვადაში ან/და ხდება თუ არა სესხის ძირის/პროცენტის დაფარვის პერიოდის გახანგრძლივება არაერთგვარადად; მონაწილეობა მსესხებლის მართვაში – სახელშეკრულებო ურთიერთობით გათვალისწინებულია ან/და ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება თუ არა გამსესხებლისთვის მსესხებლის სტრატეგიულ/საოპერაციო მართვაში მონაწილეობის უფლების მინიჭება, და სხვა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ საგადასახადო ორგანო ამ 800 ლარს განიხილავს როგორც დამფუძნებლის მიერ საწარმოდან გატანილ მოგებას და დაბეგრავს შესაბამისად.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით დადგენილია:

„7. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, 200 000 (ორასი ათას) ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე გამსესხებლის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარს აღემატება. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლარით გაცემულ სესხად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი“.

პიიხპა: ვართ „ესტონურ მოდელზე“ მყოფი კომპანია – შპს. ჩვენი საქმიანობის სფეროა ვაჭრობა – საცალო მარკეტების ქსელი. ვსარგებლობთ მსს ფასს-ით. ჩვენს მომწოდებელთან, რომელიც არის დღგ-ის გადამხდელი, გვაქვს მარკეტინგული მომსახურების ხელშეკრულება, კერძოდ, მომწოდებელი ქეშბეკის სახით გვიბრუნებს ჩარიცხული თანხის 20%-ს, რომელზეც ვუწერთ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შინაარსით „მარკეტინგული მომსახურება“). კომპანიას სურს ქეშბეკის თანხა გამოიყენოს სააქციო/სარეკლამო მიზნებისთვის, რათა გაიზარდოს ცნობადობა და გაყიდვები.

მაგალითად: დეკემბრის თვეში ჩავურიცხეთ მომწოდებელს რეალიზებული პროდუქციის თანხა 50000 ლარი. შესაბამისად, ამ თვეში ქეშბეკი შეადგენს 10000 ლარს. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ქეშბეკის ნაწილი 3000 ლარი მოახმაროს მარკეტინგულ აქტივობას და პროდუქცია გაყიდოს თვითღირებულებაზე დაბალ ფასში. პროდუქციის მოსაწოდებელი ფასი შეადგენს 3 ლარს, სარეალიზაციო – 3.60 ლარს. კომპანიას სურს სპეც-აქციის დროს აღნიშნული პროდუქცია გაყიდოს 1.90 ლარად შეზღუდული რაოდენობით, მაქსიმუმ 6000 ცალი ($3.00 - 20\% = 2.40$, $2.40 - 1.90 = 0.50$, $6000 * 0.50 = 3000$). აღნიშნული პროდუქცია გაიყიდება საცალო კლიენტებზე – ფიზიკურ პირებზე და შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ზედნადების გაწერა, თუმცა სოციალურ ქსელში განთავსდება პოსტი აღნიშნული აქციის შესახებ, სადაც მითითებული იქნება როგორც ძველი, ისევე ახალი სააქციო ფასი.

გვაქვს თუ არა საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მსგავსი აქციის ჩატარების უფლება და რა საგადასახადო რისკების წინაშე ვდგავართ?

პასუხი: უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, თუ რა წყაროდან დაფინანსდა ეს აქცია, ამას რამე მნიშვნელობა არ აქვს.

შპს-ს, ცხადია, აქვს მსგავსი აქციის ჩატარების უფლება – ასეთი რამ არ იკრძალება არც საგადასახადო და არც სხვა მოქმედი კანონმდებლობით. თუმცა, განსახილველია დაბეგვრის თემა.

ზოგად შემთხვევაში, 3.60 ლარის სარეალიზაციო ფასის მქონე საქონლის 1.90 ლარად გაყიდვა არ წარმოშობს დღგ-ით და სხვა გადასახადებით დასაბეგრ ობიექტს, მაგრამ აქ წარმოიშობა დოკუმენტირების პრობლემა, რადგან ფასდაკლებული საქონლის გაყიდვა ხდება სასაქონლო ზედნადების გარეშე, საბოლოო მომხმარებელზე. შესაძლო რისკებია ის, რომ საგადასახადო ორგანოს მხრიდან კითხვების შემთხვევაში სარეკლამო აქციის ჩამტარებელ შპს-ს უნდა შეეძლოს იმის დამტკიცება, რომ: ა) სარეკლამო აქციის პირობები გაცხადებული იყო საჯაროდ; ბ) საქონელზე გამოცხადებული ფასდაკლება არ იყო შერჩევითი მათი ურთიერთდამოკიდებულ პირებზე გაყიდვის მიზნით; გ) საქონლის გაყიდვა ხდებოდა ნამდვილად 1.90 ლარად (ეს უნდა მოჩანდეს შესაბამისი

სააღრიცხვო პროგრამული მოდულიდან, თუ სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა დანერგილია საწარმოში); დ) გამოცხადებული ფასდაკლება იყო სარეკლამო დანიშნულებით და არა საქველმოქმედო მიზნით, ანუ ფასდაკლება არ წარმოადგენს ჩუქებას, რომელიც, თუ მას ექნებოდა ადგილი, დაიბეგრებოდა მოგების გადასახადით სსკ 98³ მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის მიხედვით.

წესით, აღწერილ სიტუაციაში თქვენს კომპანიას უნდა შეეძლოს ამ ყველა კითხვაზე სათანადო პასუხის გაცემა და დასაბუთება. ამ შემთხვევაში, სადავო საგადასახადო საკითხი არ წარმოიშობა, მაგრამ თუ ის ამას ვერ შეძლებს, მაშინ შესაძლოა საგადასახადო ორგანომ შემოწმებისას გამოავლინოს დასაბეგრი ბაზა: მაგალითად, ან ამ გაყიდვებს შეუცვალოს კვალიფიკაცია, ან ირიბი მეთოდის გამოყენებით გამოავლინოს დანაკლისი (ჩათვალოს, რომ $6000 \times 1.90 = 11400$ ლარად გაიყიდა არა 6000 ცალი, არამედ 3167 ცალი), ან რაიმე სხვა. ეს სავარაუდოდ წარმოშობს საგადასახადო დავას, რომლის დასრულების შედეგი ბევრი ფაქტობრივი გარემოების გამოვლენაზე იქნება დამოკიდებული.

კითხვა: საკითხი შეეხება საქართველოს რეზიდენტ საფეხბურთო კლუბს, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შპს.

ფეხბურთელების მოზიდვის მიზნით, კომპანია მოლაპარაკებებს აწარმოებს არარეზიდენტ საფეხბურთო კლუბებთან (კომპანიები) და მოლაპარაკებების ორგანიზებას უზრუნველყოფენ შუამავალი პირები.

კითხვებზე პასუხები გვანტერესებს მხოლოდ საგადასახადო კუთხით:

1) არარეზიდენტი საფეხბურთო კლუბისაგან ფეხბურთელის შეძენა უნდა განვიხილოთ როგორც „საქონლის“ შეძენა თუ როგორც არამატერიალური აქტივის შეძენა?

2) არარეზიდენტი საფეხბურთო კლუბისაგან ფეხბურთელის სასყიდლიანი იჯარის ფორმით ჩამოყვანის შემთხვევაში, როგორ გადავწყვიტოთ ყოველთვიური იჯარის ღირებულების უკუდაბეგვრის დღე-ით და არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხი?

3) როგორ გადავწყდებოდა არარეზიდენტი შუამავალი პირების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების უკუდაბეგვრის დღე-ით და არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხი:

– როცა არარეზიდენტი იურიდიული პირია;

– როცა არარეზიდენტი ფიზიკური პირია?

4) რეზიდენტი შუამავალი ფიზიკური პირების შემთხვევაში არსებობს თუ არა რაიმე სახის შეზღუდვა მცირე მეწარმის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების მიერ აღნიშნული მომსახურების გაწევაზე? ჩემთვის მოწოდებული ინფორმაციით ეს საშუამავლო მომსახურება არ ექვემდებარება არც ლიცენზირებას და არც ნებართვას.

პასუხი: 1) „ფეხბურთელის შეძენა“ ან „ფეხბურთელის იჯარით გაცემა“ დამკვიდრებული, თუმცა არაკორექტული ტერმინებია. ხდება არა „ფეხბურთელის შეძენა“ ან „ფეხბურთელის იჯარით გაცემა“, არამედ იმ უფლებების გაყიდვა ან იჯარით გაცემა ან მათზე უარის თქმა, რომელიც წარმოემვა საფეხბურთო კლუბს ამ ფეხბურთელთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, ან იმ კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია შესაბამისი უფლებების წინა მფლობელთან.

საფეხბურთო კლუბისთვის ფეხბურთელებთან დაკავშირებული კონტრაქტები (რომლებიც შეიძლება იქნეს გაფორმებული როგორც მათთან უშუალოდ, ან სხვა პირებთან) წარმოშობენ საფეხბურთო კლუბისთვის კომერციულ უფლებებს. ეს კონტრაქტები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. უმეტეს შემთხვევაში, ეს კონტრაქტები ანუ მათგან წარმოშობილი ეს კომერციული უფლებები აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, რადგან ისინი საფეხბურთო კლუბისთვის სამომავლო სარგებლის შემცველია. სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული განმარტების თანახმად, არამატერიალური აქტივი არის „ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩიზი, საბადოს დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები და სხვა ამგვარი არამატერიალური აქტივები“.

ამასთან, საგადასახადო მიზნებისათვის, არამატერიალური აქტივის მიწოდება მომსახურების გაწევას წარმოადგენს, რადგან სსკ 160¹ მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად:

„1. მომსახურების გაწევა არის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. მომსახურების გაწევად ასევე განიხილება:

ა) არამატერიალური ქონების გადაცემა“.

ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის, აღრიცხვა უნდა მოხდეს იმ სააღრიცხვო მეთოდოლოგიით, რომელსაც იყენებს საფეხბურთო კლუბი. ეს შეიძლება იყოს სრული ფასს-ები, ან მსს ფასს, ან მეოთხე კატეგორიის

საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი.

2) არარეზიდენტი საფეხბურთო კლუბისათვის მისი ფეხბურთელის სასყიდლიანი იჯარის ფორმით ჩამოყვანის შემთხვევაში, ყოველთვიური იჯარის ღირებულება დღგ-ით დაბეგვრის მიზნით წარმოადგენს საქართველოში გაწეულს, ხოლო არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მიზნით – საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს და ამიტომ უნდა დაიბეგროს როგორც უკუდაბეგვრის დღგ-ით, ასევე არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადითაც. ეს გამომდინარეობს სსკ 162¹ მუხლის („მომსახურების გაწევის ადგილი“) მე-7 ნაწილიდან და სსკ 104-ე მუხლის („საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი“) 1-ლი ნაწილის „გ.ა“ და „გ.ე“ პუნქტებიდან.

თუ არარეზიდენტი საფეხბურთო კლუბი ისეთი ქვეყნის რეზიდენტია, რომელთანაც საქართველოს გაფორმებული და ძალაში შესული აქვს საერთაშორისო შეთანხმება „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“, მაშინ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად სანახავია ამ საერთაშორისო შეთანხმების დებულებები ასეთ ოპერაციებთან დაკავშირებით (მათ შორის, შესაძლოა საყურადღებო იყოს როიალტის განმარტება ამ შეთანხმების მიხედვით).

3) დღგ-ის და არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის კუთხით, შესაბამისი მარეგულირებელი დებულებებია: დღგ-ის მიზნებისთვის – სსკ 161-ე და 162¹ მუხლები, ხოლო არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის მიზნებისათვის – სსკ 104-ე და 134-ე მუხლები.

დღგ-ის მიზნებისათვის, ეს საშუაშვლო მომსახურება ჩაითვლება საქართველოში გაწეულად, რადგან სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად:

„3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, თუ მომსახურების მიმღები არის დასაბეგრი პირი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე და სსკ 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, არარეზიდენტი შუამავალი კომპანიის/ფიზიკური პირის მიერ გაწეული მომსახურება დაიბეგრება უკუდაბეგვრის დღგ-ით (რომელსაც საქართველოს კომპანია ჩაითვლის დღგ-ის ჩათვლისთვის დადგენილი ზოგადი წესების მიხედვით):

„1. დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით იბეგრება:

ა) საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევა დასაბეგრი პირის მიერ, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში, ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს ამ მომსახურების გაწევაში“.

აქ დამატებით შევნიშნავთ, რომ რადგან, სავარაუდოდ, არარეზიდენტის შუამავლის საქმიანობა არ არის ერთჯერადი, ამიტომ ის, თუნდაც ფიზიკური პირი იყოს, წარმოადგენს „დასაბეგრ პირს“ დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის, რაც გამომდინარეობს სსკ 158-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემული განმარტებიდან:

„1. დღგ-ით დასაბეგრ პირად (შემდგომ – დასაბეგრი პირი) განიხილება ნებისმიერი პირი, რომელიც ნებისმიერ ადგილზე დამოუკიდებლად ახორციელებს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად ამ საქმიანობის მიზნისა და შედეგისა“.

რაც შეეხება არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით შესაძლო დაბეგვრას, კითხვის მოცემულობა არ არის სრული, მაგრამ სავარაუდოა, რომ არარეზიდენტი შუამავლის მიერ გაწეული ეს მომსახურება არ უნდა დაიბეგროს სსკ 134-ე მუხლის მიხედვით გადახდის წყაროსთან, რადგან არ წარმოადგენს არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს. ამას ადასტურებს სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.თ“ პუნქტი, რომლის თანახმად, „1. ამ კარის მიზნებისათვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:...

გ) საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. ამ მიზნით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება, თუ:...

გ.თ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევა საქართველოში გასწია მომსახურება“.

კითხვის მოცემულობაში სხვა ინფორმაციის არარსებობის პირობებში, ჩვენ ვთვლით, რომ მოცემულ შემთხვევაში არაფრით დასტურდება, რომ ეს საშუაშვლო მომსახურება არარეზიდენტმა შუამავალმა გასწია საქართველოში, რადგან ამ შუამავალს, როგორც ჩანს, არ აქვს მუდმივი დაწესებულება და არ ჰყავს დაქირავებული თანამშრომელი ან/და აგენტი საქართველოში და არ ეწევა აქ რამე ხარჯებს. შესაბამისად, არარეზიდენტი შუამავლის (გინდ იურიდიული პირი იყოს და გინდ ფიზიკური) დაბეგვრა ამ საშუაშვლო მომსახურებიდან არ უნდა მოხდეს გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით, თუ რამე სხვა ისეთი გარემოება არ არსებობს, რაც სსკ 104-ე მუხლის 1-„გ“ პუნქტშია აღნიშნული.

4) მართალია, სსკ მე-14 მუხლი „მომსახურება“ ცალ-ცალკე განიხილავს საშუამავლო და საკონსულტაციო მომსახურებას (1-ლი ნაწილის „თ“ და „რ“ პუნქტები), მაგრამ პრაქტიკა უჩვენებს, რომ ზოგიერთი მომსახურება, რომლებსაც მხარეები „საშუამავლო“ მომსახურებას უწოდებენ, რეალურად საკონსულტაციო მომსახურებას წარმოადგენს. დასმული საკითხისთვის მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს, რა სახის შუამავლობასთან გვაქვს საქმე, რა მოვალეობები აქვს შუამავალს. თუ მისი მოვალეობა მხოლოდ მხარეთა კონსულტირებაა, მაშინ ეს საშუამავლო მომსახურება ფაქტობრივად საკონსულტაციო მომსახურების ერთ-ერთი სახე ყოფილა. საკონსულტაციო საქმიანობა კი შედის იმ აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალში, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. №415 დადგენილების №4 დანართის მე-4 პუნქტის მიხედვით: „4. სამედიცინო, არქიტექტურული, სადღევკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა“.

თუ საშუამავლო მომსახურება შუამავალ პირს მეტ ფუნქცია-მოვალეობებს აკისრებს, ვიდრე მხოლოდ კონსულტაციების გაწევა გარიგების მხარეებისთვის, მაშინ ასეთი შუამავალი ფიზიკური პირისთვის შესაძლებელია მცირე ბიზნესის სტატუსის მიღება.

პიტიხვა: შპს, რომელიც აღრიცხვას სრული ფას-ების მიხედვით აწარმოებს, ყოველწლიურად იძენს ანტივირუსის პროგრამის ერთწლიან ლიცენზიას გერმანული კომპანიისგან. წინასწარ აგანსად იხდიან თანხას. ეს არამატერიალურ აქტივად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ხარჯად განვიხილოთ და დაგბეგროთ როგორც არარეზიდენტის მომსახურება უკუდაბეგვრის დღე-ით და საშემოსავლო გადასახადით?

პასუხი: ბასს 38 „არამატერიალური აქტივების“ მე-8 მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, „არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე“.

ამ განმარტებით, ანტივირუსის პროგრამის ლიცენზია შესაძლოა მივიჩნიოთ არამატერიალურ აქტივად. თუმცა, მოქმედების ვადის (ერთწლიანია) სიმცირიდან გამომდინარე, უფრო გონივრულად მიგვაჩნია, რომ ის ე.წ. „წინასწარ გაწეულ ხარჯად“. ამ ხარჯის ჩამოწერა პერიოდის დანახარჯებზე მოხდება ნაწილ-ნაწილ ანუ თანდათანობით ამ ლიცენზიის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება – ამ პროგრამით სარგებლობის უფლების გადმოცემა უნდა დაიბეგროს უკუდაბეგვრის დღე-ით, რადგან სსკ 160¹ მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად:

„1. მომსახურების გაწევა არის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. მომსახურების გაწევად ასევე განიხილება:

ა) არამატერიალური ქონების გადაცემა“.

ამასთან, ამ მომსახურების მიმღებია საქართველოს რეზიდენტი დასაბეგრი პირი (შპს). აღნიშნულის გამო, მომსახურების გაწევის ადგილად ჩაითვლება საქართველო სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად და დაიბეგრება უკუდაბეგვრის დღე-ით.

რაც შეეხება ამ ლიცენზიის შესაძლო დაბეგვრას არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით, ეს საკითხი არ უნდა წარმოიშვას, რადგან მისი შეძენა ხდება გერმანიის რეზიდენტი კომპანიისაგან, რომელსაც არ აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში. იმისდა მიუხედავად, მისთვის გადახდილი საზღაური ჩაითვლება როიალტად თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ მოგებად, ეს არ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან საქართველოში, რადგან ამ დაბეგვრას არ ითვალისწინებს საქართველოსა და გერმანიის შორის გაფორმებული და ძალაში მყოფი საერთაშორისო შეთანხმება „საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ (მე-7 და მე-12 მუხლები).

პიტიხვა: კომპანია აპირებს ურთიერთდამოკიდებული საწარმოსგან (კერძოდ, დამფუძნებელი არარეზიდენტი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიისგან, რომელიც რუსეთის რეზიდენტი) სპეციალური დანიშნულების პროგრამული მომსახურების (ქლაუდის) შესყიდვას. აქ საქართველოს ბაზარზე ანალოგიური პროგრამისთვის დიდ თანხას სთხოვენ და იქ კი მეოთხედ ფასად იყიდებიან რუსული კომპანიისგან.

გარდა იმისა, რომ გადარიცხვები გართულდება, შესაძლოა დაბეგვრის მიზნით საბაზრო ფასის (ტრანსფერ-ფრაისინგის) პრინციპით მიუდგნენ? თუმცა, გაცილებით დაბალია ფასი, ვიდრე საქართველოში ან ევროპულ ბაზარზე.

პასუხი: ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ნებისმიერი ოპერაცია კონტროლირებულია, როგორც ეს აღნიშნულია სსკ 126-ე მუხლის მე-4 ნაწილში. სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილით კი დადგენილია:

„4. მოგების განაწილებად ითვლება:...

ბ) კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება

საბაზრო პრინციპს. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა განისაზღვრება ამ კოდექსის XVII თავით დადგენილი წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხით“.

აღნიშნულიდან საერთაშორისო ოპერაცია ცხადია კონტროლირებულია, ამიტომ ის დაექვემდებარება შესწავლას, ეს ჯერ დაბეგვრას არ ნიშნავს. თუ შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ამ გარიგების ფასი საბაზროზე ნაკლებია, ეს ოპერაცია საქართველოს საწარმოსთვის საგადასახადო დაბეგვრის რისკებს არ შეიცავს. სსკ 127-ე მუხლის „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების ზოგადი პრინციპების“ მე-3 ნაწილის თანახმად:

„3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს, ნებისმიერი ოდენობის მოგება, რომელიც ოპერაციის დადგენილი პირობების საბაზრო პრინციპთან შესაბამისობის შემთხვევაში წარმოეშობოდა რომელიმე საწარმოს, მაგრამ საბაზრო პრინციპთან შეუსაბამობის გამო არ წარმოეშვა, შეიძლება ჩართულ იქნეს ამ საწარმოს დასაბეგრ მოგებაში და დაიბეგროს შესაბამისად“.

ანუ, კორექტირების მიზანს წარმოადგენს მოგების შესწორება სწორედ მისი ზრდის მიმართულებით. სხვაგვარად ვერც გავიგებთ ამ ჩანაწერს, რომელიც ცხადად ამბობს, რომ თუ უნდა წარმოქმნილიყო მოგება და არ წარმოიქმნა, მაშინ ეს ნაწილი დაემატება და დაიბეგრებაო.

იგივეს იმეორებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №423 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ“ ინსტრუქციაც, სადაც ხაზგასმულია, რომ იგულისხმება არა უბრალოდ შესწორება (ზრდა ან შემცირება), არამედ შესწორება სწორედ სსკ 127-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოგების გაზრდის წესს აღგენს. მაგალითად, აღნიშნული ინსტრუქციის მე-10 მუხლის „საბაზრო დიაპაზონის“ მე-3 ნაწილში აღნიშნულია:

„იმ შემთხვევაში თუ, კონტროლირებული ოპერაცია ან კონტროლირებული ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის შესაბამისად ხვდება საბაზრო დიაპაზონის ფარგლებს გარეთ, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს საწარმოს დასაბეგრი მოგების შესწორება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად“.

ამავე სულისკვეთებისაა ასევე აღნიშნული ინსტრუქციის მე-4 მუხლიც: „ოპერაციები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების რეზიდენტებთან“.

ამგვარად, შემსყიდველ კომპანიას ეს კონკრეტული ოპერაცია რომც დაუკორექტირონ, არ წარმოიქმნება დასაბეგრილი მოგება და შესაბამისად დასაბეგრიც არაფერი იქნება.

პიოტხვა: კომპანია „ა“ და კომპანია „ბ“ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. შეთანხმების საფუძველზე, გაფორმდა სასესიო ხელშეკრულება კომპანიებს შორის, რომლის მიხედვით კომპანია „ა“-მ დაფარა „ბ“-ს დავალიანება ბანკის წინაშე. გთხოვთ მიპასუხოთ, რა საგადასახადო რისკის შემცველია კომპანია „ა“-სთვის აღნიშნული ოპერაცია?

პასუხი: მოცემულ შემთხვევაში, კომპანია „ა“-ს მიერ კომპანია „ბ“-ს საბანკო დავალიანების დაფარვა უშუალოდ კრედიტორ ბანკში თანხის ჩარიცხვის გზით ერთი კომპანიის მიერ მეორეზე თანხის სესხებაა, რასაც მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოწმობს. რადგან კითხვის პირობაში დამატებით არაფერია აღნიშნული, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ორივე კომპანია – „ა“ და „ბ“ ისეთი საწარმოებია, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ე.წ. „ესტონური მოდელის“ მიხედვით სსკ 97-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად:

„1. რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-8–9¹ და 9³ ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი...

3. არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მისი მუდმივი დაწესებულების საქმიანობიდან გამოდინარე, ამ არარეზიდენტი საწარმოს ან მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული განაცემი/გაწეული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი ნაწილით“.

თუ სესხის გაცემის პირობები – საბაზროა, მაშინ საგადასახადო რისკი პრაქტიკულად არ არსებობს; ხოლო თუ სესხი უპროცენტოა ან საბაზროზე დაბალი პროცენტით არის გასესხებული, ამ შემთხვევაში, საგადასახადო რისკები მინიმალურია, რადგან სსკ 98³ მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად:

„3. მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის შედეგი შემთხვევები:...

ზ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით

გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით“.

საგადასახადო რისკი მხოლოდ მაშინ წარმოიშვება, თუ კომპანია „ა“ უპროცენტო ან საბაზროზე დაბალპროცენტო სესხის გაცემის პერიოდში თავად სარგებლობს სხვა პირისაგან უფრო მაღალგანაკვეთიანი პროცენტით მიღებული სესხით. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ კომპანია „ა“ (იხდის რა ამ სესხზე პროცენტებს) ნაწილობრივ ისეთ ხარჯს ეწევა, რომელიც არ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას, რადგან მისი გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, რაც დაბეგვრადია მოგების გადასახადით სსკ 98² მუხლის 1-„ბ“ პუნქტის შესაბამისად.

პიტიხვა: მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი დარეგისტრირდა გადამხდელად 2024 წლის 1 მაისიდან და ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას კოდით 47220 – საცალო ვაჭრობა ხორციით და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში. ამავე დროს მაღაზიაში ყიდის დაკლულ ქათამს, ყველს, კვერცხს. არცერთ ამ პროდუქტზე არ აქვს ზედნადები ან შესყიდვის რაიმე დოკუმენტი. მცირე ბიზნესის ჟურნალში შეაქვს შესყიდვული საქონელი, სადაც ძირითადი ნაწილი – 80% არის ხორცი. 2024 წლის მაისიდან დღემდე რეალიზაცია არის 106000 ლარი. დღგ-ის გადამხდელად არ დარეგისტრირდა, რადგანაც მისი საქმიანობა ძირითადად არის საცალო ვაჭრობა ხორციით და ხორცის პროდუქტებით, რომელიც არის დაუბეგრავი.

გთხოვთ მიხსნათ, რა რისკი არსებობს პირის საქმიანობაში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციასთან და დაბეგვრასთან დაკავშირებით? ნიმუშისთვის გიგზავნით ერთადერთ ზედნადებს, რომელიც 2024 წლის დეკემბერში აქვს მიღებული.

პასუხი: როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესის სტატუსი თავისთავად არ წარმოადგენს დღგ-ისაგან გათავისუფლებისათვის რამე შეღავათს. შეღავათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რის მიწოდებას ახდენს გადამხდელი. სსკ 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

„უ) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა სეს ესნ-ის 0407 11 000 00 და 0407 21 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციაში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაცივებული)) მიწოდება მის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე);

ფ) საქართველოში მთლიანად წარმოებული საქონლისაგან მიღებული სეს ესნ-ის 0201, 0203 11–0203 19, 0204 10 000 00–0204 23 000 00, 0204 50 110 00–0204 50 390 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (მათ შორის, გატარებულ/დაკეპილი ფორმით არსებულის (ფარშის)), საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამამუშავების შედეგად წარმოებული ყველის, აგრეთვე სეს ესნ-ის 0802 22 000 00 კოდით გათვალისწინებული საქონლის (ნაჭუჭყაცლილი თხილი) მიწოდება“.

შესაბამისად, ქათმის და კვერცხის მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისაგან, ასევე არც იმ ყველის, რომელიც არ არის წარმოებული საქართველოს ბინადარი ცხოველის რძისაგან.

თქვენი კითხვის მოცემულობიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ თქვენ არ გაქვთ არცერთ გაყიდულ პროდუქტზე შესყიდვის დოკუმენტი (გარდა ერთადერთი გამონაკლისისა ხორცის შესყიდვაზე, რაზეც გაქვთ ზედნადები, მაგრამ ისიც ისეთია, რომლიდანაც შეუძლებელია დადგინდეს, სადაური წარმოების ხორცია შესყიდული). შესაბამისად, საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში რის საფუძველზე შეძლებთ დაამტკიცოთ, რომ ხორცი, რომელიც თქვენი გაყიდვების 80%-ს შეადგენს, საქართველოშია წარმოებული? სავარაუდოდ, ვერაფრით დაამტკიცებთ ამას. ამიტომ მაღალია რისკი, საგადასახადო ორგანომ მიიჩნიოს, რომ თქვენ უფრო ადრე უნდა დარეგისტრირებულიყავით დღგ-ის გადამხდელად და არა მხოლოდ ეს – მიმდინარე გაყიდვებიდანაც დამატებით დაგებერთ დღგ-ით, თუ ვერ წარუდგენთ მას გაყიდული ხორცის საქართველოში წარმოების დამადასტურებელ საბუთებს.

პიტიხვა: რუსეთის ფედერაციიდან აშშ დოლარის ჩარიცხვა (მისთვის მიწოდებულ საქონელზე) პრობლემური გახდა, ამიტომ გვირიცხავენ ლარში იმ დღის კურსით +1%, რაც ემატება ჩარიცხულ თანხას იმისათვის, რომ კონვერტაციის დროს არ გიზარალოთ.

მაგალითად, თუ ინვოისის ღირებულება არის 35000 \$, ჩარიცხულია 100747 ლარი, აქედან საინვოისო ღირებულება 99750 ლარია. დანარჩენი 1% -ის ბუღალტრული გატარება როგორი იქნება?


პასუხი: გადასაწყვეტი საკითხია, ეს სხვაობა არასაოპერაციო შემოსავალია თუ ამონაგების კორექტირება. მოცემულ შემთხვევაში, დამატებით გადახდილ თანხას ჩვენ განვიხილავთ როგორც საქონლის საფასურის კორექტირებას, და არა როგორც საკურსო სხვაობას, რადგან მივიჩნევთ, რომ საქონლის გაყიდვის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ გაყიდული საქონლის შეცვლილ ფასზე. შესაბამისად, კორექტირების თანხა ჩართული უნდა იქნეს ამონაგებში, მარტივი ბუღალტრული გატარებით: დ-ტი 1410 კ-ტი 6110.

რუბრიკის სპონსორები:



შპს „ააფ-კაპიტალი“
www.aafccapital.ge

**AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო
პროგრამები ფინანსებში**



**საბუღალტრო პროგრამა
„ინფო ბუღალტერი“**

პრომის გირჟა ფინანსისტებისათვის

თბილისი

პრომის გირჟა ფინანსისტებისათვის – ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს – კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

განცხ. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – სასაუბრო. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

განცხ. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

განცხ. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

განცხ. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

განცხ. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული – ძალიან კარგად, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

განცხ. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

განცხ. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი – ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახეობის და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

პრეზიდენტმა ტრამპმა პანამის არხზე სრული კონტროლი მოინდომა

ჩინეთთან საგაჭრო ომის მორიგი რაუნდი

დონალდ ტრამპის სურვილი, პანამის არხი კვლავ ვაშინგტონის კონტროლს დაუბრუნოს, შესაძლოა მხოლოდ სიტყვიერ მუქარად დარჩეს. თუმცა, აშშ-ის მეორედ არჩეული პრეზიდენტის განზრახვა ერთ-ერთ ყველაზე განხილვად თემად იქცა. თავად პანამა, სადაც „იანკები“ მანამდე არაერთხელ შეჭრილან, ტრამპის მუქარანარევი კომენტარებს სერიოზულად აღიქვამს და შიშობს, რომ იგი სიტყვებიდან საქმეზე გადავა.

აშშ-ის პრეზიდენტის ბოლო თვეების საჯარო გამოსვლებს, ქვეყნის ახალი სახელმწიფო მდივნის მარკო რუბიოს პანამაში ჩასვლა მოჰყვა. ცნობისთვის, ეს მისი დანიშვნის შემდეგ პირველი უცხოური სტუმრობაა და საერთოდ, ბოლო 100 წლის განმავლობაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველი ოფიციალური ვიზიტი გახლავთ ლათინურ ამერიკაში. რუბიომ მასპინძელთა პრეზიდენტ ხოსე რაულ მულინოს სასვებით გასაგებ კონტექსტში განუცხადა: „ჩვენ დაუყოვნებელ ცვლილებებს მოვითხოვთ პანამის არხის, როგორც წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი გემთმავალი არტერიის, მუშაობაში. დონალდ ტრამპი დარწმუნებულია, რომ არხის ფუნქციონირებას ჩინეთის გავლენა ემუქრება“.

ჩინეთის ლათინოამერიკული აჩრდილი

პანამის ხელისუფალნი უარყოფენ, რომ არხზე კონტროლი ჩინეთს დაუთმეს. თუმცა, რეალობა სულ სხვაა. არხის ორივე საკვანძო პორტი, თან 1997 წლიდან, კომპანია CK Hutchison Holdings-ის კონსორციუმის მართვაშია. ეს კომპანია კი ჩინეთის განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონის სტატუსის მქონე ჰონკონგშია რეგისტრირებული. არხის სხვა რამდენიმე პორტიც არ ეკუთვნის პანამის მთავრობას – ისინი აშშ-ის, სინგაპურისა და ტაივანისგან კონტროლდებიან. თავად არხის მართვასთან, კონკრეტულად ხომალდებისა და საბრძოლო გემების მასზე გატარებასთან ჩინეთს მართლაც არ გააჩნია პირდაპირი იურიდიული დამოკიდებულება – ყველაფერს პანამის რესპუბლიკის მფლობელობაში მყოფი პანამის არხის ადმინისტრაცია (Autoridad del Canal de Panamá – ACP) ხელმძღვანელობს.

„თუ კონფლიქტის შემთხვევაში, ჩინეთის მთავრობა ჰონკონგიდან მართულ კომპანიებს უბრძანებს ჩაკეტონ პანამის არხი, ისინი იძულებული იქნებიან დაემორჩილონ.“

ეჭვი არ მეპარება, მათ ასეთი გაუთვალისწინებელი მდგომარეობებისთვის, უკვე ახლა იციან როგორ უნდა მოიქცნენ. ეს პირდაპირი საფრთხეა“, – განაცხადა რუბიომ პანამაში გამგზავრებამდე.

საკამათო არაა, რომ ჩინეთისთვის პანამას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ლათინურ ამერიკაში საკუთარი გავლენის მუდმივად ზრდაზე ორიენტირებული პეკინისთვის, მხოლოდ პანამის არხით არ შემოიფარგლება მის ინტერესთა არეალი. ჩინეთს საერთოდ რეგიონიდან სურს შტატების გაძევება. საამისოდ იგი ერთობ ნიჭიერად წარმოაჩენს თავს როგორც „გაჭირვებულთა მოჭირნახულეს“, რომელიც მზადაა ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს აშშ-ის ისტორიული ჰეგემონიის საიმედო ალტერნატივად მოეგლინოს.

ბოლო წლებში ჩინეთი არაერთხელ დაჰპირებია პანამის მთავრობას გლობალური საერთაშორისო პარტნიორობის „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ ფარგლებში მასობრივი ინვესტირების დაწყებას. აქ საუბარია ინფრასტრუქტურის საკმაოდ ძვირადღირებულ ობიექტებზე, რომელთაგან უმთავრესი სატყუარა მხარეებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არხზე უზარმაზარი ხიდის მშენებლობაა. თუმცა, ლათინურ ამერიკაში ჩინეთისთვის არაერთმა მნიშვნელოვანმა პარტნიორმა (არგენტინა, ვენესუელა, ჩილე, ეკვადორი, პერუ) ანალოგიურ კოლოსალურ პროექტებში მონაწილეობას, სიფრთხილის გამოჩენა არჩია. მსოფლიო ეკონომიკაზე ჩინური ზეგავლენის ოპონენტები მიუთითებენ, რომ შეთავაზებული ინვესტიციებისა და კონტრაქტების უკან მასპინძელი ქვეყნებისთვის „მძიმე“ ვალდებულებები და სუვერენიტეტის დარღვევა იმალება.

როცა რეგიონში და კონკრეტულად პანამის არხთან მიმართებით ზრდად ჩინურ ზეგავლენაზე საუბრობს, ამერიკული მხარე მართალია. პეკინი უმეტესი ლათინოამერიკული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა. შეიძლება ითქვას, იმის მიუხედავად მემარჯვენე თუ მემარცხენე პოლიტიკური მრწამსის არიან, ლათინოს პოლიტიკოსთა უმრავლესობა ჩინეთზე „შეყვარებულია“. ეს კი, პლანეტაზე კომუნიზმის (ოფიციალურად დეკლარირებულის) საყრდენ უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანას აძლევს სტიმულს კიდევ უფრო იზრუნოს საკუთარი ინვესტიციების



დასაბანდებელ მასპინძლებზე მარტო ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური ზეგავლენისთვის.

პანამის არხის ისტორია – 306 გაიყვანა საწყლოსნო გადაზიდვის უმნიშვნელოვანესი გზა

პირველად პანამის ყელი 1513 წელს გადალახა ესპანელმა კონკისტადორმა ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ. გეოგრაფიულად, ყელი ითვლებოდა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის გამყოფ საზღვრულ ნაწილად და მისი უმცირესი მონაკვეთი 48 კილომეტრი გახლდათ. იმ პერიოდში, ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების დამაკავშირებელი გზა მხოლოდ მაგელანის სრუტეზე გადიოდა. ეს მარშრუტი, იმის გარდა, რომ გაცილებით ხანგრძლივი გადასალახავი იყო, სამხრეთ ამერიკის უკიდურეს წერტილთან – ჰორნის კონცხთან მუდამ არასასურველი ბუნებრივი პირობების გამო, მეზღვაურთათვის ყველაზე საშიფათოდაც მიიჩნეოდა.

პანამის ყელის გასწვრივ არხის გაყვანის საჭიროება პირველად 1534 წელს ახსენეს. საღვთო რომის იმპერატორმა და ამავე დროს ესპანეთის მეფემ ჰაბსბურგების დინასტიიდან კარლ V-მ გამოაქვეყნა კვლევის ანგარიში, რომელიც მიზნად ამერიკის კონტინენტზე გამავალი საწყლოსნო გზის შექმნას ისახავდა. ამ გზას ესპანეთსა და პერუს შორის გემების მიმოსვლა უნდა გაეადვილებინა. მისმა ულტარელიგიურმა მემკვიდრე ფილიპ II-მ, ასეთი საკითხების ხსენებასაც კი წერტილი ამ სიტყვებით დაუსვა: „რაც ღმერთმა გააერთიანა, ადამიანს მისი დანაწევრება არ შეუძლია“.

1698 წელს შოტლანდიის სამეფომ წამოიწყო ე.წ. „დარიენის სქემა“, რომელიც მიზნად ისახავდა საზღვრულ საგაჭრო გზის გაყვანას პანამის ყელზე, მაგრამ იგი წარუმატებელი აღმოჩნდა. ამ გეგმის ჩაშლის მიზეზი გარემოს არახელსაყრელი პირობები შეიქნა. მასზე ხელი საბოლოოდ 1700 წლის აპრილში აიღეს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინიციატივა საფრანგეთმაც იკისრა. იმხანად, პანამა სუვერენული

სახელმწიფოს სახით არ არსებობდა – იგი ესპანეთისგან დამოუკიდებლობის ომით მომპოვებული (1819) კოლუმბიის ერთ-ერთი პროვინცია იყო. ამიტომ, მოლაპარაკება სწორედ ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან უნდა ეწარმოებინათ. 1879 წელს, პარიზში დიპლომატი და მეწარმე ფერდინანდ ლესეპსის თავმჯდომარეობით შეიქმნა საყოველთაო ოკეანეთაშორისი არხის ერთობლივი კომპანია „პანამა“. სხვათა შორის, ლათინოამერიკული არხის აშენების ფრანგი ინიციატორი, იმით იყო ცნობილი, რომ სამიოდე წლის წინათ წარმატებით დაასრულა კიდევ ერთი გრანდიოზული, სუეცის არხის პროექტი. კომპანიის დაფუძნებისთანავე, 800 ათასზე მეტმა ადამიანმა თითქმის მილიარდი ფრანკის ღირებულების აქციები შეიძინა.

საბოლოოდ, ფრანგული წამოწყება მსოფლიო მასშტაბის კორუფციული სკანდალით დასრულდა. აქციონერთა მილიონები სახელმწიფო ჩინოვნიკთა და ჟურნალისტთა მოსყიდვებში დაიხარჯა. სხვაგვარად, საზოგადოებაში შესაბამისი გარემოს შექმნის გარეშე პარლამენტი სპეციალურ კანონს არ მიიღებდა. ამ კანონით კი, ცუდ დღეში ჩავარდნილ ფერდინანდ ლესეპსს ბანკისგან სესხი უნდა მიეღო, რომ არხის დაწყებული მშენებლობა ცოტათი მაინც წინ წაწეულიყო. სწორედ იმ პერიოდში, არაერთი ქვეყნის ჟარგონულ ლექსიკაში დამკვიდრდა მსხვილი აფერის ტოლფასი გამოთქმა „პანამა“.

ლესეპსის ფირმამ, რომელმაც მეანაბრებისგან არასრულ 10 წელიწადში 1,4 მილიარდამდე ფრანგი მიიღო, დაგეგმილი ტრასის მხოლოდ მეოთხედი გაიყვანა. 1889 წლისთვის (როცა სამუშაოები „დაკონსერვდა“), სუეცთან შედარებით პანამის არხზე 3-ჯერ მეტი თანხა იყო დახარჯული.

ფრანგული კომპანია „პანამა“ გაკოტრდა, მაგრამ თითქმის 90 წლის ლესეპსმა მაინც არ მოისვენა. მან 1894 წლის გაზაფხულზე დააფუძნა (თავად წლის ბოლოს, 7 დეკემბერს გარდაიცვალა) „პანამის არხის ახალი კომპანია“ (Compagnie nouvelle du canal de Panama), რომელმაც მისი წინამორბედის (Compagnie universelle du canal interocéanique de Panama)

ყველა უფლება იურიდიულად გადაიბარა. ლესეკსმა, უკვე გაკოტრებული კომპანიის ყოფილი დირექტორი, სპეციალობით ინჟინერი ფილიპ ბიუნო-ვარილია (Philippe Bunau-Varilla) ახალ კომპანიაში იგივე თანამდებობაზე დაიყოლია და „პატარა“ დავალება მისცა. ფილიპს, მის მძასთან ერთად, საკუთარ გაზეთში Le Matin (ფრანგ. დილა) კვლავ წინა პლანზე უნდა წამოეწია არხის მშენებლობის მომგებიანობა.

მას შემდეგ, რაც ფილიპ ბიუნომ სამშობლოში ვერ იპოვა გავლენიანი მხარდამჭერები, შეერთებულ შტატებში ჩავიდა (1901) და იქაური რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებთან დაამყარა საქმიანი კონტაქტები. საფრანგეთში დაბრუნებულმა, დიდი ძალისხმევის შემდეგ მაინც შეძლო კომპანიის მესვეურთა (მათ შორის ლესეკსის ვაჟი შარლი იყო) დაყოლიება აშშ-ისთვის პანამის არხის მშენებლობის ბიზნესის 40 მილიონ დოლარად მიყიდვის თაობაზე.

ახლა ჯერი ამერიკელებზე მიდგა. 1903 წელს ბოგოტამ და ვაშინგტონმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც კოლუმბია 100-წლიანი იჯარით გადასცემდა აშშ-ს პანამის არხის გატარებისთვის საჭირო მიწის ზოლს (არხის ორივე მხარეს 6-6 მილის ოდენობით). კოლუმბიელებმა ხელმოწერიდან ორიოდე თვეში უარი თქვეს ხელშეკრულების პირობების აღსრულებაზე. შტატებმა სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთადერთ გამოსავლად, პროვინცია პანამის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება ჩათვალეს. პანამის ყელზე უმაღლესი გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობა, რომელსაც მხარი აშშ-ის სამხედრო ფლოტმა დაუჭირა. იმავე წლის 4 ნოემბერს, ამერიკაში დამოუკიდებელი პანამის რესპუბლიკის ელჩის რანგში, ფილიპ ბიუნომ ხელი შტატებისთვის ხელსაყრელ შეთანხმებას მოაწერა.

1904 წელს პანამის არხის მშენებლობის სამუშაოები განახლდა. აშშ პანამის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გარანტიც გახდა – მან ქვეყანაში „წესრიგის დამყარების საშუალოდ უფლება“ მიიღო. მაგალითად, 1964 წელს, შტატების ჯარებმა გაუფრთხილებლად გახსნეს ცეცხლი პატრიოტულად განწყობილი პანამელი სტუდენტების მიმართულებით. მხარეებმა მორიგი ხელშეკრულება 1977 წლის 7 სექტემბერს გააფორმეს. პანამის მაშინდელი მემარცხენე ლიდერი ომარ ტორიხოსი და აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი შეთანხმდნენ – პანამის მთავრობას არხის მუშაობაზე სრული კონტროლი 2000 წლის 1 იანვრიდან გადაეცემოდა.

არხის მნიშვნელობა პანამისა და დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკისთვის

პანამის არხი ურთულესი საინჟინრო ნაგებობაა, რომელიც 1904 წლიდან 10 წლის განმავლობაში შენდებოდა. მისი მშენებლობა აშშ-ს 375 მილიონი დოლარი დაუჯდა. მშენებლობაზე 70000 მუშა მუშაობდა, რომლიდანაც 5600 სხვადასხვა ავადმყოფობისაგან (ძირითადად, მალარია და ყვითელი ციებ-ცხელება)

და უბედური შემთხვევებისგან დაიღუპა. პანამის არხი ოფიციალურად 1920 წლის 12 ივნისს გაიხსნა, თუმცა პირველმა გემმა აქ 6 წლით ადრე გაიარა. არხის სიგრძე 81,6 კილომეტრი, ხოლო მაქსიმალური სიგანე 150 მეტრია. ისტორიული, 2 წყვილი ჩამკეტი კამერების სიგანე 33 მეტრს არ აღემატება. 2016 წლიდან მუშაობს 49 მეტრი სიგანის ჩამკეტების ახალი წყვილი, რომლებშიც გატარებული გემის მაქსიმალური სიგრძე 366 მეტრი შეიძლება იყოს.

სავაჭრო ხომალდს არხის გასავლელად საშუალოდ 9 საათი ესაჭიროება (დღემდე დაფიქსირებული მინიმალური დრო 4 საათი და 20 წუთია). მაქსიმალური გამტარუნარიანობისას აქ დღეში 48 გემი გადის (ბოლო 2 წლის დღიური მაქსიმუმი – 32). 1915 წლიდან 2024 წლის ჩათვლით წლიური ტრაფიკი 1000-დან 15000-მდე გაიზარდა. პანამის არხი ყოველთვის გადატვირთულია და ძალიან ზარალდება კლიმატის გლობალური ცვლილებებით გამოწვეული გვალვებით. ამიტომ, ხომალდის სწრაფად გატარების მსურველებს რიგის ყიდვა აუქციონზე უწევთ. ამ გზით შეძენილი გასვლის ღირებულება 400 ათას დოლარსაც აღწევს.

პანამის ეკონომიკა უშუალო დამოკიდებულებაშია არხის გამტარუნარიანობასთან. ბოლო ათწლეულში ქვეყნის ბიუჯეტი არხის შემოსავლებიდან წლიურად საშუალოდ 4,32 მილიარდი დოლარით ივსებოდა, რაც პანამის მშპ-ის 6,6 პროცენტია.

იმის მიუხედავად, რომ გადაზიდვის ტექნოლოგიები სულ უფრო სრულყოფილი ხდება და ლოჯისტიკური ჯაჭვიც მუდმივად უმჯობესდება, პანამის არხის მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკისთვის კვლავ დიდია. ამას რამდენიმე წყალგაუვალი არგუმენტი აქვს:

- ოკეანეების დამაკავშირებელი უმოკლესი და უხიფათო გზა. იგი განსაკუთრებით აქტუალური აშშ-ისთვისაა. პანამის არხმა ამ ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებს შორის სავალი საწყლოსნო მარშრუტი 22,5 ათასიდან 9,5 ათას კილომეტრამდე შეამცირა;

- გადაზიდვის ღირებულების შემცირება. არხმა საგრძნობლად გააიაფა წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისთვის ტვირთის მიწოდების ტარიფი. ტვირთების ძირითადი ნაწილი აშშ-ზე (71,5%), ჩინეთსა და იაპონიაზე მოდის. ამან მომხმარებლის მიერ საქონლის დაბალ ფასებში მიღების გარდა, ბაზარზე კონკურენციის გაზრდაც გამოიწვია;

- ვაჭრობის სტიმულირება. ხელსაყრელი საზღვაო გზის არსებობა, აზიისა და ამერიკის ქვეყნებთან ევროპის ვაჭრობას აიოლებს. 2007-2016 წლებში მიმდინარე მოდერნიზაციის შედეგად, პანამის არხს შეუძლია გაატაროს ნავთობითა და გაზით დატვირთული ტანკერები, რაც ენერგომომხმარებელი წარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის ზრდას იწვევს. მისი საშუალებით მსოფლიოს საზღვაო ვაჭრობის საშუალოდ 2,5%-ის უზრუნველყოფა ხდება – მათ შორისაა აშშ-ს საკონტინენტო გადაზიდვების 40%;

– სტრატეგიული მნიშვნელობა. პანამის არხმა, მისი შეუფასებელი სამხედრო დანიშნულება, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომისას დაამტკიცა. აშშ მას აქტიურად იყენებდა საკუთარი ჯარებისთვის აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების კორეასა და ვიეტნამში მისაწოდებლად. პანამისთვის ნაგებობის მართვის უფლებების გადაცემის შემდეგაც, შტატების ხელისუფლებამ არხზე სამხედრო ხომალდების გატარების უფლება დაიტოვა.

უკანდახეული მულინოს შემცვლილი რიტორიკა

პანამის არხის ირგვლივ შექმნილი სიტუაციით უკმაყოფილებას, დონალდ ტრამპი ჯერ კიდევ პირველი პრეზიდენტობისას (2017-2021) არ მალავდა. ეს მეტწილად ნაგებობით სარგებლობის მაღალ ტარიფებს ეხებოდა. შარშანდელი წინასაარჩევნო კამპანიისას მან არაერთხელ აღნიშნა, რომ დროა გაშინგტონმა უკან დაიბრუნოს არხზე კონტროლის უფლება, რადგან 2000 წლიდან ამ მისიის პანამისთვის გადაცემა „თანამშრომლობის ჟესტი“ იყო და არა „სხვა ქვეყნისთვის მისი დათმობა“.

„არხი სულელურად გადაეცა პანამას მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა ამ პროექტში არნახული თანხა დახარჯა. და მეტიც, მის მშენებლობას 38 ათასი ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა... ჩვენ არხი ჩინეთისთვის არ მიგვიცია; ჩვენ ის პანამას დავუთმეთ, ახლა კი უკან ვიბრუნებთ“, – ამ სიტყვებით გამოვიდა ტრამპი 2025 წლის 20 იანვრის ინაუგურაციაზე.

ამის პასუხად, რათა ტრამპი დაემშვიდებინა და ჩინური ზიფათის უსაფუძვლობაშიც დაერწმუნებინა, პანამის პრეზიდენტმა ხოსე რაულ მულინომ თებერვლის პირველ დღეებში მყისიერად „დამამშვიდებელი“ ნაბიჯი გადადგა. მან უარი თქვა საერთაშორისო

პარტნიორობის პროექტში „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ თანამშრომლობაზე. PBS News-მა გაავრცელა მულინოს სიტყვები, რომ ჩინეთთან ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება აღარ გაგრძელდება.

ადგილობრივ მედიასთან მულინომ დააზუსტა, რომ 3 თებერვალს პანამაში ვიზიტად მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო მას არ დაუქრებია არხზე კონტროლის წართმევით ან ძალის გამოყენებით (თითქოს, საამისოდ ტრამპის საჯარო გამოსვლები არ იყო საკმარისი – ფ.კ.). მან ასევე აღნიშნა, რომ პანამაში მზად არიან ამერიკასთან დიალოგისთვის, თუ გაშინგტონი არ შეეცდება პანამის სუვერენიტეტისა და არხზე კონტროლის უფლების ხელყოფას.

ნ თებერვალს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სოციალურ ქსელში X გაავრცელა ასეთი ინფორმაცია: „ჩვენი მთავრობის ხომალდები ამიერიდან პანამის არხს სრულიად უფასოდ გაივლიან. ეს აშშ-ს წლიურად მილიონობით დოლარს დაუზოგავს“.

პანამის არხის ადმინისტრაციამ (ACP) მეორე დღესვე, საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია მოყვანილი ცნობის რეალობის თაობაზე: „აშშ-ის სახდების ინფორმაციის პასუხად, პანამის არხის მმართველობა, რომელიც ტარიფებსა და სხვა მოსაკრებლების დაწესებაზე ერთპიროვნულად ფლობს უფლებამოსილებას, აცხადებს – ჩვენს სატარიფო პოლიტიკაში არავითარი ცვლილებები არ შეგვიტანია“.

არადა, პანამიდან სამშობლოში მარკო რუბიოს დაბრუნების შემდეგ, დონალდ ტრამპმა, ინაუგურაციაზე ზემოთ ნახსენები სიტყვების გასამყარებლად, კიდევ ერთი განცხადება გააკეთა:

„შეთანხმება დარღვეულია. ან ჩვენ დავიბრუნებთ პანამის არხზე კონტროლს, ან რაღაც სერიოზული მოხდება“.

ფრიდონ კერგალიშვილი

რუსეთში „კოკა-კოლა“ ავლანეთიდან შედის – რუსული მედია

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ბევრმა დასავლურმა კომპანიამ რუსეთის ბაზარი პროტესტის ნიშნად დატოვა, მაგრამ ნამყვანი ამერიკული და ევროპული ბრენდების პროდუქცია რუსულ მაღაზიებში ჯერაც იყიდება. ერთ-ერთი ასეთი პროდუქტი გამაგრირებული სასმელი „კოკა-კოლაა“, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთში თალიბანის მიერ კონტროლირებული ავლანეთიდან შედის. როგორც ავლანეთში რუსეთის ელჩმა, დმიტრი ჟირნოვმა „რია ნოვოსტისთან“ განაცხადა, ავლანეთი რუსეთს მოამარაგებს, როგორც გაზიანი და ენერგეტიკული სასმელებით, ასევე სანელებლებით, ძვირფასი ქვებით და მეტალურგიული მადნებით.

ავლანეთიდან შემოსული „კოკა-კოლის“ ყიდვა რუსულ მაღაზიებში უკვე შეიძლება. Ozon-ზე, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უდიდესი ონლაინ მაღაზიაა, ცხრა ქილისგან შემდგარი შეკვრა 700 რუბლი ღირს, რაც დაახლოებით 22 ლარია. „კოკა-კოლის“ პირველი ქარხანა ავლანეთში ჯერ კიდევ 2006 წელს ამოქმედდა. ქარხანაში, რომელსაც ადგილობრივი კომპანია Habib Gulzar Non-Alcoholic Beverages მართავდა, წელიწადში 120 მილიონ ბოთლს ასხამდა. ავლანეთში რეჟიმის ცვლილების შემდეგ, ქარხანაზე კონტროლი თალიბანმა მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ, The Coca-Cola Company-ში შემავალი სხვადასხვა ბრენდის, მათ შორის Coca-Cola-ის, Fanta-ს, Sprite-ის სასმელების წარმოება რუსეთშიც ფუნქციონირებდა. თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ კომპანიის მფლობელმა ამერიკულმა ჰოლდინგმა ქვეყნიდან გასვლა გადაწყვიტა, ხოლო ადგილობრივი კომპანია Coca-Cola HBC Eurasia ადგილობრივ ბიზნესმენებს მიჰყიდა, რომელთაც ცნობილი გაზიანი სასმლის რუსული ანალოგის, Добрый Cola-ს ჩამოსხმა დაიწყეს. ამ სასმლის რეცეპტი და გემოვნური თვისებები ამერიკულისგან მკვეთრად განსხვავდება.

ტრამპმა USAID-ის გენერალური ინსპექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა

აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გენერალური ინსპექტორი პოლ მარტინი სამსახურიდან დაითხოვა. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, მარტინი თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მისმა სამმართველომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობაზე კრიტიკული ანგარიში გამოაქვეყნა.

პოლ მარტინს, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე 2023 წლიდან მუშაობდა, გათავისუფლების შესახებ ელექტრონული ფოსტით აცნობეს.

საერთაშორისო მედიის ცნობით, დოკუმენტში ასევე აღწერილია გაურკვევლობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო მდივნის, მარკო რუბიოს გადაწყვეტილებასთან დახმარების შეჩერების საკითხზე, რის შედეგადაც, „489 მილიონ დოლარზე მეტი საკვების დახმარება პორტუგალიაში, ტრანზიტსა და სანაოსნო გზებში, ზიანის მიყენების და გადამისამართების საფრთხის წინაშეა“.

აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპმა მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ილონ მასკთან ერთად თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო – USAID-ი გააკრიტიკა, რომელსაც „კორუმპირებული“ და „არაკომპეტენტური“ უწოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტრამპის ადმინისტრაციამ უცხოური დახმარებები უნდა აღადგინოს

ტრამპის ადმინისტრაციამ უნდა აღადგინოს უცხოური დახმარების გაცემა – შესაბამისი გადაწყვეტილება აშშ-ის ფედერალურმა მოსამართლემ, ამირ ალიმ მიიღო.

მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე ორი ორგანიზაციის საჩივრის საფუძველზე მიიღო, რომლებიც USAID-ისგან ფინანსდებოდნენ.

მოსამართლეს გადაწყვეტილება მთლიანად შესაბამისი აღმასრულებელი ბრძანების წინააღმდეგ არ მიუღია. სასამართლოს ბრძანება დროებით უკრძალავს მოქმედ ადმინისტრაციას იმ საგარეო დახმარებების შეჩერებას ან გაუქმებას, რომელიც მოქმედებდა ტრამპის თანამდებობაზე მოსვლამდე, ანუ 20 იანვრამდე.

შეგახსენებთ, იანვარში, დონალდ ტრამპმა USAID-ის პროგრამები 90 დღით შეაჩერა აშშ-ის საგარეო პოლიტიკასთან მათი შესაბამისობის დადგენამდე.

ტრამპის განცხადებით, საერთაშორისო განვითარების ამერიკული სააგენტო, იგივე USAID, რომელიც აშშ-ის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ეკონომიკურ, საგანმანათლებლო თუ კულტურულ პროგრამას ახორციელებს, ამერიკელი გადასახადების გადამხდელებისთვის საკმარისად ღირებული არ არის და ამიტომ უნდა გაუქმდეს. ამის გამო ტრამპი გეგმავს, რომ სააგენტოს ათასობით თანამშრომელი გაათავისუფლოს. თუმცა, მოსამართლემ დროებით დაბლოკა დონალდ ტრამპის ბრძანება, რომლის თანახმადაც USAID-ის 2000-ზე მეტ თანამშრომელს ანაზღაურებად შევულებამი მოუწევდათ გასვლა.

NATO-ს წევრმა ქვეყნებმა თავდაცვაზე მშპ-ის 5% უნდა დახარჯონ – ტრამპი

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ NATO-ს წევრმა ქვეყნებმა თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 5% უნდა დახარჯონ. ტრამპის განმარტებით, ამჟამად არსებული 2%-იანი მოთხოვნა შეუსაბამოა იმ რეალობასთან, რომელშიც ამჟამად მსოფლიო იმყოფება, ამიტომ NATO-ს ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი ან ორი სახელმწიფოს ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

ტრამპმა აღნიშნა, რომ ევროპა აშშ-სთან შედარებით, უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას, თუმცა ის მაინც გაცილებით ნაკლებს ხარჯავს თავდაცვაზე, ვიდრე ვაშინგტონი.

NATO-ს ინფორმაციით, სამხედრო აღიანისის 32 წევრი სახელმწიფოდან 2%-იან მინიმალურ მოთხოვნას 23 ქვეყანა აკმაყოფილებს, ანუ 9 სახელმწიფო აქამდე არსებულ 2%-იან მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით NATO-ში ყველაზე მეტ თანხას აშშ ხარჯავს, რომელიც თავდაცვაზე მშპ-ის 5%-ს გამოყოფს. მეორე ადგილზე 4.1%-იანი ბიუჯეტით პოლონეთია, მესამეზე კი – ესტონეთი, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 3.4%-ს გამოყოფს.

აშშ-ში ინფლაცია იზრდება

ამერიკის შეერთებულ შტატებში წლიური ინფლაციის დონე 3%-იან ნიშნულამდე გაიზარდა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.5 პროცენტული პუნქტით მეტია და ანალიტიკოსების პროგნოზზე უარესი მაჩვენებელია.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას (CPI), რომელიც სურსათისა და ენერგორესურსების ხარჯებს არ ითვალისწინებს, აღნიშნული მაჩვენებელი წლიურ ქრილში 3.3%-იან ნიშნულზეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით დაჩქარებულია.

ინფლაციის დაჩქარება სეზონური ფაქტორით აიხსნება, რადგან ამ დროს საცალო სექტორის გაყიდვების

მაჩვენებლები მკვეთრად იმატებს, ენერგორესურსების ფასები კი იზრდება, რაც სამომხმარებლო ფასების დონეზე აისახება.

ამასთან, ენერგორესურსების ფასების ზრდა ინფლაციაზე ზენოლას ამწვავებს, ბოლო პერიოდში კი ნავთობი და გაზი მკვეთრად გაძვირებული.

ტრამპმა ფოლადისა და ალუმინის იმპორტზე 25%-იანი ტარიფი დაანესა

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არსებითად გაზარდა ტარიფები ფოლადისა და ალუმინის იმპორტზე. „გამონაკლისებისა და გამონაკლისების გარეშე“ ტარიფი 25%-მდე გაიზარდა.

მიზეზად, ამერიკული მდგრადი ინდუსტრიების დახმარებაა. Reuters-ი წერს, ეს ზრდის სავაჭრო ომის რისკებს. ზომები ძალაში 4 მარტს შევა.

პირვანდელი განცხადებით, გაზრდილი ტარიფი ეხება ყველა ქვეყანას, გამონაკლისის გარეშე, მაგრამ მოგვიანებით ტრამპმა განაცხადა, რომ განიხილავს გამონაკლისის ავსტრალიისთვის, რადგან მას სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო აქვს.

„დიდი საქმეა. ეს არის ამერიკის ხელახლა გამდიდრების დასაწყისი. ჩვენი ერი მოითხოვს, რომ ფოლადი და ალუმინი დამზადდეს ამერიკაში და არა უცხო ქვეყნებში. საბოლოოდ, ეს უფრო იაფი იქნება“, – აღნიშნა ტრამპმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რომ სხვა ქვეყნები ამერიკას ტარიფების დაწესების შემთხვევაში საპასუხო ზომებით ემუქრებიან, ტრამპმა უპასუხა, რომ „არ ადარდებს ეს“.

EU-ს წინააღმდეგ აშშ-ის ტარიფები უპასუხოდ არ დარჩება – ფონ დერ ლაიენი

აშშ-ის მიერ ევროპული ფოლადისა და ალუმინის იმპორტზე ტარიფების დაწესება EU-სგან უპასუხოდ არ დარჩება და პროპორციულ ზომებს გამოიწვევს. ასე უპასუხა ევროკომისიის პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლაიენი დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას.

„ღრმა მწუხარებას გამოვხატავ აშშ-ის გადაწყვეტილების შესახებ, ევროპული ფოლადისა და ალუმინის ექსპორტზე ტარიფები დაანესო.“

ტარიფები გადასახადებია – ცუდია ბიზნესისთვის, უარესია მომხმარებლებისთვის.

ევროკავშირის წინააღმდეგ დაწესებული დაუსაბუთებელი ტარიფები უპასუხოდ არ დარჩება – ეს მტკიცე და პროპორციულ საპასუხო ზომებს გამოიწვევს.

ევროკავშირი იმოქმედებს თავისი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. ჩვენ დავიცავთ ჩვენს დასაქმებულებს, ბიზნესს და მომხმარებლებს“, – განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას, რომელიც ქვეყანაში შემავალ ფოლადსა და ალუმინზე იმპორტის 25%-იანი გადასახადის დაწესებას ითვალისწინებს.

ჩინეთში დეფლაცია ფიქსირდება

ჩინეთის მასშტაბით ეკონომიკური სირთულეები გრძელდება – ქვეყანაში დეფლაცია ფიქსირდება და წინა წელთან შედარებით მწარმოებელთა ფასების შემცირების მაჩვენებელი 2.3%-ს შეადგენს, რაც ბოლო 15 წლის მინიმუმია.

ინფლაციის ნეგატიური მაჩვენებლის დაფიქსირება იმის მაუწყებელია, რომ ქვეყნის მასშტაბით ქარხნების მიერ წარმოებულ პროდუქტებზე ფასები მცირდება, რაც ჩინეთის მსგავსი სახელმწიფოსათვის სასურველი მოცემულობა არ არის, რადგან ფასების შემცირება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას იწვევს, ჩინეთის მთავრობას კი მთლიანი შიდა პროდუქტის 5-6%-იან წლიურ ზრდაზე აქვს გათვლები გაკეთებული.

დეფლაციის განმაპირობებელ მიზეზებს შორის უმთავრესი გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და ქვეყნის მასშტაბით გაძვირებული კრედიტია, რასაც განსაკუთრებით ართულებს იპოთეკურ სესხთან დაკავშირებით არსებული ვითარება და უძრავი ქონების სექტორში დაგროვილი რისკები.

ამასთან, აშშ-ის მთავრობამ ჩინეთს ახალი ტარიფები დაუწესა, რაც ჩინური პროდუქციის გაძვირებას უფრო მეტად პრობლემურს ხდის, რაც წარმოების სექტორს უდიდესი გამოწვევის წინაშე აყენებს.

აქვე, უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) წლიურად 0.5%-ითაა გაზრდილი, ანუ სამომხმარებლო ინფლაცია იმატებს, თუმცა ეს უფრო მეტად ადგილობრივი მოთხოვნით არის განპირობებული, ვიდრე ექსპორტის გაუმჯობესებით.

წელს თურქეთში ინფლაცია 24%-მდე შემცირდება – ცენტრალური ბანკი

თურქეთის ცენტრალური ბანკის განახლებული პროგნოზით, მიმდინარე 2025 წლის განმავლობაში ქვეყანაში ინფლაცია 21-24%-ის ფარგლებში იქნება, რაც ამჟამინდელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, თუმცა წინა პროგნოზთან შედარებით მცირედით გაზრდილი მაჩვენებელია.

2026 წლის მოლოდინს რაც შეეხება, ოფიციალურ უწყებაში მომავალ წელს 12%-იან ინფლაციას ელიან, რაც

სამიზნე მაჩვენებელს მაინც მრავალჯერ აღემატება.

ცნობისთვის გეტყვით, რომ ამჟამად თურქეთში წლიური ინფლაციის დონე 42%-ია, რაც მცირედით შემცირებული მაჩვენებელია, თუმცა მსოფლიოში დაფიქსირებულ ერთ-ერთ უმაღლეს შედეგს წარმოადგენს.

სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპის შესაჩერებლად, ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა 45%-მდე მოუწია, რაც ასევე უჩვეულოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ბრიტანეთის ეკონომიკა 0.1%-ით გაიზარდა

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა მეოთხე კვარტალში მოსალოდნელზე მეტად, 0.1%-ით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმალური ზრდა სერვისებისა და მშენებლობის სექტორებში დაფიქსირებული პოზიტიური დინამიკით იყო განპირობებული.

შედარებისთვის გეტყვით, რომ მეოთხე კვარტალთან მიმართებით ანალიტიკოსებს ნეგატიური მოლოდინები ჰქონდათ და ისინი ეკონომიკის 0.1-0.2%-იან შემცირებას პროგნოზირებდნენ, თუმცა რეალური შედეგები მოსალოდნელზე უკეთესი აღმოჩნდა.

საერთო ჯამში, დიდ ბრიტანეთში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკასთან, მაღალ ინფლაციასთან და ბიზნესგარემოს გაუარესებასთან არის დაკავშირებული. უკვე თითქმის 2 წელია, რაც ბრიტანეთის ეკონომიკა სტაგნაციამია და პოზიტიური მოლოდინები ექსპერტებს არც 2025 წელთან მიმართებით აქვთ.

2030 წლისთვის, აშშ-ინდოეთის სავაჭრო ბრუნვა \$500 მილიარდამდე გაიზრდება

თეთრ სახლში აშშ-ის და ინდოეთის ლიდერების შეხვედრა გაიმართა, რომელზედაც ტრამპმა და მოდიმ მსოფლიოში არსებული ვითარება და ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობა განიხილეს. როგორც წარუდგინა მოდიმ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, 2030 წლისთვის, აშშ-ინდოეთის სავაჭრო ბრუნვა \$500 მილიარდამდე გაიზრდება, ხოლო ქვეყნებს შორის ორივე მხარისთვის სასარგებლო სავაჭრო შეთანხმება გაფორმდება.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრამდე, დონალდ ტრამპმა განკარგულება წარადგინა, რომელიც ტარიფების დაწესებას იმ ქვეყნებისთვის ითვალისწინებს, რომლებიც ასეთ საგადასახადო ბარიერებს თავად ამერიკის შეერთებულ შტატებს უქმნიან. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებამ ინდოეთში ვნებათაღელვა გამოიწვია, რადგან, როგორც შეხვედრის შემდეგ გაირკვა, ინდოეთმა კონკრეტულ პროდუქტებზე საიმპორტო გადასახადის შემცირება გადაწყვიტა.

დონალდ ტრამპის თქმით, აშშ-ის ხელისუფლება ინდოეთს იმ მოცულობის ტარიფებს დაუწესებს, რასაც თავად ინდოეთი დაუწესებს ამერიკას, ხოლო სავაჭრო დეფიციტის აღმოფხვრის წინაპირობად ის ინდოეთის მიერ ამერიკული ნავთობის და ბუნებრივი აირის იმპორტს ასახელებს. ამ დროისთვის, ინდოეთში საშუალოდ 17%-იანი საიმპორტო ტარიფი მოქმედებს, როცა აშშ-ის შემთხვევაში მაჩვენებელი 3.3%-ის ტოლია.

გასულ წელს, აშშ-ინდოეთის სავაჭრო ბრუნვამ \$129 მილიარდი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ თუ ქვეყნებს ამ მაჩვენებლის გაზრდა \$500 მილიარდამდე სურთ, ვაჭრობა მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს. როგორც ჩანს, ვაჭრობა გაღრმავდება, როგორც ბუნებრივი ნიაღისეულის, ასევე სამხედრო აღჭურვილობის ხარჯზე, რომელზედაც მოდიმ ტრამპისგან დასტური მიიღო. დროთა განმავლობაში, ინდოეთი აშშ-ისგან F-35-ის ტიპის ავიაგამანადგურებლებსაც მიიღებს, რომელსაც ქვეყანა რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას გამოიყენებს.

ბალტიის ქვეყნები რუსულ ელექტროქსელს გაეთიშნენ

საბჭოთა კავშირის დატოვებიდან თითქმის 3.5 ათწლეულის შემდეგ, ბალტიის ქვეყნები: ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა – რუსულ და ბელორუსულ ელექტროქსელს გაეთიშნენ. ნაცვლად რუსული ენერგიისა, სამივე ქვეყანა ევროპელ მომწოდებლებზე გადაეწყო.

რუსეთთან ენერგეტიკული კავშირების განწყვეტა გეოპოლიტიკური და სიმბოლური ჟესტია. მას შემდეგ, რაც 2022 წლის თებერვალში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში შეჭრის ბრძანება გასცა, ბალტიის ქვეყნებმა ენერგოდამოუკიდებლობისთვის მუშაობა კიდევ უფრო გააძლიერეს.

„ეს არის ფიზიკური გათიშვა რუსულ და ბელორუსულ ენერგოსისტემაზე ჩვენი დამოკიდებულების სულ ბოლო ელემენტისგან“, – განაცხადა ლიეტუვის პრეზიდენტმა, გიტანას ნაუსედამ.

ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა რუსეთზე დამოკიდებულება აღმოფხვრეს. 16 ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ბალტიის ქვეყნებს რუსეთთან და ბელორუსთან აკავშირებდა, წლების განმავლობაში ეტაპობრივად გაუქმდა. მათ ნაცვლად უკვე აშენდა ახალი ქსელი, რომელიც ლიეტუვას, ლატვიას და ესტონეთს ევროკავშირთან აკავშირებს.

8 თებერვალს ბოლო გადამცემი ხაზები, რომლებიც ბალტიის ქვეყნებს რუსეთთან აკავშირებს, საბოლოოდ გაითიშა.

უცხოური ვალუტის კურსები

იანვრის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=2,9447 ლარი**

ვალუტა	იანვარი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,4980	1,4980	1,4980	1,4804	1,4804	1,4804	1,4905	1,4905	1,4974	1,4947	1,4916	1,4916	1,4916	1,4755	1,4920
10 დანიური კრონი	3,9276	3,9276	3,9276	3,8815	3,8815	3,8815	3,9083	3,9083	3,9253	3,9181	3,9098	3,9098	3,9098	3,8674	3,9111
1 ევრო	2,9292	2,9292	2,9292	2,8955	2,8955	2,8955	2,9152	2,9152	2,9287	2,9232	2,9171	2,9171	2,9171	2,8852	2,9182
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5279	3,5279	3,5279	3,4905	3,4905	3,4905	3,5164	3,5164	3,5329	3,4801	3,4821	3,4821	3,4821	3,4287	3,4661
100 ისლანდიური კრონი	2,0354	2,0354	2,0354	2,0205	2,0205	2,0205	2,0229	2,0229	2,0155	2,0176	2,0160	2,0160	2,0160	1,9969	2,0139
100 სერბიული დინარი	2,5047	2,5047	2,5047	2,4729	2,4729	2,4729	2,4902	2,4902	2,5008	2,4972	2,4919	2,4919	2,4919	2,4637	2,4919
10 ნორვეგიული კრონი	2,4845	2,4845	2,4845	2,4713	2,4713	2,4713	2,4840	2,4840	2,4974	2,4885	2,4789	2,4789	2,4789	2,4615	2,4930
10 პოლონური ზლოტი	6,8499	6,8499	6,8499	6,7792	6,7792	6,7792	6,8389	6,8389	6,8580	6,8362	6,8375	6,8375	6,8375	6,7511	6,8311
10 რუმინული ლეი	5,8885	5,8885	5,8885	5,8198	5,8198	5,8198	5,8599	5,8599	5,8880	5,8773	5,8669	5,8669	5,8669	5,8021	5,8662
100 უნგრული ფორინტი	0,7129	0,7129	0,7129	0,6980	0,6980	0,6980	0,7044	0,7044	0,7061	0,7064	0,7054	0,7054	0,7054	0,6968	0,7078
10 შვედური კრონი	2,5572	2,5572	2,5572	2,5269	2,5269	2,5269	2,5417	2,5417	2,5436	2,5445	2,5399	2,5399	2,5399	2,5077	2,5358
1 შვეიცარიული ფრანკი	3,1109	3,1109	3,1109	3,0953	3,0953	3,0953	3,1106	3,1106	3,1128	3,1101	3,0984	3,0984	3,0984	3,0870	3,1053
10 ჩეხური კრონა	1,1643	1,1643	1,1643	1,1505	1,1505	1,1505	1,1593	1,1593	1,1662	1,1639	1,1628	1,1628	1,1628	1,1456	1,1542
1 აშშ დოლარი	2,8138	2,8138	2,8138	2,8158	2,8158	2,8158	2,8185	2,8185	2,8395	2,8367	2,8310	2,8310	2,8310	2,8292	2,8448
1 კანადური დოლარი	1,9570	1,9570	1,9570	1,9553	1,9553	1,9553	1,9615	1,9615	1,9753	1,9717	1,9646	1,9646	1,9646	1,9596	1,9782
1 ავსტრალიური დოლარი	1,7479	1,7479	1,7479	1,7503	1,7503	1,7503	1,7599	1,7599	1,7636	1,7568	1,7510	1,7510	1,7510	1,7383	1,7601
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5535	0,5535	0,5535	0,5546	0,5546	0,5546	0,5567	0,5567	0,5607	0,5607	0,5599	0,5599	0,5599	0,5601	0,5633
1 თურქული ლირა	0,0796	0,0796	0,0796	0,0796	0,0796	0,0796	0,0798	0,0798	0,0802	0,0802	0,0799	0,0799	0,0799	0,0797	0,0801
100 იაპონური იენი	1,7942	1,7942	1,7942	1,7899	1,7899	1,7899	1,7852	1,7852	1,7933	1,7945	1,7915	1,7915	1,7915	1,7978	1,8013
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,6608	7,6608	7,6608	7,6662	7,6662	7,6662	7,6736	7,6736	7,7307	7,7231	7,7076	7,7076	7,7076	7,7027	7,7452
10000 ირანული რიალი	0,6700	0,6700	0,6700	0,6704	0,6704	0,6704	0,6711	0,6711	0,6761	0,6754	0,6740	0,6740	0,6740	0,6736	0,6773
10 ისრაელის შეკელი	7,7105	7,7105	7,7105	7,7016	7,7016	7,7016	7,7334	7,7334	7,7718	7,7317	7,7198	7,7198	7,7198	7,7126	7,8378
1 სინგაპურული დოლარი	2,0653	2,0653	2,0653	2,0544	2,0544	2,0544	2,0615	2,0615	2,0758	2,0721	2,0694	2,0694	2,0694	2,0586	2,0779
1 ქუვეითური დინარი	9,1298	9,1298	9,1298	9,1244	9,1244	9,1244	9,1361	9,1361	9,2072	9,1981	9,1796	9,1796	9,1796	9,1590	9,2124
10 ჩინური იუანი	3,8549	3,8549	3,8549	3,8474	3,8474	3,8474	3,8459	3,8459	3,8730	3,8689	3,8611	3,8611	3,8611	3,8587	3,8805
10 ჰონგკონგური დოლარი	3,6226	3,6226	3,6226	3,6199	3,6199	3,6199	3,6254	3,6254	3,6504	3,6459	3,6362	3,6362	3,6362	3,6335	3,6539
100 ინდური რუპია	3,2867	3,2867	3,2867	3,2826	3,2826	3,2826	3,2840	3,2840	3,3073	3,3037	3,2930	3,2930	3,2930	3,2677	3,2832
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5816	1,5816	1,5816	1,5771	1,5771	1,5771	1,5879	1,5879	1,5932	1,5857	1,5791	1,5791	1,5791	1,5691	1,5959
100 რუსული რუბლი	2,5838	2,5838	2,5838	2,5197	2,5197	2,5197	2,6105	2,6105	2,7146	2,7527	2,7833	2,7833	2,7833	2,7534	2,7683
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6571	1,6571	1,6571	1,6563	1,6563	1,6563	1,6576	1,6576	1,6699	1,6683	1,6649	1,6649	1,6649	1,6638	1,6730
1 ბელარუსული რუბლი	0,8615	0,8615	0,8615	0,8621	0,8621	0,8621	0,8630	0,8630	0,8694	0,8685	0,8668	0,8668	0,8668	0,8662	0,8710
10 თურქმენული მანათი	8,0394	8,0394	8,0394	8,0451	8,0451	8,0451	8,0529	8,0529	8,1129	8,1049	8,0886	8,0886	8,0886	8,0834	8,1280
10 მოლდოვური ლეი	1,5276	1,5276	1,5276	1,5139	1,5139	1,5139	1,5131	1,5131	1,5391	1,5231	1,5158	1,5158	1,5158	1,5087	1,5132
1000 სომხური დრამი	7,1075	7,1075	7,1075	7,0972	7,0972	7,0972	7,1129	7,1129	7,1636	7,1544	7,1466	7,1466	7,1466	7,1264	7,1574
10 ტაჯიკური სომონი	2,5722	2,5722	2,5722	2,5754	2,5754	2,5754	2,5754	2,5754	2,6019	2,5942	2,5913	2,5913	2,5913	2,5806	2,5948
1000 უზბეკური სუმი	0,2183	0,2183	0,2183	0,2180	0,2180	0,2180	0,2183	0,2183	0,2191	0,2192	0,2186	0,2186	0,2186	0,2182	0,2193
10 უკრაინული გრივნა	0,6693	0,6693	0,6693	0,6688	0,6688	0,6688	0,6671	0,6671	0,6724	0,6700	0,6694	0,6694	0,6694	0,6683	0,6730
100 ყაზახური ტენგე	0,5360	0,5360	0,5360	0,5360	0,5360	0,5360	0,5333	0,5333	0,5393	0,5400	0,5370	0,5370	0,5370	0,5345	0,5369
100 ყირგიზული სომი	3,2364	3,2364	3,2364	3,2369	3,2369	3,2369	3,2415	3,2415	3,2641	3,2626	3,2548	3,2548	3,2548	3,2557	3,2689
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,4957	1,4957	1,4957	1,4984	1,4984	1,4984	1,5106	1,5106	1,5101	1,5031	1,4914	1,4914	1,4914	1,4752	1,5001
1 ზრავილიური რიალი	0,4555	0,4555	0,4555	0,4578	0,4578	0,4578	0,4557	0,4557	0,4653	0,4643	0,4690	0,4690	0,4690	0,4632	0,4666
10 კატარული რიალი	7,7198	7,7198	7,7198	7,7251	7,7251	7,7251	7,7406	7,7406	7,7891	7,7899	7,7657	7,7657	7,7657	7,7693	7,8122
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9086	1,9086	1,9086	1,9148	1,9148	1,9148	1,9230	1,9230	1,9455	1,9410	1,9290	1,9290	1,9290	1,9229	1,9481

უცხოური ვალუტის კურსები

იანვრის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,8439** ლარი.

ვალუტა	იანვარი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1,4991	1,4947	1,4969	1,4969	1,4969	1,5011	1,5093	1,5230	1,5247	1,5465	1,5465	1,5465	1,5473	1,5347	1,5309	1,5303
10 დანიური კრონი	3,9299	3,9184	3,9240	3,9240	3,9240	3,9352	3,9559	3,9915	3,9973	4,0539	4,0539	4,0539	4,0554	4,0220	4,0122	4,0106
1 ევრო	2,9322	2,9236	2,9276	2,9276	2,9276	2,9360	2,9516	2,9782	2,9821	3,0247	3,0247	3,0247	3,0263	3,0014	2,9941	2,9929
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,4778	3,4677	3,4683	3,4683	3,4683	3,4694	3,4928	3,5239	3,5286	3,5846	3,5846	3,5846	3,6013	3,5808	3,5735	3,5776
100 ისლანდიური კრონი	2,0235	2,0120	2,0178	2,0178	2,0178	2,0179	2,0231	2,0396	2,0382	2,0704	2,0704	2,0704	2,0658	2,0515	2,0548	2,0513
100 სერბიული დინარი	2,5043	2,4964	2,5005	2,5005	2,5005	2,5068	2,5197	2,5426	2,5458	2,5825	2,5825	2,5825	2,5839	2,5625	2,5557	2,5544
10 ნორვეგიული კრონი	2,5052	2,4985	2,4967	2,4967	2,4967	2,4910	2,5002	2,5276	2,5368	2,5726	2,5726	2,5726	2,5676	2,5514	2,5409	2,5444
10 პოლონური ზლოტი	6,8795	6,8547	6,8681	6,8681	6,8681	6,8983	6,9405	7,0043	7,0735	7,1839	7,1839	7,1839	7,1774	7,1348	7,1138	7,1169
10 რუმინული ლეი	5,8936	5,8762	5,8822	5,8822	5,8822	5,8994	5,9312	5,9846	5,9923	6,0803	6,0803	6,0803	6,0826	6,0331	6,0167	6,0147
100 უნგრული ფორინტი	0,7132	0,7100	0,7087	0,7087	0,7087	0,7103	0,7171	0,7222	0,7266	0,7396	0,7396	0,7396	0,7404	0,7346	0,7341	0,7348
10 შვედური კრონი	2,5495	2,5451	2,5468	2,5468	2,5468	2,5512	2,5711	2,6014	2,5986	2,6410	2,6410	2,6410	2,6295	2,6163	2,6153	2,6105
1 შვეიცარიული ფრანკი	3,1198	3,1171	3,1174	3,1174	3,1174	3,1163	3,1308	3,1553	3,1580	3,1843	3,1843	3,1843	3,2044	3,1765	3,1770	3,1693
10 ჩეხური კრონა	1,1630	1,1578	1,1582	1,1582	1,1582	1,1642	1,1724	1,1846	1,1859	1,2052	1,2052	1,2052	1,2058	1,1960	1,1922	1,1914
1 აშშ დოლარი	2,8446	2,8412	2,8412	2,8412	2,8412	2,8452	2,8515	2,8612	2,8627	2,8834	2,8834	2,8834	2,8808	2,8766	2,8784	2,8761
1 კანადური დოლარი	1,9829	1,9768	1,9721	1,9721	1,9721	1,9664	1,9749	1,9958	1,9894	2,0131	2,0131	2,0131	2,0075	1,9972	1,9949	1,9962
1 ავსტრალიური დოლარი	1,7648	1,7658	1,7632	1,7632	1,7632	1,7649	1,7742	1,7905	1,7946	1,8232	1,8232	1,8232	1,8152	1,7990	1,7921	1,7912
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5639	0,5636	0,5637	0,5637	0,5637	0,5654	0,5670	0,5689	0,5690	0,5734	0,5734	0,5734	0,5732	0,5727	0,5732	0,5725
1 თურქული ლირა	0,0802	0,0801	0,0799	0,0799	0,0799	0,0799	0,0800	0,0802	0,0803	0,0808	0,0808	0,0808	0,0806	0,0804	0,0805	0,0804
100 იაპონური იენი	1,8143	1,8253	1,8244	1,8244	1,8244	1,8196	1,8285	1,8334	1,8315	1,8494	1,8494	1,8494	1,8711	1,8531	1,8525	1,8622
10 არაბეთის გაერთიანებული სამიროების დირჰამი	7,7450	7,7354	7,7354	7,7354	7,7354	7,7463	7,7640	7,7905	7,7939	7,8505	7,8505	7,8505	7,8432	7,8317	7,8373	7,8306
10000 ირანული რიალი	0,6773	0,6765	0,6765	0,6765	0,6765	0,6774	0,6789	0,6812	0,6816	0,6865	0,6865	0,6865	0,6859	0,6849	0,6853	0,6848
10 ისრაელის შეკელი	7,8069	7,8439	7,8927	7,8927	7,8927	7,9493	7,9702	8,0473	8,0506	8,0474	8,0474	8,0474	7,9664	7,9708	7,9911	8,0309
1 სინგაპურული დოლარი	2,0820	2,0781	2,0792	2,0792	2,0792	2,0850	2,0965	2,1107	2,1110	2,1404	2,1404	2,1404	2,1439	2,1286	2,1301	2,1290
1 ქუვეითური დინარი	9,2207	9,2067	9,2097	9,2097	9,2097	9,2197	9,2461	9,2836	9,2884	9,3586	9,3586	9,3586	9,3502	9,3305	9,3303	9,3229
10 ჩინური იუანი	3,8798	3,8753	3,8768	3,8768	3,8768	3,8900	3,9147	3,9288	3,9281	3,9809	3,9809	3,9809	3,9702	3,9707	3,9732	3,9700
10 ჰონკონგური დოლარი	3,6531	3,6479	3,6491	3,6491	3,6491	3,6551	3,6628	3,6734	3,6749	3,7019	3,7019	3,7019	3,6989	3,6925	3,6947	3,6917
100 ინდური რუპია	3,2938	3,2827	3,2804	3,2804	3,2804	3,2866	3,2932	3,3064	3,3107	3,3448	3,3448	3,3448	3,3366	3,3243	3,3255	3,3202
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5967	1,5928	1,5911	1,5911	1,5911	1,5942	1,6043	1,6177	1,6206	1,6473	1,6473	1,6473	1,6418	1,6284	1,6254	1,6244
100 რუსული რუბლი	2,7727	2,7747	2,7745	2,7745	2,7745	2,7963	2,8581	2,9018	2,8938	2,9464	2,9464	2,9464	2,9733	2,9406	2,9173	2,9468
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6729	1,6706	1,6709	1,6709	1,6709	1,6733	1,6773	1,6827	1,6835	1,6957	1,6957	1,6957	1,6942	1,6917	1,6931	1,6914
1 ბელარუსული რუბლი	0,8709	0,8699	0,8699	0,8699	0,8699	0,8711	0,8731	0,8760	0,8765	0,8828	0,8828	0,8828	0,8820	0,8807	0,8813	0,8806
10 თურქმენული მანათი	8,1274	8,1177	8,1177	8,1177	8,1177	8,1291	8,1471	8,1749	8,1791	8,2383	8,2383	8,2383	8,2309	8,2189	8,2240	8,2174
10 მოლდოვური ლეი	1,5135	1,5130	1,5091	1,5091	1,5091	1,5148	1,5228	1,5320	1,5339	1,5481	1,5481	1,5481	1,5509	1,5503	1,5494	1,5459
1000 სომხური დრამი	7,1472	7,1477	7,1387	7,1387	7,1387	7,1439	7,1592	7,1835	7,1810	7,2311	7,2311	7,2311	7,2201	7,2207	7,2367	7,2346
10 ტაჯიკური სომონი	2,5973	2,5942	2,5896	2,5896	2,5896	2,6012	2,6026	2,6194	2,6180	2,6317	2,6317	2,6317	2,6346	2,6243	2,6259	2,6302
1000 უზბეკური სუმი	0,2195	0,2192	0,2191	0,2191	0,2191	0,2193	0,2196	0,2203	0,2206	0,2223	0,2223	0,2223	0,2221	0,2217	0,2219	0,2219
10 უკრაინული გრივნა	0,6728	0,6735	0,6742	0,6742	0,6742	0,6742	0,6764	0,6806	0,6818	0,6878	0,6878	0,6878	0,6863	0,6839	0,6865	0,6881
100 ყაზახური ტენგე	0,5367	0,5361	0,5357	0,5357	0,5357	0,5372	0,5435	0,5502	0,5492	0,5574	0,5574	0,5574	0,5586	0,5562	0,5564	0,5543
100 ყირგიზული სომი	3,2556	3,2515	3,2611	3,2611	3,2611	3,2540	3,2701	3,2723	3,2740	3,3067	3,3067	3,3067	3,2947	3,2989	3,3009	3,2905
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5078	1,5080	1,5186	1,5186	1,5186	1,5161	1,5290	1,5414	1,5426	1,5721	1,5721	1,5721	1,5497	1,5409	1,5408	1,5528
1 ბრაზილიური რიალი	0,4699	0,4725	0,4693	0,4693	0,4693	0,4680	0,4726	0,4748	0,4817	0,4867	0,4867	0,4867	0,4871	0,4872	0,4907	0,4904
10 კატარული რიალი	7,8116	7,8023	7,8023	7,8023	7,8023	7,8133	7,8306	7,8572	7,8527	7,9173	7,9173	7,9173	7,9102	7,8986	7,9036	7,8890
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9498	1,9488	1,9491	1,9491	1,9491	1,9613	1,9773	1,9924	1,9923	2,0141	2,0141	2,0141	2,0138	2,0109	2,0122	1,9937